


Р (ГРЕЦ)  
6-315

# მადონ კასიამდე





# საჭრელან კასიკობა



კვდი  
სამყაროს  
კრეტი  
ჩაღბი

*სახე ლეონიძისა*

თბილისი „მეზანი“  
1990

A (Ipey)

84—5  
ს 315

კრებულში წარმოდგენილია ანტიკური ხანის საბერძნეთსა, რომსა და ადრეული შუა საუკუნეების ბიზანტიაში მოღვაწე პოეტი ქალების ჩვენამდე მოღწეული უმნიშვნელოვანესი ქმნილებების თარგმანი. დაინტერესებულ მკითხველს საშუალება ეძლევა გარკვეული წარმოდგენა შეიქმნას ქალთა წვლილზე პოეზიის განვითარებაში.

კრებული მოამზადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხმელთაშუა ზღვის კულტურების კვლევის ლაბორატორიამ.

ბერძნული და ლათინური ენებიდან თარგმნა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო

ნ ა ნ ა ტ ი ნ ი ა მ

რედაქტორი ცირა ინჰიკრიველი



4703000000 —

ს 604 (08)—89 — 105—908 ითვ. გამოცემლობა „მერანი“

89082

საფოს ხანიდან კასიამდე თხუთმეტი საუკუნე ჩაივლის, სამი ეპოქა შეიცვლება, აღსაესე რთული და უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენებით, მრავალი სახელი დავიწყებას მიეცემა, ადამიანური აზროვნების მრავალნიმუშს სამარადქამო წყვედიადი მოიცავს და ალბათ ბედით განისაზღვრება მრავალრიცხოვანი ქმნილებებიდან უაღრესთა შემონახვა, ხოლო მათ შემოქმედლათვის ღირსეული მისაგებელის მიგება.

საფოდან კასიამდე ოციოდე პოეტი ქალის შემოქმედების ნიმუშები მოაღწევენ ჩვენამდე (სახელები უფრო მეტისა), მაგრამ მათ შორის სწორედ ეს ორი გამოირჩევა პოეტურ წარმოსახვათა უაღრესობით. ისინი ჩვენს მიერ შერჩეული ხანის ქალთა პოეზიის თავსა და ბოლოში დადგებიან, ვითარცა უტყუარი მოწმენი იმისა, რომ ქეშმარიტი ნიჭისათვის გზა ხსნილია.

როდესაც ვსაუბრობთ ანტიკური ხანისა და ადრეული შუა საუკუნეების ლირიკულ პოეზიაზე, მხედველობაში გვაქვს ძვ. წ. ა. VII — ახ. წ. ა. IX საუკუნეების მომცველი ლიტერატურული პერიოდი, რომელიც მნიშვნელოვანი ძვრებით, გარდატეხებით, ურთიერთსაპირისპირო, ხშირად ურთიერთგამომრიცხველი ფორმებითა და შინაარსით გამოირჩევა. ეს არის პერიოდი, როდესაც ანტიკური ცივილიზაცია შექმნის გარდაუვალი მნიშვნელობის ფასეულობებს, რომელნიც

ვასცდებიან იმ ხანასა და საზოგადოებას, რომლის წილ-  
შიც აღმოცენდნენ და მყარ საფუძველს მოუშაადებენ  
თანამედროვე მსოფლიო კულტურას. ამ ფასეულობათა  
შორის იქნება ანტიკური პოეზიაც, რომლის ისტორიუ-  
ლი ბედის დასასრულს, მისსავე წილში მსოფლმხედვე-  
ლობრივ და შემოქმედებით პრინციპთა წინააღმდეგობ-  
ისა თუ ერთიანობის ფონზე დაედება დასაბამი ახალი,  
ქრისტიანული პოეზიის აღმოცენებას. ეს პროცესი იმ-  
დენად ჰარმონიულად წარიმართება, რომ რაიმე სამა-  
ნის დადება აქ სავსებით შეუძლებელი გახდება.

\* \* \*

ძველი ბერძნული ლირიკის იმ წარმომადგენელთა  
შორის, რომელთა სახელებიც ამშვენებენ მსოფლიო  
პოეზიის ისტორიას, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ  
პოეტ ქალებს. მართალია, მათი შემოქმედების ნიმუ-  
შებმა ფრავმენტულად მოაღწიეს ჩვენამდე, მაგრამ თუ  
გავითვალისწინებთ იმას, რომ მეტნაკლებად მსგავსი  
ბედი ეწია ძველი ბერძნული ლირიკის თითქმის ყველა  
წარმომადგენელს, თავს უფლებამოსილად ჩავთვლით,  
შევიქმნათ გარკვეული აზრი ძველ ბერძნულ პოეზიაში  
ქალთა შემოქმედებით წვლილზე. უნდა აღინიშნოს, რომ  
ეს საკითხი არ დარჩენილა თვით ანტიკური ესთეტი-  
კის ყურადღების გარეშე<sup>1</sup>. ჯერ კიდევ ძველი წ. ა. III  
საუკუნის მეორე ნახევრისათვის შექმნილ ე. წ. ბერ-

<sup>1</sup> იხ. რ. პფაიფერი, კლასიკური ფილოლოგიის ისტორია, ჰამ-  
ბურგი, 1970, ალექსანდრიელ სწავლულთა მოღვაწეობის შესახებ  
იხ. გვ. 114, ლირიკოსთა კანონის შესახებ იხ. გვ. 253.

ძენ პოეტთა კანონში პოეზიის წარმომადგენელთა შო-  
რის დასახელებულია ცხრა საუკეთესო ლირიკოსი. მას-  
ში პოეტ ქალთაგან მოხსენიებულია ერთადერთი სა-  
ფო, რომელსაც პინდარესა და ბაკილიდეს შემდეგ მე-  
ლოსური ლირიკის უმნიშვნელოვანეს შემოქმედად თვლი-  
დნენ. წინაქრისტიანულ ეპოქაშივე შეადგინეს, როგორც  
ჩანს ცხრა საუკეთესო პოეტი ქალის ნუსხა<sup>1</sup>. ამ ნუსხის  
მიხედვით ანტიპატროს თესალონიკელს (ძვ. წ. ა. 1—  
ახ. წ. ა. I ს. მაკედონელი პოეტი) შეუდგენია ეპიგრა-  
მა, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია:

„ღვთაებრივ სიტყვათა მეუფე ქალები აღავსეს ჰიმნებით,  
დიდი ჰელიკონის მუხათ და მაკედონურმა კბოლემ:  
პრაქსილა, მოირო, ანიტე — ქალი ჰომეროსის სადარი,  
ლესბოსელ თმალამაზ ქალთა უზადო მშვენება — საფო,  
ერინა, ლექსებით განთქმული დიდი ტელესილა, კორინა,  
შენ, ვინც განადიდე ხოტბით ათენას მძვინვარე ფარი,  
სათუთბდ ხმეირი ნოსისი, ტკბილად მოგალობე მირტისი,  
ყოველმა დატოვა ქვეყნად დაუშრეტელი პყვარი.  
ცხრა ღვთაებრივი მუზა შვა მაღალმა ზეცამ, ეს ცხრა ქალი  
გეამ გააჩინა — მიწამ, კაცთა გარდაუვალ შებნად.“<sup>2</sup>

ჩვენამდე შემორჩა ნუსხაში წარმოდგენილი თითქმის  
ყველა პოეტი ქალის შემოქმედების ნიმუშები, რა თქმა  
უნდა, მეტნაკლები ოდენობით. არ შემოინახა მხოლოდ

<sup>1</sup> ძვ. წ. ა. IV საუკუნისათვის, როგორც ჩანს, არსებობდა  
ნუსხები ქურუმ ქალთა, ასპარეზობებში გამარჯვებულ ქალთა, პოეტ  
ქალთა და სხვა (იხ. პლუტარქე, მუს. შესახებ, ვ; ავრ. ათენეოსი,  
XIII, 610).

<sup>2</sup> IX, 26 (ანთოლოგია გრეკა— ავ)

ერთის — მირტის ანთედონელის ფრაგმენტები.<sup>1</sup> გარდა ამ ნუსხაში მოხსენიებული ნიმუშებისა, ჩვენამდე მოაღწია კიდევ ორი პოეტი ქალის — ჰელილესა და მელინოს შემოქმედების ფრაგმენტებმა.

ასე რომ, ამჟამად ჩვენ მოგვეპოვება ანტიკური საბერძნეთის ათი პოეტი ქალის შემოქმედების ნიმუშები. ჩვენ შევეცადეთ, შემორჩენილი ფრაგმენტების, ანტიკურ წყაროებში დადასტურებული საოცრად ძუნწი ბიოგრაფიული, მითოლოგიური თუ ფილოსოფიური ხასიათის მონაცემების გათვალისწინებით, შეგვექმნა გარკვეული აზრი ანტიკურ საბერძნეთში მოღვაწე პოეტ ქალთა შემოქმედების ზოგიერთ თავისებურებაზე.

რამდენადაც პოეტური შემოქმედება მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ ძირებთან, რომლისგანაც იგი აღმოცენდა, ბუნებრივია, მისი განვითარების თავისებურებებზე მსჯელობისას აუცილებლად არის გასათვალისწინებელი იმხანად არსებული ტრადიცია. მით უმეტეს, როდესაც ვეხებით ისეთ საკითხს, როგორიც არის პოეტ ქალთა წვლილი ძველი ბერძნული პოეზიის განვითარებაში.

ამ თვალსაზრისით, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ანტიკური სამყაროს მითოლოგიაში პოეზია და მუსიკა — ერთმანეთთან განუყრელად

<sup>1</sup> თუ ვენდობით ტრადიციას, მისი შემოქმედება მეტად მაღალ შეფასებას იმსახურებდა ანტიკურ ხანაში. კორინას ერთ-ერთ ფრაგმენტში (ფრ. 11 A) იგი ბედავს პინდარესთან შებმას ლექსების თხზვაში. პლუტარქეს გადმოცემის თანახმად, მირტისი ლირიკულ ლექსებს თხზავდა, (ბერძნ. საკ., 40, 3000).

დაკავშირებული ეს ორი დარგი — ქალური მფარველობის ქვეშ მოიაზრებოდა. ჯერ კიდევ წინა ლიტერატურულ ხანაში პოეზიისა და მუსიკის ნიჭი მუშების ძღვნად იყო მიჩნეული. მუშები, ზეცისა და მნემოსინეს (მეხსიერების ღმერთქალი) ასულები, ვითარცა პოეტური ხელოვნების მფარველი ღვთაებები, მრავალგზის მოიხსენიებიან ჰომეროსისა<sup>1</sup> და ჰესიოდეს<sup>2</sup> ეპოსში.

მუსიკალურ და პოეტურ ხელოვნებასთან არიან დაკავშირებული მითოლოგიური პერსონაჟები — სირენები, აქელოოსისა და მუზა მელპომენეს ქალიშვილები,<sup>3</sup> რომელთაც ჯერ კიდევ ჰომეროსი წარმოადგენს საოცარი ძალის მომღერლებად: „სირინოზები ტკბილი გალობით აჯადოებენ ყველას, ვინც მათ ნაპირს მიუახლოვდება. მოხიბლულებს ავიწყდებათ სამშობლო მხარე და ცოლშვილი. ამწვანებულ მდელოზე სხედან სირინოზები და გონისწამლები გალობით მოუხმობენ გზად ჩამვლელთ...“ (ოდ. XII, 39 თარგმანი ზ. კიკნაძისა და თ. ჩხენკელისა).

ფლეიტაზე დაკვრისა და სიმღერის შემოქმედად ანტიკურ ტრადიციაში მიჩნეულია ღმერთქალი ათენა,<sup>4</sup> ანტიკური მითოლოგიის ერთ-ერთი ცენტრალური პერსონაჟი.

<sup>1</sup> იხ. ჰომეროსი, ილ. II 594, XVIII 339, XXIV 215, XI 218, XIV 508, XVI 112, II 491, XXIV 720, II 598. ოდ. VIII 63, II, XXIV 60.

<sup>2</sup> იხ. ჰესიოდე, თეოგ. I 25, 36, 52, 75, 94, 96, 100, 114, 916, 966, 1022, სამ. I 662, 658. ფ. 206, ფრ. 197 I.

<sup>3</sup> შდრ. ალკმანი, ფრ. 1.

<sup>4</sup> იხ. ათენესი, XIV, 616

პოეტურ და მუსიკალურ ხელოვნებასთან არის ზიარებული ღმერთქალი კირკე, რომელიც ჰომეროსის ეპოსში მსმენელებს ტკბილი სიმღერებით ართობს (იხ. ოდ. X, 221).

ჰომეროსის ეპოსის მუზად მოგვიანებით შერაცხვეს ელენე, ქალი, რომლის სახელთანაც დაკავშირებული იყო დიდი მოვლენები. როგორც აღნიშნავს სოკრატე: „ჰომერიდთა შორისაც ყვებიან ზოგიერთები, თითქოს ელენე გამოცხადებია ღამით ჰომეროსს და პომეს შექმნა უბრძანებია ტროას ლაშქრობაში მონაწილეთა შესახებ, რამეთუ სურდა, უფრო შესაშური ყოფილიყო მათი სიკვდილი, ვიდრე ცხოვრება დანარჩენი ადამიანებისა. ამბობენ აგრეთვე, რომ ნაწილობრივ ჰომეროსის ხელოვნების წყალობით, უმთავრესად კი ელენეს გამო გახდაო მისი პოემა ესოდენ საყვარელი და ადამიანთათვის ეგზომ ცნობილი“ (ელიანე, § 65).

გარდა ლიტერატურული წყაროებისა მუსიკალური და პოეტური ხელოვნების ქალთა სამყაროსთან კავშირზე მეტყველებენ ჩვენამდე მოღწეული ფერწერისა და ქანდაკების ბრწყინვალე ნიმუშები, რომლებიც მუზეუმს, მომღერალ თუ მუსიკოს ქალებს წარმოსახვენ.

ძნელი სათქმელია, რამ გამოიწვია მუსიკალური თუ სასიმღერო ხელოვნების ესოდენ მჭიდრო კავშირი ქალურ საწყისთან. მისი წყაროსთვალი ალბათ წინაბერძნულ ცივილიზაციაში უნდა ვეძებოთ. ეს საკითხი განსაკუთრებულ კვლევას მოითხოვს, რაც სცილდება ჩვენი წინათქმის მიზანს, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ მითოსურ ი საწყისებიდან გამომდინარე ძველი საბერძნეთის რე-

ალურ ყოფაშიც თავს იჩენს მუსიკალური და პოეტური ხელოვნების მჭიდრო კავშირი ქალთა სქესთან. ქალები მეთაურობდნენ იმ წრეებს, რომლებში გაერთიანებული ქალწულებიც სიმღერისა და ცეკვის ხელოვნებას ეუფლებოდნენ.

მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ქალებისათვის მუსიკალური განათლების აუცილებლობაზე მიუთითებს პლატონი თავის იდეალურ „სახელმწიფოსა“ (II, 376 e, III 398 b, 399b-e) და „კანონებში“ (VII, 801 a — 802 e). უფრო მეტიც, პლატონის „კანონებში“ მოცემულია ცდა იმის განსაზღვრისა; თუ რის შესახებ შეიძლება წეროს პოეტმა-კაცმა და პოეტმა-ქალმა: „კანონით აქაც უნდა დავადგინოთ გარკვეული ფორმები. ქალებსაც და კაცებსაც ორივე ეს აუცილებელი ფორმა უნდა დავუწესოთ, მაგრამ ამასთანავე ქალებს უნდა ესმოდეოთ, მაინც რა შეესაბამება მღერის ბუნებრივ თავისებურებებს. სწორედ ამის გარკვევა გვმართებს. უნდა ვალიაოთ, რომ ყოველივე დიდებულსა და სიმამაცესთან წილნაყარს მამრული იერი აქვს, ხოლო ყოველივე კდემამოსილი და მოკრძალებული უფრო მღერულს ენათესავება. ამიტომაც გონივრული იქნებოდა სწორედ ეს დაგვეწესებინა მათთვის კანონით“ (VII, 802, თარგმანი ბ. ბრეგვაძისა).

პლატონი როდესაც აყალიბებდა თავის აზრებს სახელმწიფოსა და კანონების შესახებ, ბუნებრივია, ითვალისწინებდა იმ ტრადიციას, რაც მის თანამედროვე სამყაროს შეესაბამებოდა. იგი კარგად გრძნობდა იმ განსხვავებას, რაც იყო ტიპიური პოეტ კაცთა და ქალთა

შორის. ეს განსხვავება თავს იჩენს ჯერ კიდევ ჰომეროსის ეპოსში. უკვე აქ არის განსაზღვრული მომღერალი კაცისა და მომღერალი ქალის სასიმღერო თემატიკა. ჰომეროსის პოემებში მრავალგზის ფიგურირებენ მომღერალი აედები. რ. გორდეზიანი ეხება რა აედის პრობლემას ჰომეროსის ეპოსში, გამოყოფს მომღერალთა სამ ტიპს იმისდა მიხედვით, თუ როგორ ახასიათებს მათ თავად ჰომეროსი. და სულ ერთია, მომღერალთა რომელ ტიპსაც არ უნდა განეკუთვნებოდეს პოეტი-მამაკაცი (არის ის მომღერალი-მოყვარული, მომღერალი-თვითნასწავლი, თუ მომღერალი-პროფესიონალი), მისი შემოქმედების ძირითადი თემატიკა განსაზღვრულია იმ სახელოვანი ამბებით, რომლებიც სახელოვან გმირებს უკავშირდებიან. ასე მაგალითად, „ილიადაში“ აქილევის მღერის „მამაკაცთა დიად საქმეებზე“ (IX, 186), მომღერალი ფემიოსი, რომელიც პენელოპეს სასიძოვებს ართობს, მღერის აქაველ გმირთა დაბრუნებაზე (ოდ. I, 326), ცნობილი აედი დემოდოკე ძირითადად მღერის ტროას ომის გმირებსა და ტროას დაღუპუბზე (იხ. ოდ. VIII, 487), როგორც აღნიშნავს რ. გორდეზიანი, ამ შემთხვევაში დემოდოკეს პრინციპი, ფაქტიურად, იყო პრინციპი თავად ჰომეროსისა<sup>1</sup>. რაც შეეხებათ კირკესა და სირენებს, ისინი მღერიან სიმღერებს მსმენელთა მოსახიბლად და მოსანუსხად (შდრ. ოდ. X, 221, 227; XII, 44).

<sup>1</sup> რ. გორდეზიანი, ჰომეროსის ეპოსის პრინციპები, თბილისი, 1978, გვ. 167.

როგორც ჩანს, ანტიკური ტრადიცია პოეტ-ქალსა და პოეტ-კაცს ტერმინებითაც განასხვავებდა. ტერმინით „პოიეტეს“ პლატონი მოიხსენიებს კაც-პოეტს (შდრ. „კანონები“ 812, 935, „ფედროსი“ 243). ტერმინით „პოიეტრია“ მოიხსენიებს პლუტარქე „სიმღერათა მთხზველ მირტის“, ლუკიანე — მუსიკოს ქალს, პავსანია — საფოს (VIII 18, 5, შდრ. სტრაბონი, 17, 1, 33 და ათენესი, 13, 600). თეოკრიტეს ქრისტიანული ხანის სქოლიონში (XV, სტრ. 96) მრავალმხრივი და მრავლისმცოდნე მომღერალი ქალი „პოლუიდრის პოიეტეს“-ად არის მოხსენიებული.

ძვ. წ. ა. VII საუკუნიდან პეროიკული ეპოსი კარგავს თავის პრივილეგიებულ მნიშვნელობას, მის ადგილს თანდათან იძენს ლირიკა. ეს იყო შედეგი ბერძენი ხალხის ეკონომიურ, პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი მნიშვნელოვანი გარდატეხებისა. ძველი საბერძნეთის თითქმის ყველა რეგიონში იმხანად მიმდინარეობდა ღრმა სოციალური ძვრები. მას დასაბამი მიეცა პერძული სამყაროს აღმოსავლეთში — ახლომდებარე კუნძულებსა და მცირე აზიის სანაპიროებზე, სადაც ბერძნები ყველაზე ადრე ეზიარნენ აღმოსავლეთის ხალხთა უძველესსა და უმდიდრეს კულტურას. მალე ამ მოძრაობამ გადაინაცვლა კონტინენტალურ საბერძნეთშიც. იმ პერიოდისათვის დამახასიათებელმა საზოგადოებრივ ფორმათა მრავალფეროვნებამ თავისი გამოხატულება პპოვა ლიტერატურის თითქმის ყველა ქანონში, რომელიც პოეტისა და მისი აუდიტორიის უშუალო ურთიერთობას გულისხმობდა. კანონმდებელი, რომ-

ელიც მის მიერ შემოთავაზებულ რეფორმათა ახსნას ლა-  
მობდა; ან არისტოკრატიული ამბოხების მონაწილე, რო-  
მელიც საბრძოლველად მოუხმობდა თანამოაზრეთ; პოე-  
ტი, რომელიც თავის განცდებს წარმოსახავდა ან ქმნიდა  
საგუნდო სიმღერას მოახლოებულ დღესასწაულზე შესა-  
სრულებლად — ყოველ მათგანს ჰყავდა მსმენელთა გა-  
რკვეული წრე. ადრეული ხანის ბერძნული ლირიკისათ-  
ვის დამახასიათებელი იყო საზოგადოებრივ ცხოვრებასა  
და პოლიტიკურ ბრძოლებში უშუალო მონაწილეობა (გა-  
ვიხსენოთ სოლონის, ტირტეოსის, კალინესა და იმ ხანის  
სხვა პოეტთა ელეგიები), ალბათ ლირიკის სწორედ ამ თავ-  
ისებურებამ განაპირობა ის, რომ ამ პერიოდის (ძვ. წ. ა.  
VII—VI სს.) მრავალრიცხოვან ბერძენ ლირიკოსთაგან ერთ-  
თად-ერთი ქალის—საფოს პოეზიის ნიმუშებმა მოაღწია  
ჩვენამდე. ამ შემთხვევაში არ უნდა დავივიწყოთ ისიც,  
რომ საფო იყო არა კონტინენტური საბერძნეთის, არამედ  
კუნძულ ლესბოსის მკვიდრი, სადაც ხელოვნება და ლიტე-  
რატურა ერთობ თავისთავადი გზით განვითარდა. ამის  
მიზეზი ალბათ იყო ის, რომ ლესბოსი თავისი ხელსაყრე-  
ლი ადგილმდებარეობის წყალობით ერთგვარ ხიდს წარ-  
მოადგენდა კონტინენტურ საბერძნეთსა და შვირე აზიის  
ბერძნულ სამყაროს შორის. აქ, როგორც ჩანს, მძლავ-  
რობდნენ ბრინჯაოს ხანის ეგეოსური ტრადიციები. ქა-  
ლის ის აქტიური პოზიცია, რომელიც მას კულტურულ  
ცხოვრებაში ეჭირა, მკვეთრად განასხვავებდა კუნძულ  
ლესბოსს საბერძნეთის სხვა რეგიონებისაგან. ამ შემთ-  
ხვევაში მეცნიერები ეგეოსური კულტურისათვის დამა-  
ხასიათებელ კვალზე მიუთითებენ. დღეისთვის ეჭვს აღარ

იწვევს აზრი, რომ კუნძულ ლესბოსზე არსებობდა ქალ-  
თა პოეტური წრეები (ან ე. წ. სალონები), რომელთა  
წევრები მუსიკალურ და პოეტურ ხელოვნებას ყოფილ-  
ან ზიარებულნი<sup>1</sup>. საფო თავადაც მოიხსენიებს მისი  
წრის წევრთა თუ მოპაექრე ქალთა სახელებს (ანაქტო-  
რია, ატთისი, გონგილა, გირინო, დიკე, მიკა, მნასიდიკე,  
პლეისტოდიკე, ანდრომედა). ჩვენამდე მოაღწიეს ანტი-  
კური ხანის მოღვაწეთა ცნობებმაც, რომ კუნძულ ლეს-  
ბოსზე ყოფილა ქალთა დაჯგუფებანი. ოვიდიუსი თავის  
„პეროიდებში“ მიუთითებს პირიელი, მეთიმნელი და  
ლესბოსელი ქალწულების გუნდის (ქოროს?) არსებობა-  
ზე (XV, 15-17); ჩვენამდე მოაღწიეს სხვა ცნობებმაც,  
საფოსა და მის მოწინააღმდეგე ქალებზე (მაქსიმოს ტი-  
როსელი, 18, 9); აგრეთვე იმაზე, თუ როგორ ზემობდ-  
ნენ საფო და მისი მეგობრები აფროდიტესადმი მიძღვნილ  
დღესასწაულს (პიმერიოსი, 9,37); ერთ-ერთ გადმოცემა-  
ში კი პირდაპირ არის მითითებული, რომ საფოს დროს  
არსებობდნენ „მეგობარი ქალები“ (პეტაირაი), რომელ-  
თა უმთავრესი საქმიანობა მუსიკალურ ხელოვნებასთან  
ზიარება ყოფილა. სწორედ ქალთა სალონების არსებო-  
ბა იძლევა იმის ახსნის საშუალებას, თუ რამ განსაზღვრა  
კუნძულ ლესბოსზე, ბერძულენოვანი ტომებით დასა-  
ხელებული სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით, ქალთა  
ესოდენ დიდი წვლილი მუსიკალური და პოეტური ხელო-  
ვნების განვითარებაში.

უკვე ძვ. წ. ა. VI საუკუნიდან პოეტური ხელოვნება

<sup>1</sup> დაწვრი. იხ. ნ. ტონია, საფოს პოეტური სამყარო, თბილი-  
სი, 1990.

(საგუნდოცა და ლირიკულიც) დასრულებულ სახეს ღებულობს. იმართება სპეციალური აგონები, შეჯიბრები, სადაც მონაწილეობენ როგორც პოეტი კაცები, ასევე პოეტი ქალებიც. ამაზე მიგვანიშნებს ძვ. წ. ა. VI საუკუნის პოეტი ქალი კორინა ერთ-ერთ ფრაგმენტში, სადაც იგი კიცხავს მირტის ანთედონელს იმის გამო, რომ მან პინდარესთან შებმა გაბედა (ფრ. I). პლუტარქეს გადმოცემით, კორინამ ხუთგზის გაიმარჯვა პინდარესთან შეჯიბრში (ათ. დიდ. 4. 34). რამდენად დაუჯერებელიც არ უნდა იყოს ეს ფაქტი, ერთი რამ ცხადია, ანტიკური ხანის საბერძნეთში იმართებოდა პოეტური და მუსიკალური აგონები, სადაც პოეტი მამაკაცების გვერდით გამოდიოდნენ პოეტი ქალებიც.


ძვ. წ. ა. VI—III საუკუნეებში პოეტ ქალთა რიცხვი საკმაოდ მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო. სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა პრაქსილას, ერინას, ნოსისის, მოიროს, ანიტეს, ჰედილეს, მელინოს მოღვაწეობა. მართალია, ამ ლირიკოსთა შემოქმედებებიდან მხოლოდ უმნიშვნელო ფრაგმენტებია შემონახული, მაგრამ მათი გათვალისწინებითაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ ანტიკური საბერძნეთის პოეტი ქალების ზოგიერთ თავისებურებაზე.

ჩვენამდე არ მოუღწევია მრავალი პოეტი ქალის შემოქმედების ნიმუშებს. შემორჩა მხოლოდ მათი სახელები. ასე, მაგალითად, ფილოსტრატე (III ს.) მოიხსენიებს პამფილიელ დამოფილეს, რომელმაც „... შემოიკრიბა ქალწულთა წრე და ქმნიდა ერთგულ სიმღერებს, ქმნიდა ჰიმნებსაც, რომელთაც არტემისს უძღვნდა და ბაძავდა თავად საფოს“ (Vita Apoll. I; 30). მაქსიმოს

ტიროსელი ასახელებს საფოს მოწინააღმდეგე წრის ქალებს — გორგოსა და ანდრომედას (18,9), მათ მოიხსენიებს საფოც თავის სიმღერებში (ფრ. 67; 133; 140: ანდრომედა; ფრ. 139; 160: გორგო); ალკმანი (ძვ. წ. ა. VII საუკუნის პოეტი) თავის „პარტენიონში“ ქებით მოიხსენიებს ქალწულთა გუნდის წინამძღვარს მეგალოსტრატეს. ათენეოსი, რომელმაც შემოგვინახა ალკმანის ეს ფრაგმენტი, მეგალოსტრატეს ქოროს მოძღვარს უწოდებს (XIII, 600) თეოკრიტე (ძვ. წ. ა. III საუკუნის პოეტი) თავის XV იდილიაში წარმოგვიდგენს „მრავალმხრივ, მრავლისმცოდნე“ მომღერალ ქალს, რომელზედაც ამახვილებს ყურადღებას ქრისტიანული ხანის სქოლიასტიც (XV, 96); ჰედილეს ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ მისი დედა მოსქინე ცნობილი იამბოგრაფოსი ყოფილა (ძვ. წ. ა. III საუკუნე), პოეტურ ნაწარმოებებს ქმნიდა (ძირითადად ეპიკურს) არისტოლამე (ძვ. წ. ა. III საუკუნე). ცნობილი ყოფილა თეანოს პოეზიის ნიმუშები, მას მოიხსენიებს ლუკიანე, ჩვენამდე არ მოუღწევია არც ალკიონე თრონიონელის (ძვ. წ. ა. III ს.), არც ატიისის, არც კლეობულინა ლინდიას პოეზიის ნიმუშებს. იმ ქალთა შორის, რომელთა მოღვაწეობასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ანტიკური სამყაროსათვის, უთუოდ მოსახსენიებელნი არიან განსწავლული პეტრეები, რომლებიც პოეტურ, მუსიკალურ, ფილოსოფიურ თუ ორატორულ ხელოვნებას იყენებდნენ. თუმცა მათი შემოქმედებიდან ჩვენამდე არაფერს მოუღწევია.

თემატიკისა და საზომის თვალსაზრისით IV—III

89082



საუკუნეების პოეტი ქალები ძირითადად მისდევდნენ ელინისტური ეპიგრამატული პოეზიის კანონებს. ისინი არ გამოირჩევიან არც ახალი გზების, არც ახალი პოეტური სახეებისა და ხასიათების ძიებით. მათ პოეზიაში აისახა ინდივიდუალური ფიქრები, განწყობილებები, ეპიზოდური ხილვები, აღსავსე ქალური სინაზითა და სათნოებით. მართალია, ერინას პოეზია გვხვბლავს პოეტურობითა და შთამბეჭდაობით, უთუოდ ემოციურია მისი ლექსები, რომლებიც უდროოდ გარდაცვლილ მეგობარ ქალწულს ეძღვნება, ასევე გვხვბლავენ ნოსისისა და ანიტეს პოეზიის ნიმუშებიც, რომლებშიც შეიგრძნობა ქალური სინაზე და სინატიფე სხვადასხვა მოვლენათა აღქმისას, მაგრამ მათი პოეზია ვერ ვასცდა ვიწრო, ინდივიდუალურ ჩარჩოებს.

რა თემებს ეხებოდნენ ძირითადად ამ პერიოდის პოეტი ქალები?

კორინას ჩვენამდე მოღწეულ პოეზიაში შეიმჩნევა მითოლოგიური სიუჟეტების გამოყენების ტენდენცია, რაც ალბათ ნიშანდობლივი უნდა ყოფილიყო მის გეოგრაფიულ გარემოში არსებული ხელოვნებისთვის. მითოლოგიურ სიუჟეტებზე შექმნილი სიმღერებიდან ჩვენამდე მოაღწიეს აგრეთვე ტელესილას (ფრ. D I), პედილესა (ერთადერთი ფრაგმენტი — ათენაოსი, VII, 297) და მოიროს (ფრ. I) პოეზიის ფრაგმენტებმა. გვიანი ხანის პოეტ ქალთა შემოქმედებაში გვხვდება ღვთაებათაადმი მიძღვნილი პოეზიის ფრაგმენტებიც. ისინი შექმნილია ეპიგრამატისტული ქანრისათვის დამახასიათებელი სიმსუბუქითა და ლაკონიურობით, მაგრამ მათ აკლიათ ის

შთამბეჭდაობა, რითაც ესოდენ მდიდარი იყო ადრეული ხანის ლირიკოსთა პოეზია (ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ საფოს).

პოეტ ქალთა შემოქმედებაში იშვიათად გვხვდება შევონებანი, გვაქვს საბრძოლო თემატიკით დაინტერესების შემთხვევებიც. ყველაზე ხშირად კი პოეტი ქალების შემოქმედებაში გვხვდება ხელოვნების ქმნილებებისადმი მიძღვნილი ეპიგრამები, საფლავის ქვის წარწერები, მიმართვანი მგზავრებისადმი. დიდი სიმსუბუქითა და პოეტურობით წერდნენ პოეტი ქალები ყვაფილთა თუ ცხოველთა სამყაროზე. თუმცა ამ შემთხვევაშიც მათი პოეზია ვერ სცდებოდა ეპიზოდური წარმოსახვის სამანს. პოეტ ქალთა შემოქმედებაში გვხვდება აგრეთვე პიროვნული ლირიკისათვის დამახასიათებელი მოტივებიც, პირად განწყობილებათა წარმოსახვის ცდებიც, ფიქრები სიყვარულზე, მოვლენების მათეული აღქმა. მაგრამ, თემატიკის თვალსაზრისით, რაც არ უნდა მრავალფეროვანი იყოს პოეტ ქალთა შემოქმედება, ჩვენამდე შემორჩენილ ამ პოეზიას აკლია სიღრმე, ახლის ძიება და საკუთარი მსოფლმხედველობრივი მრწამსის წარმოსახვა პოეტური ასოციაციების დონეზე. ამიტომ ამ მხრივ გვიანი ხანის პოეტ ქალთა პიროვნული სამყარო შედარებით ღარიბია. ამ თვალსაზრისით სრულიად განსხვავებული ადგილი უჭირავს საფოს პოეზიას. მიუხედავად იმისა, რომ მის პოეზიაში ასახვა ჰპოვა წმინდა ქალურმა იდეალებმა, და რომ ეს პოეზია საუკეთესო ნიმუშია პლატონის მიერ სახელმწიფოში პოეტი-ქალისადმი განკუთვნილი როლისა, მაინც, შეიძლება ითქვას, რომ სა-

ფო სხვა პოეტებთან შედარებით (ვგულისხმობთ როგორც ქალ, ასევე მამაკაც პოეტებს) გაცილებით უკეთ ვრძნობს და უკეთ ხედავს იმ ზოგადსა და ამაღლებულს, რასაც იგი, როგორც პოეტი, ვაჰყავს თავისი პოლისის, ვარკვეული ეპოქისა და ვარკვეული პოლიტიკური მოვლენებით შემოფარგლული საზღვრებიდან და აზიარებს ყველაზე უფრო უნივერსალურსა და გლობალურს, რაც არ არის არც დროითა და არც ამა თუ იმ ეპოქის პოლიტიკური თუ სახელმწიფოებრივი ინტერესებით განსაზღვრული. ეს არის სფერო მზის მარადიული ნათელისა, რომელშიც, როგორც ჩანს, საფოსათვის ღვთაებრივ სამყაროსთან ზიარება მოიაზრება. ეს არის შეგვრძნება საკუთარი უკვდავებისა, რადგან თვით პოეზია არის უკვდავი; ეს არის საოცარი უნარი ადამიანებსა, საგნებსა და მოვლენებში განსაკუთრებული მშვენიერების აღმოჩენისა. საფოს სიმაღლეს ლირიკულ პოეზიაში ვერ მიაღწია გვიანი ხანის ვერცერთმა პოეტმა ქალმა. მიუხედავად იმისა, რომ გვიანი ხანის ლირიკოს ქალთა შემოქმედებაში შეინიშნებოდა შემოქმედებითი ინიციატივაც ახალი ფორმების ძიებისა, რაზეც მეტყველებს პრაქსილასა და ტელესილას ფრაგმენტები და მათი სახელებით წოდებული სალექსო საზომები; მაინც მათი პოეზია მოკლებული იყო იმ ზოგადსა და ამაღლებულს, რასთან ზიარებაც შესძლო საფომ.

ძველი საბერძნეთის პოეტ ქალთაგან ბოლო, რომლის შემოქმედების ნიმუშებმაც ჩვენამდე მოაღწია, არის მელინო (ძვ. წ. ა. II თუ I ს. ს.). მისი ერთადერთი სრულ-

ლად შემონახული ლექსი ეძღვნება რომს და სიმბოლურადაც შეიძლება მივიჩნიოთ იგი ძველი საბერძნეთის ლირიკიდან რომაულ ლირიკაზე გარდამავალ საფეხურად.

რომაული ხანის პოეტ ქალთა შესახებ ჩვენამდე მცირერიცხოვანი ცნობებია შემორჩენილი. ერთ-ერთი პირველი სახელი რომაელი პოეტი ქალისა არის მემია ტიმოთეო, რომელიც ყოფილა ენიუსის თანამედროვე (ძვ. წ. ა. III—II ს. ს.). ისიდორე სევილიელი მის ნაწარმოებთა შორის ასახელებს აპოლონიასა და მუზებისადმი მიძღვნილ ჰიმნებს. სალუსტიუსი მოიხსენიებს პოეტესა სემპრონიას, რომელიც დეკიუს იუნიუს ბრუტუსის მეუღლე ყოფილა. რომაელი პოეტი ქალის კალპურნია პისპულას სახელი გვხვდება პლინიუს უმცროსთან. ცნობილი ყოფილა აგრეთვე ვინმე კორნიფიკია.

ოვიდიუსი თავის „ტრისტიებში“ აქვებს ვინმე პერილას (III, 7), რომელიც თხზავდა ლექსებს. პროპერციუსი ხოტბას ასხამს პოეტესა კინთიას (II, III). სხენებულ პოეტ ქალთა ქმნილებებს ჩვენამდე არ მოუღწევიათ.

შედარებით მეტი რამ ვიცით იმ პოეტებზე, რომელთა ცხოვრების ხანა ახ. წ. ა. II საუკუნით იწყება. მათი ქმნილებების ჩვენამდე შემორჩენილი ფრაგმენტები მეტად ღარიბია. ამდენად, ჩვენი ცოდნაც მათ შემოქმედებაზე შესაბამისად არასრულყოფილ ხასიათს ატარებს.

ვინ არიან ეს პოეტები?

ამ შემთხვევაში ერთმანეთისგან უნდა გავარჩიოთ ბერძენი და რომაელი პოეტი ქალები, რამდენადაც ამ პერიოდში ერთმანეთის გვერდით ვითარდებოდა რო-

გორც ბერძნული, ისე რომაული ლიტერატურა. უფრო მეტიც, რომაულ ლიტერატურაში შეინიშნება ძველი ბერძნული ლიტერატურისაკენ განსაკუთრებული მიქცევის პროცესი, რომელშიც გადამწყვეტი როლი ითამაშა პადრიანეს (117—138 წწ.) პოლიტიკამ, რამეთუ მას შედეგად მოჰყვა პროვინციათა აღმავლობა და იტალიის გავლენის დაქვეითება. პროვინციული არისტოკრატის პრივილეგირებულმა მდგომარეობამ, მასობრივმა რელიგიურმა მოძრაობებმა, რომლებიც აღმოსავლეთიდან მომდინარეობდა, ბერძნული კულტურისაკენ შემობრუნებამ, ახალი ფურცელი გადაშალეს რომის იმპერიის კულტურულ ცხოვრებაში, სადაც უმთავრესი ადგილი დაიკავა ბერძნულენოვანმა აღმოსავლეთმა. დაიწყო ე. წ. კულტურული გამოცოცხლება, რომლის ცენტრებსაც მცირე აზიის ბერძნული ქალაქები წარმოადგენდნენ. ზშირად ამ პერიოდს „ბერძნული აღორძინების“ ხანას უწოდებენ: მაგრამ ამ „აღორძინების“ ჩრდილში იჩქმალებოდა დაღმავალი საზოგადოების ქრობა. ბერძნული პროვინციები საზრდოობდნენ თვიანტი ვიწრო პროვინციული ინტერესებით. I საუკუნის II ნახევარში ცნობილი ორატორი დიონი ასე მიმართავდა უძველესი კულტურის მქონე როდოსელებს: „თქვენი წინაპრები თავიანთი სიქველის გამოვლენის სხვადასხვა საშუალებებს ფლობდნენ. ეს იყო სხვებზე მბრძანებლობის უფლება, მეკავშირეთა შეძენის შესაძლებლობა, ქალაქთა დაარსების ძალა, მტრებზე ამაღლება. თქვენ ეს საშუალებები აღარ გაქვთ. რაც თქვენ გაგაჩნიათ — ეს არის საკუთარი თავების ფლობა, საკუთარი ქალაქის მმართველობა, ჯილ-

დრთა და პატივთა დარიგებისა თუ საბჭოში ჯდომის უფლება, ღმერთების კულტი, საზეიმო ცერემონიები“. დიონის ამ სიტყვებში ნათლად ისახება იმ პერიოდის სურათი: თვითკმაყოფილება, შემოქმედებითი აზრის არარსებობა, მისწრაფებათა და ინტერესთა შეზღუდულობა და ბოლოს, ბერძნული წარსულისადმი თაყვანისცემა. ბერძნული არქაული ტენდენციები თავს იჩენენ ყოფითსა თუ რელიგიურ სფეროში, იზრდება ინტერესი პანელინური დღესასწაულებისადმი, თავის უფლებებს იბრუნებს დელფოს მისნის მივიწყებული დიდება.

ფილოსოფია იძენს სასკოლო ხასიათს და ძველ მოაზროვნეთა კომენტარებით იფარგლება. განათლებულ ადამიანთა რიცხვი მნიშვნელოვნად იზრდება, მაგრამ დაბლდება მათი განათლების დონე. დეგრადირების გზას ადგას მეცნიერება, რომელიც მიისწრაფის დამოუკიდებელი შემოქმედებითი კვლევებიდან კომპილაციისაკენ. შედარებით ინტენსიური სამეცნიერო მუშაობა გრძელდება ალექსანდრიაში: ეგვიპტე იყო ის ქვეყანა, რომელსაც ყველაზე ნაკლებად შეეხო „ბერძნული აღორძინება“, ქვეყანა, რომელმაც ყველაზე მეტად შეინარჩუნა ელინიზმის კულტურული ტრადიციები.

ადამიანის სულიერ სფეროში შეინიშნება ბედისადმი მორჩილება, სრული უმოქმედობა, ე. წ. „უმცროსი სტოა“ უბრუნდება სტოიკოსთა ეთიკურ ინდივიდუალიზმს, მაგრამ უკვე ადამიანის შემოქმედებითი ძალის რწმენის გარეშე. ადამიანი მარტოღმარტო რჩება თავის სულიერ სამყაროსთან. გარე სამყაროს განრინებული საკუთარი თავის შეცნობა ვლინდება ძირითადად რელი-

გიური და მისტიური განცდების ინტენსიფიკაციით. სასკოლო ფილოსოფია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ეპიკურულ მატერიალიზმს, ქადაგებს ერთი ღვთაების რწმენას, სულის უკვდავებას და მოუწოდებს ასკეტიზმისაკენ. იმპერიის პერიოდის თითქმის ყველა მოაზროვნე დაინტერესებულია რელიგიური საკითხებით. ღვთაებრივი განჭვრეტა და უშუალო გამოცხადება მნიშვნელოვან როლს თამაშობს ყველა ფილოსოფიურ სისტემაში: სტოიკოსებთან, ნეოპითაგორელებთან, მოგვიანებით (II საუკუნიდან) — ნეოპლატონიკოსებთან. ბევრი ეძიებს გამოსავალს გაუბრალოებაში, თავისებურ ხალხურობაში; სურთ გააცოცხლონ ძველი რელიგია მითების ალეგორიული განმარტებით, ცდილობენ განახავონ ეს მითები ხალხის ფართო მასებში გავრცელებული აღმოსავლური წარმოდგენებით. დიდი პოპულარობით სარგებლობენ წინასწარმჭვრეტელები, საკვირველმოქმედნი, ასტროლოგები. იწყება მონათმფლობელური საზოგადოების კრიზისი. რომაული სამყარო ჩიხში ექცევა. მონურ მდგომარეობაში ყოფნა შეუძლებელი ხდება. ასევე შეუძლებელი ხდება თავისუფალთა შრომა მორალური თვალსაზრისით. ამ მდგომარეობიდან გამოსვლა მოითხოვდა არსებით გარდაქმნებს. III საუკუნეში იმპერიის აღმოსავლური ნაწილისათვის გადამწყვეტი როლი ითამაშა ამ კრიზისმა. ავგუსტუსის მიერ შექმნილი რომის იმპერია დაემხო, შეიცვალა იგი აბსოლუტური მონარქიით, სადაც თავი იჩინეს ფეოდალურმა ელემენტებმა. მონათმფლობელური წყობა თანდათანობით შეიცვალა უფრო პროგრესული, ფეოდალური წყობით.

ახალი იმპერიის ცენტრი მალე გადაინაცვლებს კონსტანტინეპოლში (330 წ.), სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდება ქრისტიანობა, რომაული იმპერია შეიცვლება ბიზანტიურით.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარმა ამ ძირეულმა გარდატეხებმა თავისი ასახვა ჰპოვეს კულტურის სფეროშიც.

II საუკუნის რომაულ ლიტერატურაში I საუკუნის ბრწყინვალეობა მინელდა და დადგა ე. წ. დაცემის ხანა. პოეტურ ნაწარმოებთა ის მცირერიცხოვანი ძეგლები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს, გვიჩვენებენ სწრაფვას მდარე შინაარსისაკენ, ყოველდღიურ, ყოფით გრძნობათა და მოვლენათა წარმოსახვისაკენ. I საუკუნისათვის დამახასიათებელი პათეტიკური ტონი მივიწყებას ეძლევა, შეინიშნება გართულებულ, ღვლარქნილ ფორმათა ძიებისაკენ მიდრეკილება. რომაულ ლიტერატურაში, ისევე, როგორც ამ პერიოდის ბერძნულ ლიტერატურაში,<sup>1</sup> თავს იჩენს ე. წ. არქაიზმი — სიძველეებით ტკბო-

<sup>1</sup> ბერძნულ ლიტერატურაში ვაბატონებულ მიმდინარეობას ატიკიზმი წარმოადგენდა. ეს იყო ელინისტურ ლიტერატურაში ვაბატონებული სხვადასხვა სტილის ტენდენციების წინააღმდეგ მიმართული რეაქცია, „კლასიკოსებთან“, ანუ როგორც თავად ბერძნები უწოდებდნენ, „ძველებთან“ მიბრუნება. „ძველების მიბაძვა“ იყო ამ მოძრაობის ლიტერატურული ლოზუნგი, ატიკიზმმა, უპირველეს ყოვლისა, ლიტერატურული ენის რეფორმა განახორციელა. ამ რეფორმის თანახმად, ენიდან გაძევებულ იქნა ის სინტიჟვები და გამოთქმები, რომლებიც არ დაიძებნებოდა აღიარებულ „კანონიკურ“ ატიკურ ტექსტებში. ეს კი თანდათანობით აღრმავებდა ზღვარს სამწერლო და სამეტყველო ენებს შორის. ატიკიზმის გამარჯვების კვალი აღიბეჭდა ბერძნული ენის მთელ შემდგომ განვითარებაში.

ბა, ციცერონამდელი პერიოდის რომაული ლიტერატურისადმი ანტიკვარული და სტილისტური ინტერესების გამოვლენა. არქაულობისადმი მიდრეკილება შეინიშნებოდა I საუკუნეშიც, მაგრამ იმხანად ამას სპორადული ხასიათი ჰქონდა. უკვე II საუკუნიდან ეს იქცა მოდად. იმპერატორი ჰადრიანე ციცერონსა და ვერგილიუსზე მაღლა აყენებდა კატონსა და ენიუსს. არქაისტული მოძრაობის ლიდერად ასახელებენ ორატორ ფრონტონს (დაახლ. 100—175 წ. წ.), მარკუს ავრელიუსის მოძღვარს. ანტიკური საზოგადოების შემოქმედებითი ძალების დაშრეტის პერიოდში თავი იჩინა მიდრეკილებამ ძველ ავტორთა თხზულებების შემოკლებათა, ან ამ თხზულებებიდან ამონაწერების კრებულთა შედგენისაკენ<sup>1</sup>. ხშირად მხატვრულად გაფორმებულ ამ ამონაწერებს აქვთ უდიდესი მნიშვნელობა არამარტო კულტურული-ისტორიული თვალსაზრისით, არამედ იმიტაც, რომ სწორედ მხოლოდ მათი საშუალებით ვეცნობით ჩვენ მრავალი ავტორის შემოქმედებას. გვიანანტიკური ხანის მოაზროვნეთა ამ მიდრეკილებას უნდა ვუმაღლოდეთ იმას, რომ ჩვენამდე მოაღწია არქაული ხანის დიდებულ შემოქმედთა მრავალრიცხოვანმა ნიმუშებმა, მაშინ როდესაც ავგუსტუსისა და I საუკუნის იმპერიის მეორეხარისხოვან ავტორთა კვალიც კი გამჭრალა.

რომის ლიტერატურული ცხოვრების დაკნინების პარალელურად შეინიშნება ერთგვარი შემოქმედებითი გა-

<sup>1</sup> ნიმუშად დავასახელებთ ავლუს გელიუსის „ანტიკურ ლამეებს“. ეს არის 20 წიგნისაგან შემდგარი აღნიშნული ხასიათის კრებული.

მოცოცხლება იმპერიის დასავლეთ პროვინციებში, სადაც ლათინური ენა კულტურის ძირეულ ენად ითვლებოდა. ამ დრომდე რომი იყო ლათინურენოვანი ლიტერატურის ერთადერთი ცენტრი, რის გამოც იზიდავდა პროვინციათა კულტურულ ძალებს. პროვინციათა მნიშვნელობის ზრდასთან ერთად ეს მდგომარეობა იცვლება, სწორედ პროვინცია აფრიკა აძლევს II საუკუნის რომის ლიტერატურას ერთ-ერთ ყველაზე მეტად საინტერესო მწერალს — აპულეუსს. ამ პროვინციაში ყველაზე ადრე იჩენს თავს ლათინურენოვანი ქრისტიანული ლიტერატურა, რომლის ფუძემდებლად ტერტილიანუსი (დაახლ. 150—230 წ. წ.) არის მიჩნეული.

ახლა კონკრეტული პასუხი გავცეთ ზემოთ დასმულ კითხვას: ვინ არიან ამ ეპოქის ის პოეტები, რომელთა სახელებმაც და შემოქმედების ფრაგმენტებმაც მოაღწიეს ჩვენამდე. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ იულია ბალბილა, ცეცილია ტრებულა და დემო, რომელთა მოღვაწეობის პერიოდი ჰადრიანეს მმართველობის ხანას ემთხვევა. მათი ჩვენამდე შემონახული ნიმუშები ეხება ერთ თემას — მემონის კოლოსის ხილვით მიღებულ შთაბეჭდილებებს. ამ ფრაგმენტების მიხედვით ჩვენ ვერაფერს ვიტყვით მათ შემოქმედთა პოეტურ ნიჭზე; ჩანს, ჰადრიანეს კარზე თავმოყრილ განათლებულ ქალთა შორის ე. წ. ლიტერატურულ მოდად იყო ქცეული ლექსების თხზვა ბერძნულ ენაზე.

ბერძნულენოვან პოეტ ქალთა ქმნილებებიდან ჩვენამდე მოაღწია აგრეთვე ვინმე თეოსებეას ერთმა ეპიგ-

რამამ, რომელსაც მკვლევარნი II—IV საუკუნეებში შექმნილად მიიჩნევენ.

შედარებით საინტერესოა ამ პერიოდის რომაელი პოეტი ქალის იულია სულპიცის შემოქმედება, თუმცა ამ პოეტესას არსებობაც საკარუდოა. მას ასახელებს ტიბულუსი თავის ელეგიებში და მის ექვს ქმნილებას თავადვე წარმოგვიდგენს.

რა თქმა უნდა, ყოველივე ამის გვერდით რომაულ ლიტერატურაში შეინიშნება შემოქმედებითი პოტენციაც. მაგალითად, IV საუკუნის მიწურულში, იტალია იბრუნებს რა თავის პოლიტიკურ მნიშვნელობას, კვლავ თავს იჩენს კარის პოეზია პოლიტიკური თემატიკით.

გვიანი პერიოდის რომაული პოეზიის მრავალმა ნიმუშმა ჩვენამდე მოაღწია „ლათინური ანთოლოგიით“ სახელდებულ კრებულში, რომელიც უნდა შედგენილიყო VI საუკუნეში პროვინცია აფრიკაში. მასში თავმოყრილია სხვადასხვა პერიოდის ქმნილებები.

დასავლეთის იმპერიის რღვევამ, ბარბაროსულმა შემოსევებმა, ანტიკური საზოგადოების ფეოდალურში გადასვლამ განასრულეს ძველი რომაული ლიტერატურის ქრობის პროცესი. VI—VII საუკუნეების მიჯნაზე იგი უკვე ჩამქრალია და მისი ლიტერატურული ფორმები ნაწილობრივ გარდაისახება ადრეული ხანის ბიზანტიური ლიტერატურის ყანრებში.

ჩვენამდე მოაღწია IV საუკუნის პოეტი ქალის პრობას შემოქმედების ნიმუშებმა, სადაც შეინიშნება ერთგვარი შერწყმა წარმართული და ქრისტიანული აზროვნებისა.

ჩვენთვის ცნობილია ვინმე ჰიპათია (გარდ. 415 წ.), მათემატიკოს თეონის ქალიშვილი. მისადმი მიძღვნილ ეპიგრამაში შექებულია მისი ენა და სილამაზე (ავ IX, 400); ცნობილია, რომ ლექსებს თხზავდა ოლიმპოდორეს ასული (იხ. მარინუსი), ვინმე დემო V საუკუნეში ქმნიდა ალევგორიულ ინტერპრეტაციებს „ილიადასა“ და „ოდისეასთვის“. ამის შესახებ გადმოგვცემენ ცეცე და ეესტათიოსი.

ეგვიპტელ პამფილეს ისტორიულ-ლიტერატურულ შრომათა 33 წიგნი ჰქონია გამოცემული. მის შესახებ მოგვითხრობს ფოტიოსი.

ერთ-ერთ ეპიგრამაში (ავ VII, 413) შექებულია ვინმე ჰიპარქიას სიბრძნე. ჩვენამდე ამ ქალთა სახელების მეტი არაფერი შემონახულა.

ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიკოსები IV საუკუნეს თვლიან პროზის საუკუნედ. თუმცა ამ საუკუნეში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ჭეშმარიტად დიდი პოეტი გრიგოლ ნაზიანზელი. რა თქმა უნდა, ამ პერიოდში მოღვაწეობდნენ სხვა პოეტებიც, მაგრამ მათი სახელები ამ დიდებული შემოქმედის ჩრდილშია მოქცეული. ამ უმნიშვნელო პოეტთა შორის ჩვენამდე მოაღწია ბერძნულენოვანი ლიტერატურის ერთადერთი წარმომადგენელი ქალის ევდოკიას პოემამ „წმინდა კიპრიანეს ცხოვრება“. უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში ევდოკია არ იყო ორიგინალური, მისი ქმნილება არ გამოირჩეოდა მაღალი პოეტურობით თუ დახვეწილი გემოვნებით, და მაინც, ეს პოემა ყურადღებას იპყრობს, რამდენადაც

მასში ჩანს წარმართული და ქრისტიანული ეპოქების მიჯნაზე მოღვაწე პოეტი ქალის ხელწერა.

ჩვენამდე მოაღწია აგრეთვე VI საუკუნის რომელიც პოეტი ქალის ევხერიას ერთადერთმა ლექსმა, რომელიც ინტერესს იწვევს კეთილშობილ ქვათა, ცხოველურ თუ მცენარეულ სამყაროთა უჩვეულო დაპირისპირებებით, თუმცა წინამორბედები მასაც დაეძებნება.

ხანგრძლივმა კრიზისმა, რომელმაც შეარყია III საუკუნის რომის იმპერია, როგორც აღინიშნა, გამოიწვია ლიტერატურისა და საერთოდ, შემოქმედებითი ცხოვრების დაქვეითება. აღორძინების პროცესი შეინიშნება მხოლოდ ამ კრიზისის გადალახვის შემდგომ, მაგრამ მისი განვითარების პირობები მკვეთრად არის შეცვლილი. აბსოლუტურ მონარქიას, რომელიც III საუკუნის მიწურულს იქმნება, ცენტრი რომიდან კონსტანტინოპოლში გადააქვს. მალე გაბატონებულ რელიგიად ცხადდება ქრისტიანობა. ლიტერატურულ პროცესში წამყვანი როლი უკვე ქრისტიანულ ლიტერატურას მიეკუთვნება. ანტიკური ლიტერატურა კარგავს თავის შესაძლებლობებს, იგი გაყინვის პროცესშია.

ქრისტიანული ლიტერატურის განვითარებასთან ერთად ამ პერიოდში შეინიშნება ერთგვარი შემობრუნება რომაული ლიტერატურისაკენ. IV საუკუნის II ნახევარში იქმნება არისტოკრატთა ჯგუფი ორატორ სიმაქუსის მეთაურობით, რომელიც მიზნად ისახავს რომაული ლიტერატურის აღორძინებას. ძველ ავტორთა თხზულებების გამოცემა, გართულებული, დვლარჭნილი ფორმა, სასკოლო პედანტიზმი, სიმბოლურ-ალეგორიული ფან-

ტასტიკა — ამ პერიოდის ლიტერატურის დამახასიათებელი თვისებებია. ლიტერატურული მიმდინარეობის ერთ-ერთ სახედ ყალიბდება ე. წ. „კენტონები“, ნაწარმოებები, რომლებიც იქმნება სხვადასხვა ავტორთა სხვადასხვა ქმნილებების ფრაზათა შეერთებით.

IV—VI საუკუნეების მწერალთა დამოკიდებულება წინამორბედი ლიტერატურისადმი ერთგვარად წინააღმდეგობრივ ხასიათს ატარებს. ეს წინააღმდეგობა ძირითადად გამოიხატებოდა ტრადიციის ძალმოსილებასა და სულიერ თუ საზოგადოებრივ სფეროებში არსებულ გარდაქმნათა წარმოუდგენელ სიღრმეში. ამ მეტად მნიშვნელოვანი მოვლენის ფონზე თავი იჩინა გარკვეულმა მოულოდნელობებმა: სწორედ იქ, სადაც უნდა მომხდარიყო წარმართულ სიძველეთაგან განრიდება, ლიტერატურული ფორმა ტრადიციონალიზმის გზას ირჩევს, ხოლო იქ, სადაც მოსალოდნელი იყო შეუცვლელი, ყოველივე გარდაისახა. ადრეული ხანის ბიზანტიური ლიტერატურის ეს პარადოქსი შეიძლება გაგებულ იქნას უფრო ფართო სოციალ-ისტორიული და კულტურულ-ისტორიული პარადოქსების ფონზე. რომაული იმპერიის უნივერსალიზმში, ნეოპლატონური ფილოსოფიისა და სხვა ანალოგიური ფენომენების უნივერსალიზმში ანტიკურმა ცივილიზაციამ თავისი ისტორიული გზის დასასრულს მიაღწია ისეთ სინთეზს, რომლის სიღრმეშიც კვლავ დაივანეს მეტაფორების, ალეგორიების, სიმბოლოების თუ სხვა ფორმებით გამოვლენილმა მისმა მთავარმა კომპონენტებმა.

თუ IV—VI საუკუნეები ჯერ კიდევ ანტიკური ტრადიციებით სუნთქავდნენ, VII საუკუნიდან უფრო და უფრო მკვეთრად იგრძნობა ლიტერატურის ვულგარიზაციის პროცესი.<sup>1</sup> კლასიკური ტრადიციები დავიწყებას ეძლევა, კულტურის მემკვიდრეობითობის შეგრძნება, დაკავშირებული ანტიკურ პერიოდთან, კარგავს თავის აქტუალობას, ძველ ნიმუშთა რაფინირებული იმიტაციების მიმართ თანდათან ქრება ინტერესი. ყოველივე ამასთან ერთად იზრდება მოთხოვნილება იმ უანრების მიმართ, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ სამონასტრო თუ საეკლესიო ცხოვრებასთან. „ცხოვრებანი“ და ლიტურგიკული პოეზია, რომელიც ჯერ კიდევ VI საუკუნეში ლიტერატურული პროცესის პერიფერიებში იყვნენ განდევნილნი, ახლა უკვე ლიტერატურული ცხოვრების ცენტრში ექცევიან.

„ბუნებრივია, რომ ბიზანტიური ლექსი თავისი განვითარების გზაზე თანდათან ჩამოიშორებდა პირველ, ფორმალურ მხარეს, ხელს აიღებდა ანტიკური ლექსთწყობის წესთა ხელოვნურად გამოყენებაზე და მთლიანად დამყარებოდა ენის ბუნებრივ წესებზე შემუშავებულ კრიტერიუმებს. ლექსის განვითარების ეს პროცესი დამთავრებული ჩანს VI საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც რომანოზმა შეთხზა ისეთი ჰიმნები, სადაც ანტიკური მეტრიკის წესები აღარ ჩანს გამოყენებული და რიტმულობა ემყარება ბიზანტიურ-ბერძნული ენის ბუნებრივ თვისებებს.

<sup>1</sup> ბიზანტიის ისტორია, მოსკოვი, 1967: ს. ს. ივერიანცივი, ა. ი. სარკინი, ლიტერატურა, გვ. 87.

ასე ჩამოყალიბდა ის ბიზანტიური ლექსი, რომელიც რიტმულ პოეზიას განეკუთვნება“.<sup>1</sup>

ბიზანტიური რიტმული პოეზიის განვითარებაში გამოჰყოფენ ორ პერიოდს:

პირველი პერიოდი მოიცავს VI—VII საუკუნეებს. ამ დროს სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის ე. წ. მცირეაზიულ-სირიული სკოლა, რომლის წარმომადგენლებსაც მიეწერებათ მეტად რთული რიტმული მეტრიკის მქონე და შემდგომი ხანის ნაწარმოებებზე მხატვრულად გაცილებით მაღლა მდგომი პოეტური ნიმუშების — კონტაკიონების შექმნა (ამ სკოლის წარმომადგენელია რომანოზ მელოდოსი).

მეორე პერიოდი განისაზღვრება VIII—X საუკუნეებით. ამ დროს იქმნება ბიზანტიური პოეზიის ახალი სკოლა, რომლის წარმომადგენელთა შემოქმედება უშუალოდ იყო დაკავშირებული იმ პერიოდის ბიზანტიის საგარეო თუ საშინაო მდგომარეობასთან. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს არაბთა შემოსევისა და ღრმა სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის მოძრაობის — ხატსმებრძოლეობის ფაქტები. ამ სკოლამ დაამკვიდრა საგალობლების ახალი უანრი — „კანონები“, რომლებმაც დაიროდილეს „კონტაკიონები“. განსხვავება რიტმული პოეზიის ამ ორ უანრს შორის იმაში მდგომარეობს, რომ „კანონებში“ განახლებულია კავშირი ანტიკურ პოეზიასთან. „კანონები“ იგივე „კონტაკიონებია“, მაგრამ უფ-

<sup>1</sup> ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1973, გვ. 129.

რო მტკიცე, სავალდებულო ჩარჩოებში მოთავსებული, რთულ არქიტექტონიკულ სამოსელში გახვეული“ (ს. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 165).

VIII—IX საუკუნეებში პოლიტიკური ვითარების გამწვავების გამო ლიტერატურა შორდება ხალხურ საწყისებს და კვლავ ფეხს იდგამს ის ხელოვნური მიმართულება, რომელიც ცდილობდა კლასიკური პოეზიის ნორმების აღდგენას, იწყება რეაქცია რომანოზის მიერ დამკვიდრებული, ხალხური პოეზიის რიტმულობაზე აგებული კონტაკიონების წინააღმდეგ. ლიტერატურულ წრეებში ცდილობენ დაუბრუნდნენ პოეზიის ანტიკურ საწყისებს, რის გამოვლენასაც წარმოადგენს ბიზანტიური ეპიგრამული პოეზია. ეს უნარი იმ პერიოდის ბიზანტიურ ლიტერატურაში ფართოდ იკიდებს ფეხს.

ბიზანტიური ეპიგრამები თავისი ფორმითა თუ შინაარსის მრავალაფეროვნებით თითქმის იმეორებდნენ ალექსანდრიული ხანის ეპიგრამებს. რა თქმა უნდა, ბიზანტიური ეპიგრამული ლიტერატურის ერთ ნაწილს ქრისტიანობის დადი აზის. ის გარემოება, რომ ბიზანტიელი ეპიგრამატიკოსები მეტწილად სასულიერო წოდებას ეკუთვნოდნენ, უკვე თავისთავად ამტკიცებს ბიზანტიური ეპიგრამატული ლიტერატურის საქრისტიანო ხასიათს. ამ შემთხვევაშიც ორი ძირითადი მიმართულება გამოიყოფა: ვანცალკევებულად დგანან ის ეპიგრამატიკოსები, რომლებიც ბიზანტიური ლიტერატურის განვითარების იმ პერიოდში მოღვაწეობდნენ, როდესაც ლიტერატურა საკუთარ, წმინდა ბიზანტიურ გზაზე იყო დამ-

დგარი (გიორგი პისიდიელი, თეოდორე სტუდიტე, კასია). მათგან განსხვავდებიან როგორც VI საუკუნის (აგათია), ისე X—XI საუკუნის ეპიგრამატიკოსები (იოანე გეომეტრე, ქრისტეფორე მიტილენელი), რომელთა შემოქმედების წყაროსთავალი ანტიკური ლიტერატურა იყო.

როგორც ვხედავთ, VII—IX საუკუნეები ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიაში დაძაბული, წინააღმდეგობებით აღსავსე, მრავალ სიახლეთა შემცველი იყო. ამ პერიოდში მოღვაწეობდნენ დიდებული მწერლები და პოეტები, რომელთა შემოქმედებამაც დიდად განსაზღვრა მთელი შემდგომი ლიტერატურის განვითარება. ამ მრავალრიცხოვან შემოქმედთა პლეადაში თითქმის მთელი სამი საუკუნის მანძილზე არ ჩანს ქალი — მწერალი, რომლის შემოქმედების თუნდაც უმნიშვნელო ფრაგმენტებს მოედწიოს ჩვენამდე, მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდის ბიზანტიაში განათლებულ ქალთა ნაკლებობა არ შეიმჩნეოდა, მაგრამ IX საუკუნე ჩვენ გაგვანებიერებს ორი პოეტი ქალის სახელით: ერთ-ერთი მათგანია დუოდა, რომელსაც ლათინურ ენაზე დაუწერია უფროსი ვაჟისადმი მიძღვნილი დასამოძღვრავი წიგნი, სულიერი ანდერძი, რომლის ვითარცა მხოლოდ ლიტერატურული ძეგლის განხილვა, არ იქნებოდა სამართლიანი. ამ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ დუოდა ამ წიგნს წერდა თავისი ვაჟის დასამოძღვრად და ალბათ, არც ჰქონია პრეტენზია ლიტერატურულ მოღვაწეობაზე. მეორე ქალი, როაელიც ამ საუკუნეში გამოჩნდება სამოღვაწეო ასპარეზზე, იქნება კასია, ჰემმარიტად პოე-

ტური სულის არსება, ამაღლებული შემოქმედი, რომლის ცხოვრებაზე ლეგენდები შეითხზება და, რომლის შემოქმედების შესწავლასაც მრავალი ნაშრომი მიეძღვნება.



### ს ა ფ ო ს<sup>1</sup>

(ძვ. წ. ა. VII—VI ს. ს.)

საფოს შემოქმედების ნიმუშებმა ძველ ბერძენ მელიკოსთა შორის შედარებით მეტი რაოდენობით მოაღწია ჩვენამდე. ახალი პაპიროლოგიური აღმოჩენები თანდათანობით აშორებენ საფოს ლეგენდარულისა თუ ნახევრადლეგენდარულის სფეროს და თანამედროვე მკითხველთა წინაშე რეალური სახით წარმოაჩენენ. უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაზშირდა და გაფართოვდა არამარტო საფოს ფრაგმენტთა გამოცემები, არამედ იმ გამოკვლევათა რაოდენობაც, რომელთა მიზანია განსაზღვრონ საფოს ადგილი ბერძნული, და საერთოდ, მსოფლიო ლირიკის განვითარებაში. ამ ნაშრომთა ავტორები მეცნიერულად ასაბუთებენ საუკუნეების განმავლობაში გაბატონებულ აზრს საფოს პოეზიის გარდაუვალი შთამბეჭდაობის, მშვენიერების, ჭეშმარიტი ამაღლებულობის შესახებ.

<sup>1</sup> საფოს ცხოვრებისა და შემოქმედების ანალოზისთვის იხ. ნ. ტონია, საფოს პოეტური სამყარო, თბილისი, 1990.

საფო დაიბადა კუნძულ ლესბოსის ქალაქ ერესოსში. საფოს ცხოვრების წლები ტირან პიტაკოსის მოღვაწეობის ხანას ემთხვევა (ძვ. წ. ა. VII—VI ს. ს.). არისტოკრატთა დევნის დროს VI საუკუნის პირველ წლებში საფო სიცლიაში გაქცეულა. ვარაუდობენ, რომ იგი წარჩინებული ოჯახიდან იყო, რის გამოც პიტაკოსის რისხვა მასაც შეეხო. საფოს ლექსებში არავითარი კვალი არ ჩანს იმისა, რომ მას მიტილენეს პოლიტიკურ ბრძოლებში მიეღოს მონაწილეობა. ვარაუდობენ, რომ იგი გადასახლებაში გაჰყვა თავის ქმარს, ლესბოსელ არისტოკრატს, რომელსაც პოლიტიკური ბრძოლების დროს სდევნიდნენ. ძვ. წ. ა. 560 წლის მახლობელ ხანებში პიტაკოსმა ამნისტია გამოაცხადა. პოეტი ქალი ამ დროს უნდა დაბრუნებულიყო მიტილენეში.

საფოს ჰყოლია ქალიშვილი, სახელად კლეისი. მსგავსი სახელი უნდა რქმეოდა პოეტის დედასაც. საფოს მამის სახელი იყო საკამანდროსა. საფოს ჰყავდა სამი ძმა — ერიგიოსი, ლარინოსი და ჯარაქსოსი.

საფო ყოფილა მომცრო ტანის, შავგვრემანი ქალი. ჩვენამდე მოაღწია მისმა რამდენიმე გამოსახულებამ, მათ შორის ყველაზე საინტერესოდ მიიჩნევენ ცნობილ მიუნხენურ ლარნაკს საფოსა და ალკეოსის გამოსახულებით (VI ს. ძვ. წ. ა.), მაგრამ მას მხოლოდ მხატვართა ფანტაზიას მიაწერენ მკვლევარნი.

საფოს გარდაცვალების შესახებ არსებობს ვადმოცემა, თითქოს მან, შეყვარებულმა ულამაზეს ჭაბუკ ფაონზე, რომელმაც უპასუხრდ დატოვა მისი გრძობა, თავი მოიკლა. ლეგენდის თანახმად, საფო ლეკადის (კუ-

ნძული აკარნანის სანაპიროსთან) კლდიდან გადაეშვა მღელვარე ზღვაში. ამ ლეგენდის გვერდით არსებობს სხვა ვადმოცემაც, რომელიც ატიკურ კომედიას მიეწერება. მის თანახმად საფო უზნეო ქალი იყო და ჰეტერა. თუ რამდენად უსაფუძვლო შეიძლება ყოფილიყო კომედიოგრაფოსების დამოკიდებულება მისდამი, ჩანს იმ ფაქტიდან, რომ კომიკოსმა პოეტმა დიფილოსმა მას დასწამა საყვარლობა არქილოქესი, რომელიც მასზე დიდი ხნით ადრე ცხოვრობდა. მაგრამ უკვე უძველეს ხანებში ცდილობდნენ დაეცვათ საფოს ღირსება. არსებობს ვადმოცემა იმის შესახებაც, რომ პოეტ საფოს გარდა კუნძულ ლესბოსზე ცხოვრობდა სხვა საფო, მიტელენელი ჰეტერა, რომელსაც მიაწერდნენ ყველა უზნეო საქციელს (იხ. ელიანე, სხვ. ამბ. 12, 9). ბუნებრივია, ძალზე ძნელია ურთიერთგამომრიცხავ ვადმოცემათა შორის ჭეშმარიტების მიგნება, მსჯელობა იმ საკითხებზე, რომლებიც ესოდენ შორს დგანან მორალისა თუ ეთიკის ჩვენეული გაგებისაგან. როგორც არ უნდა წარმართულიყო საფოს ცხოვრება, ერთი რამ არის ნათელი — იგი იყო ჭეშმარიტად პოეტური სულის არსება, ზიარებული უმაღლეს პოეტურ ძალას. ეს კარგად ესმოდათ ანტიკური ხანის პოეზიის მესვეურთ, ამიტომაც აღიარებდნენ მას ძელიკის კორიფედ, გამოსცემდნენ მის წიგნებს და პოეტურ ტრაქტატებში ამაღლებული პოეზიის ნიმუშებად მის სიმღერებს ასახელებდნენ.

საფოს სიმღერათა პირველი კრიტიკული გამოცემა ალექსანდრიელ ფილოლოგებს მიეწერება (III ს. ძვ. წ. ა.). ეს უნდა ყოფილიყო კომენტარებითა და სათანა-

დო კრიტიკული აპარატით აღჭურვილი გამოცემა, რომლის მონაცემებსაც თანამედროვე მკვლევარნი დიდი ინტერესით ეკიდებიან დღესაც.

საფოს ტექსტის საკითხზე მსჯელობისას ჩვენ ვითვალისწინებთ დილის, ლობელ-პეიჯის, ტროის, ფოგტის თანამედროვე გამოცემებს, ამასთანავე დ. პეიჯის „დამატებას“. მათი გათვალისწინებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დღესდღეობით მოგვეპოვება მეტნაკლებად დადგენილი, დაახლოებით 1900-მდე კარგი საფოს ლირიკისა, მათ შორის 600-მდე კარგი არ ითარგმნება მეტისმეტი დანაწევრებულობის გამო. სხვადასხვა გამოცემათა შორის ტექსტის წარმოდგენისას შეინიშნება გარკვეული სხვაობანი, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ კითხვათ-სხვაობებს სიმღერათა შორის არა აქვთ პრინციპული ხასიათი.

ძალზე პირობითია საფოს შემოქმედებაში სიმღერათა ცალკეული ტიპების გამოყოფა თემატური პრინციპით. საფოს შემოქმედების მკვლევარნი დღეს, ჩვეულებრივ, ყველაზე უფრო გამოკვეთილ ფორმად მიიჩნევენ: ა) ეპითალამიებს, ბ) ჰიმნებს, გამოყოფენ აგრეთვე გ) „პროპემპტიკონებს“ („ვედრება მშვიდობიანი მოგზაურობისათვის“), დ) მეგობრებისადმი მიძღვნილ ფრაგმენტებს, ე) ინტიმურ ლირიკას, ვ) თრენებს. ჰესიხიოსი საფოს ნაწარმოებთა შორის მოიხსენიებს ეპიგრამებსა და ელეგიებს, მაგრამ მათგან ჩვენამდე თითქმის არაფერს მოუღწევია.

საფოს ტექსტთან დაკავშირებულ საკითხთა შორის, რასაკვირველია, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭი-

რავს პოეტის ენისა და სტილის საკითხებს. ამ მხრივ მრავალი ნაშრომი არის დაწერილი, რომელნიც ვეთავაზობენ საფოსა და საერთოდ, ეოლიური მელიკის ენის გრამატიკულ ანალიზს, მისი ადგილის განსაზღვრას ბერძნულ დიალექტთა შორის. ტრადიციულად, საფოს ენა მიჩნეულია ეოლიურ დიალექტად. საფოს პოეზიაში ჩანს სრულიად შეგნებული შეცვლა ე. წ. ჰომეროსის ფორმებისა ეოლიური ფორმებით, მაგრამ, ამასთან ერთად, მის პოეზიაში გვხვდება ისეთი ფორმებიც, რომლებიც არ უნდა ყოფილიყვნენ წმინდა ეოლიური და უფრო ეპიკური დიალექტის ფარგლებში არიან განსახილველნი. ჩვენის აზრით, საფოს პოეზიაში არის ცდა ეპიკური საერთო დიალექტიდან კონკრეტულ დიალექტზე — ეოლიურის ლესბოსურ ვარიანტზე გადასვლისა. შესაბამისად, საფოს პოეზიაში ერთმანეთს უპირისპირდება ორი ნორმა: 1. საერთო ეპიკური კონინე, როგორც გამაერთიანებელი მრავალი დიალექტური ფორმისა; 2. წმინდა ეოლიური დიალექტი, როგორც დაპირისპირებული ამ საერთო პოეტურ დიალექტთან. მონაცვლეობას ამ ორ ნორმას შორის ვადასტურებთ ჩვენ მთელს მის პოეზიაში. ეს კი უდაოდ მიგვიითთებს საფოს ტექსტის ერთიანობაზე.

როგორც აღვნიშნეთ, ძველ ბერძენ პოეტ ქალთა შორის საფოს პოეზიის ნიმუშები სიმრავლითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევიან. ამიტომ ჩვენ საშუალება გვეძლევა შედარებით სრულყოფილი წარმოდგენა შევიქმნათ საფოს მსოფლალქმის სხვადასხვა ასპექტების შესახებ.

საფოს ჩვენამდე შემონახული ფრაგმენტების ანალიზი თვალნათლივ გვიჩვენებს იმას, თუ რა იყო თვისობრივად სრულიად ახალი იმ პერიოდის პიროვნული ლირიკისათვის, რამაც პირველ რიგში პოეტის მსოფლალქმაში ჰპოვა თავისი გამოხატულება. ამ თვალსაზრისით პირველ რიგში უნდა შევეხოთ ბედნიერების საფოსეულ გაგებას. ბედნიერების შესახებ მსჯელობა არ იყო უცხო წინაღობინდელი ბერძნული პოეზიისათვის, მაგრამ როგორც ჩანს, იმან, რაც ცნებაში „ბედნიერება“ მოიაზრებოდა, ჰომეროსიდან საფომდე ერთგვარად იცვალა სახე. საფოსთვის მარადიული ბედნიერების სიმბოლური ასახვა უნდა ყოფილიყო „მზის სიყვარული“ („ერთს ტოელიო“). მასში, როგორც ჩანს, მოიაზრება ყოველივე ის, რაც საფოს გაგებით ბედნიერების საწინდარია. ჩვენი აზრით, საფოსთვის ცნება „ერთს ტოელიო“ რამდენიმე ფენომენის ერთობლიობას გულისხმობს. ეს ფენომენებია: ა) სწრაფვა მარადიული მშვენიერებისადმი; ბ) საკუთარი პიროვნების უკვდავების შეგრძნება; გ) სწრაფვა ღვთაებრიობისადმი; დ) ნათელი და ლამაზი „ლამპრონ კაი კალონ“ ცხოვრების სურვილი; ე) სიყვარული.

საფოს მსოფლალქმის სფეროს უკავშირდება მისი წარმოდგენები მშვენიერსა და მშვენიერებაზე და „მშვენიერისა და კარგის“ იმ ერთობლიობაზე, რომელიც შემდგომ გამოიხატა ტერმინით „კალოკაგათია“. ა. ლესკის სამართლიანი შენიშვნით „ბერძნულ ლიტერატურასა და ფილოსოფიაში მეტად გავრცელებული „კალოკაგათიას“

პრობლემა სწორედ საფოს პოეზიიდან იღებს დასაბამს<sup>1</sup>. თუ გავანალიზებთ ყველა ფრაგმენტს, სადაც წარმოდგენილია საფოს შეხედულებანი მშვენიერებაზე (აქ გამოიყოფა შემდეგი ასპექტები — მშვენიერება, როგორც ზოგადი ცნება, სულიერი მშვენიერება, ხორციელი მშვენიერება, ერთობლიობა სულიერი და ხორციელი მშვენიერებისა), შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მის პიროვნულ ლირიკაში თავს იჩენს სრულიად ახალი ტენდენციები, რაც ერთი მხრივ მიუთითებს ბერძნულ ლირიკაში ინდივიდუალიზაციის პროცესის სრულიად ლოკუტურ განვითარებაზე, ხოლო მეორე მხრივ, იმ თვისობრივად ახალ ნაკადზე, რაც ლირიკოსი ქალის მსოფლალქმის თავისებურებებთან არის დაკავშირებული. საფო, უპირველეს ყოვლისა, არის ქალი პოეტი, რომელმაც სცადა ბერძნულ ლიტერატურაში ერთ-ერთ პირველთაგანს ესოდენ ნატიფად და სრულყოფილად ეჩვენებინა ქალის შინაგანი სამყარო. ეს სამყარო ერთი მხრივ ჰგავს ტრადიციულს, მაგრამ მეორე მხრივ, საგრძნობლად განსხვავებულია მისგან. საფოს პოეზიაში ჩანს ქალის ემანსიპაციის ერთგვარი პროცესი, რომელიც ალბათ ნიშანდობლივი იყო მისი ეპოქის კუნძულ ლესბოსისათვის და რომელიც ყველაზე მკვეთრად გრძნობადი საწყისის თავისებურებაში გამოვლინდა.

როდესაც ვეხებით გრძნობად საწყისს საფოს პოეზიაში, მხედველობაში გვაქვს პოეტისეული გან-

<sup>1</sup> ა. ლესკი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, მიუნხენი 1971, გვ. 145.

ცდა სიყვარულისა. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ორი საკითხი:

1. რას წარმოადგენს სიყვარულის ფენომენი საფოსტის, ანუ როგორ ესმის მას „სიყვარული“.

2. რამდენად შეესაბამება სიყვარულის საფოსტული გაგება მისი ეპოქის ზნეობრივ ნორმებს.

ამ საკითხებზე მსჯელობისას საჭიროა გავითვალისწინოთ ის, თუ როგორი იყო ანტიკური საბერძნეთის სხვადასხვა ეპოქაში მეგობრობის, მეგობრული სიყვარულის გაგება. ამ თვალსაზრისით შეიძლება გარკვევით ითქვას, რომ მეგობრობის გაგებამ ჰომეროსიდან პლატონამდე ერთგვარად იცვალა სახე. ამასთანავე, მხატვრულ ლიტერატურაში, როგორც წესი, მეგობრობის, მისი ცალკეული ფორმების ილუსტრაციისათვის, მოხმობილია მამაკაცთა შორის მეგობრობის მაგალითები, საფო არის ის გამონაკლისი, რომლის შემოქმედებაშიც მეგობრობა დანახულია თვისობრივად განსხვავებული, ქალთა შორის მეგობრობის პოზიციიდან. მეგობრობა და სიყვარული იმდენად მჭიდროდ არის დაკავშირებული საფოსტო პოეზიაში ერთმანეთთან, რომ გარკვეული თვალსაზრისით ისინი გაიგივებულნიც კი არიან, ამიტომ, როდესაც ვეხებით იმას, თუ როგორ აისახა მეგობრობა საფოსტო პოეზიაში, ერთდროულად ვგულისხმობთ სიყვარულის ფენომენის ასახვასაც.

პირველ საკითხზე მსჯელობისას ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ ის ტერმინები, რომლებიც საფოსტო პოეზიაში სიყვარულის გრძნობას გამოხატავენ, უნდა განვსაზღვროთ მათი მნიშვნელობა. ტერმი-

ნოლოგიური მხარის დადგენა მეტად საინტერესოა და ყურადღაღები იმის შესაცნობად, თუ რამდენად ტრადიციულია საფო ამ შემთხვევაში და ვხვდებით თუ არა მასთან სიახლეებს ამ ტერმინთა გააზრებისას.

უნდა აღინიშნოს, რომ საფოსტთან „სიყვარულის“ სხვადასხვა გამოვლინებას მკვეთრად დიფერენცირებული ტერმინოლოგია შეესაბამება. ზოგ შემთხვევაში ცალკეული ტერმინები ფარავენ ერთმანეთს, გამოიყენებიან ანალოგიურ ვითარებაში. მაგრამ, როგორც წესი, საფო მათ თავის ფრაგმენტებში ხმარობს სრულიად გარკვეული კანონზომიერებით: საფოსტო სიმღერებში გვხვდება 1) „სიყვარულის“ აღმნიშვნელი განმაზოგადებელი ტერმინი „ეროს“, რომელიც მოიცავს სიყვარულის ყველა ფორმას დაწყებულს ყველაზე ამაღლებული „მზის სიყვარულიდან“, დამთავრებული კონკრეტული პიროვნების ტრფობით. 2) ტერმინები, რომლებიც მოიცავენ სიყვარულის ლტოლვის („იმეროს“, „ფილემი“) გაგებას და 3) ტერმინები, რომელთაც აქვთ მხოლოდ ერთი, კონკრეტული მნიშვნელობა — ხორციელი ტრფობა („პოთოს“, „პოთეო“, „ფილოტას“). როგორც აღვნიშნეთ, პრობლემის მეორე მხარეა, თუ რას გულისხმობდა საფო მეგობარი ქალწულებისადმი სიყვარულში: მის მიერ გამოვლენილი გრძნობები იყო პათოლოგიური, ზნეობრივი ნორმების შელახვა, თუ ეს იყო ჩვეულებრივი მოვლენა, ჩასმული მისივე ეპოქის ზნეობრივ ჩარჩოებში. თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ ყველა იმ ფრაგმენტსა და გადმოცემას, რომელშიც არის მინიშნება საფოსტო მეგობარი ქალწულებისადმი გამოვლენილ გრძნობებ-

ზე, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ეს იყო „ამორ ვენერეს-უს“, მაგრამ, როდესაც ამ დასკვნას ვიღებთ, ვფიქრობთ, საფოს შემოქმედება უნდა განვიხილოთ იმ რეალურ კონტექსტში, რასაც არქაული ხანის საბერძნეთი წარმოადგენდა, სიყვარულის გამოვლინებათა იმ ფორმების გათვალისწინებით, რაც პომეროსის შემდგომდროინდელი ბერძნებისათვის სრულიად ბუნებრივი და ორგანული ჩანს. მაშინ ჩვენთვის საფოს სიყვარულზე ისეთი აზრის შექმნა, რის საშუალებასაც მისი შემოქმედების ანალიზი იძლევა, სრულიადაც არ უნდა ნიშნავდეს „სიყვარულისთვის“ იმ ამაღლებულობისა და სიღრმის წართმევას, რასაც კაცობრიობა აღტაცებაში მოჰყავს სუკუნიების განმავლობაში. ფ. ენგელსის ზუსტი შენიშვნით:

«...для классического поэта древности, воспевавшего любовь... половая любовь в нашем смысле была настолько безразлична, что для него безразличен был даже пол любимого существа».<sup>1</sup>

საგულისხმოა, რომ საფოს გრძნობათა ამგვარი გამოვლენა არ იწვევდა გაკვირვებას არც მის თანამედროვეთა (გავიხსენოთ ალკეოსის ფრ. 63 D: „იებით მორთულს, წმინდა, ტკბილადმოღიმარე საფო“), არც შემდგომდროინდელ მოაზროვნეთა (სოლონი, პლატონი, არისტოტელე, ლონგინოსი) შორის. პირიქით, ყოველი დიდი მოღვაწე, ვინც კი ღრმად იცნობდა საფოს, მის პოეზიაში მხოლოდ ამაღლებულს ხედავდა.

საფოს ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტები საშუალებ-

<sup>1</sup> К. Маркс, Ф. Энгельс, Об античном мире. Сборник под ред. и с предисл. С. И. Ковалева. Ленинград, 1932, 148.

ბას გვაძლევენ, ერთგვარი წარმოდგენა შევიქმნათ ბერძენი პოეტი ქალის იმ თავისებურ მსოფლმხედველობასა თუ სიმბოლიკაზე, რაც თავს იჩენს მის პოეზიაში ტრადიციულ კულტთა, რიტუალთა თუ მითოსის მხატვრული წარმოსახვის პროცესში. თავისთავად საკითხი კულტის, რიტუალისა თუ მითის ურთიერთობისა საკმაოდ რთული საკითხია. ხშირად ძალზე ძნელია მათი ურთიერთგამიჯვნა და მაინც, ვფიქრობთ, რომ საფოს სიმღერებსა და ფრაგმენტებში ჩვენ შეგვიძლია იმის გამოვლენა, თუ I. რა წარმოადგენს საფოს თაყვანისცემისა და მოწიწების ობიექტს — კულტს; II. როგორ ვამოიხატება კულტის მიმართ თაყვანისცემა და მოწიწება — რიტუალი; III. ხალხის მეხსიერებაში ფიქსირებული რა სიუჟეტები ასაზრდოებს მის პოეზიას — მითოსი.

I. საფოს სათაყვანებელი ღმერთქალი იყო აფროდიტე, რომელიც მის პოეზიაში წარმოგვიდგება არამართროგორც სიყვარულისა და ღიმილის ღვთაება, არამედ როგორც სიკეთისა და მარადიულობის სიმბოლო; ღვთაება, რომელთან ზიარებასაც ესწრაფოდა პოეტი. აფროდიტე იყო შემოქმედის ინტიმურ სამყაროსთან დაკავშირებული ღვთაება, რომელიც მას მეკავშირედ ევლინებოდა ყველაზე უფრო დაძაბულ ცხოვრებისეულ წუთებშიც კი. როდესაც საფო მოუხმობს ღმერთქალს და სჯერა მისი რეალური გამოცხადების (ფრ. 1), ამ დროს იდეალური ხატი და რეალური მოვლენა ერთიანდება და ვიღებთ ახალ პოეტურ სახეს, რომელიც მეტაფორული აზროვნებით აღიქმება, საფოსთვის ღვთაების მოვლინე-

ბა არის არა უბრალო გამოცხადება, არამედ გამოცხადება მის მიერ წარმოდგენილი ღვთაებისა. აფროდიტესადმი მიძღვნილ ჰიმნში (ფრ. 1), რომელიც თავისუფალია რელიგიურ-მისტიკური ელემენტებისაგან, საფო თანდათან სცილდება კულტის გაგების ტრადიციულ ჩარჩოებს, იგი ხსნის ადამიანურ და ღვთაებრივ სამყაროთა შორის არსებული მანძილისა და დროის ზღვარს. რამდენადაც ღვთაება პოეტის აზროვნებაში მარადიულობისა და კეთილი საწყისის სიმბოლოდ გაცნობიერდა, იგი მასთან ზიარებაში ეძიებს ბედნიერებას.

II. ღვთაების გამოცხადების სურათები დიდი პოეტურობით აისახა საკულტო სიმღერებში (ფრ. 2, ფრ. 154, ფრ. ი. ა. 16, 40). საფომ რელიგიური ფენომენების პოეტური ასახვით შეძლო რიტუალის სილამაზის განცდა მთელი თავისი იღუმალებითა და საკრალურობით გადაეცა მსმენელისათვის. საფო კი არ აღწერს რიტუალს, არამედ აცოცხლებს იღუმალებით მოცულ სურათს. **ამ** შემთხვევისათვის მნიშვნელოვანია არა დიდებულიება ზეიმისა, არამედ — მისი საკრალურობა, ამით განსხვავდება იგი ეპიკოსი პოეტებისაგან, რომლებთანაც, როგორც წესი, ყურადღება ძირითადად რიტუალის მთლიან აღწერაზეა გადატანილი და არა — რიტუალის ცალკეულ კომპონენტთა აქცენტირებაზე. დღესასწაულის იღუმალება და სილამაზე პოეტის რელიგიურ ხილვაში გაცნობიერდა არამარტო თავისი იდეით, არამედ ხატოვან-გრძნობადი ფორმითაც. მითი, ამ შემთხვევაში, პოეტისათვის იქცა არამარტო რელიგიურ, არამედ მხატვრულ-ესთეტიკური ფენომენის გამოხატვის საშუალებად.

ეს ნიშანდობლიობა საფოს შემოქმედებითი მანერისა, რაც თავისთავად მისი პოეტური აზროვნებით არის განპირობებული, თავს იჩენს მთელს შემოქმედებაში, განსაკუთრებით მის თრენებსა და ეპითალამიებში. ვარაუდობენ, რომ საფოს უნდა ჰქონოდა მთელი ციკლი თრენებისა, რომლებიც ადონისისადმი იყო მიძღვნილი. მათგან ჩვენამდე მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტმა მოაღწია. (ფრ. 168, ფრ. 140, ფრ. ი. ა. 24). მათი გათვალისწინებით ჩვენთვის ძნელია იმის წარმოდგენა, თუ როგორ გაცნობიერდა ადონისის კულტი ბერძენი პოეტი ქალის აზროვნებაში. უნდა ვივარაუდოთ, რომ აქაც ტრადიციული მითოლოგიური ძირები მძლავრობდნენ. ადონისი თავისი მკვდრადი და კვლავ აღმდგარად ბუნებით მიიღო საფომ და პოეტურ ქმნილებებში მის კულტთან დაკავშირებული იღუმალებით მოცული რწმენა აამეტყველა.

საფოს პოეზიაში აისახა მისი თანადროული საქორწინო რიტუალი, თუმც არც ერთ ჩვენამდე მოღწეულ სიმღერაში არ არის ამ რიტუალის თანმიმდევრული აღწერა. სხვადასხვა ფრაგმენტებში (ეპითალამიებში) პოეტურად ამეტყველდა ქორწინების რიტუალის სხვადასხვა მომენტთან დაკავშირებული განცდანი. საქორწინო დღესასწაულები საკმაოდ განსხვავდებოდნენ საბერძნეთში ადგილისა თუ დროის მიხედვით. მის შესახებ ჩვენ ზუსტი ცნობები არ მოგვეპოვება. საფოს სიმღერათა (ფრ. 111, 30, ფრ. 113, ფრ. 141, ფრ. 110, ფრ. 116, ფრ. 117, ფრ. 44, ფრ. 114, ფრ. 105 C) და აგრეთვე სხვა წყაროთა გათვალისწინებით ჩვენ შეგვიძლია აღვადგინოთ ამ რიტუალის

1. საფოდან კასიმდე

ლის სურათები პოეტის თანამედროვე კუნძულ ლეს-ბოსზე.

III. ტრადიციული მასალისადმი საფოს მიდგომის პრინციპები, ჩვენის აზრით, საკმაოდ ნათლად ვლინდება იმ ლექსებში, სადაც პოეტი ბერძნულ მითოლოგიას მიმართავს. მიუხედავად საფოს პოეზიის ფრაგმენტულობისა, მასთან მაინც შეიძლება მითოლოგიური მასალის გამოყენების რამდენიმე ტიპის გამოყოფა, რომელთაც ერთი ძირითადი ნიშანი აერთიანებთ: ეს არის მათი უშუალო, ზოგჯერ ცალმხრივი კავშირი ლექსში გამოკვეთილ ძირითად მოტივთან. ამ პროცესში ნათლად ვლინდება, თუ სად სვამს საფო აქცენტებს, რა აინტერესებს მითში, როგორ უსადაგებს მის საკუთარ იდეალებს:

1. მითოსთან დამოკიდებულების შედარებით ელემენტარული ფორმა გვხვდება იმ შემთხვევაში, როდესაც პოეტი მითიდან იღებს მხოლოდ ერთ, პოეტური ტრადიციით უკვე სიმბოლოდ ქცეულ სახე-ტერმინს და უკავშირებს მას თავის პოეტურ სამყაროში მოქცეულ რეალურ ადამიანებსა და მოვლენებს (ფრ. 31, ფრ. 111, ფრ. 23, ფრ. 53, ფრ. 193, ფრ. 55, ფრ. 95,);
2. უფრო საინტერესოა ის შემთხვევები, როდესაც საფო მიგვანიშნებს არამარტო სახე-ტერმინზე, არამედ მასთან დაკავშირებულ გარკვეულ მითოლოგიურ სიუჟეტზეც (ფრ. 142, ფრ. 178, ფრ. აღკ. 304).
3. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის შემთხვევები, როდესაც პოეტი არამარტო მიგვანიშნებს, არამედ მოგვითხრობს რომელიმე ტრადიციული მითის მისთვის მნიშვნელოვან სიუჟეტს. საფოს ჩვენამდე მოღწეულ პოეზიაში ყველაზე მეტი ასახვა ჰპოვა ტროას ციკლის

თქმულებამ. თუ დაუკვირდებით ამ თქმულების სიუჟეტთა გამოყენების კანონზომიერებას, აღმოვაჩინოთ, რომ პოეტს ამ შემთხვევაში აინტერესებს არა ის, რაც ტრადიციულად იწვევდა ინტერესს, არამედ მხოლოდ ის, რაც უკავშირდებოდა მის პირად სამყაროს, მის პოეტურ წარმოსახვებს (ფრ. 105 B, ფრ. 17, ფრ. 44, ფრ. 23, ფრ. 58).

აღნიშნულ მომენტთა ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მითი, კულტი და რიტუალი საფოსთან გარკვეულად ახლებურად მოიაზრება. ტრადიციულისაგან განსხვავებით, როგორც წესი, საფოსთან შეცვლილი არის წერტილი მოვლენათა დანახვისა და აღქმისა. საფო ამ მოვლენებს აღწერს არა როგორც მათ მიღმა მყოფი დამკვირვებელი, არამედ, როგორც ამ მოვლენების შუაგულში მყოფი ადამიანი, მათი უშუალოდ განმცდელი. მისთვის მთავარია არა აღწერა მოვლენისა, არამედ — განცდა. ყოველივე ეს საშუალებას აძლევს პოეტს ყველაზე ტრადიციული ამბების გადმოცემისასაც კი იყოს საოცრად თვითმყობადი და თავისი ხედვით აღგვაქმევინოს მოვლენები. ეს კი იმის საფუძველს ქმნის, რომ ვისაუბროთ საფოსთან გარკვეული თვალსაზრისით, მითის ახლებურ ინტერპრეტაციაზე, კულტის ახლებურ გააზრებაზე და ახლებური სიმბოლოების შექმნაზე.

მეტად საინტერესო სურათს გვაძლევს საფოს პოეზიის მიმართების კვლევა თავისივე ეპოქის ანუ არქაიკის ხელოვნებასთან. ეს მიმართებები იყოფა ორ ძირითად ჯგუფად: 1. მიმართებები, რომლებიც დამახასიათებელია საერთოდ არქაუ-

ლი ეპოქის ბერძნული ხელოვნებისა და ლიტერატურისათვის. ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვაქვს პიროვნული ინტერესის წინა პლანზე წამოწევა, რაც სოციალურ სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებებით და პოლისის ცხოვრებაში პიროვნების აქტიური ჩართვით გამოვლინდა.

2. მიმართებები, რომლებიც მეტნაკლებად ინდივიდუალური იყო ამა თუ იმ პოეტის შემოქმედებაში. ამ შემთხვევაში ჩვენ ვგულისხმობთ არა სრულ ინდივიდუალობას, არამედ გარკვეულ, ერთი ეპოქის მხატვრული ხედვისათვის დამახასიათებელ პრინციპთა რეალიზაციის პროცესში ამა თუ იმ პოეტის მიერ გამოვლენილ თავისებურებებს. ჩვენის აზრით, ალბათ ასეთ თავისებურ მიმართებებზე შეიძლება ვისაუბროთ საფოს პოეზიის შემთხვევაშიც, რაც უპირველეს ყოვლისა, თავს იჩენს მისი ლექსების სტრუქტურაში, მხატვრულ სახეთა წარმოსახვის გარკვეულ პრინციპში და მათ კავშირში არქაულ ხელოვნებასთან.

უკანასკნელ ხანებში რამდენჯერმე სცადეს დაეჭიროათ საფოს სიმღერების სტრუქტურაში გარკვეული, მისი პოეზიისათვის დამახასიათებელი კანონზომიერებანი. ყველა ამ შემთხვევაში ჩვენ ვხედავთ ცდას საფოს ლექსებში გარკვეულ ელემენტთა გარკვეული მიმდევრობის გამოვლენისა. ჩვენ მეტად საინტერესოდ მივიჩნით ეს დაკვირვებანი და შევეცადეთ ამ მიმართებით გავგედრმაგებინა კვლევა. აღმოჩნდა, რომ საფოს თითოეული სიმღერა სიმეტრიულობის სრულიად გარკვეულ პრინციპზეა აგებული, რაც ვლინდება როგორც მთელი ლექსის

სტრუქტურაში, ასევე ცალკეულ კარედებში, პასაჟებში, მხატვრულ სახეებში. შეიძლება ითქვას, რომ მსგავს ელემენტთა მიმდევრობის რა თვალსაზრისითაც არ უნდა განვიხილოთ საფოს ლექსები, ჩვენ ყველა შემთხვევაში მათში აღმოვაჩინეთ სიმეტრიულობისა და ტრიადულობის პრინციპს. ამ ტრიადას შეიძლება ქმნიდეს სამი სუბიექტი, რომელიც ლექსში ფიგურირებს, მსახულვრელი და მასთან დაკავშირებული საზღვრულთა წყვილები, ამასთანავე ტრიადას შეიძლება ქმნიდეს სამი ელემენტი, რომელიც მხატვრულ სახეს შეადგენს და ა. შ. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში არ შეიძლება საფოს ლექსთა პედანტური ანალიზი და ამ სისტემის ყველგან ძიება. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს პრინციპი თავს იჩენს იმ ელემენტთა მიმდევრობაში, რომლებიც ცალკეული ლექსებისათვის შეიძლება საკვანძოდ, ერთგვარ ღერძად მივიჩნიოთ. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს წმინდა კომპოზიციურ პრინციპთან და არა — რიცხვ „სამის“ რაღაც მაგიური ძალის აღიარებასთან. სულ ერთია, რას ვეხებით — იქნება ეს წმინდა კომპოზიციური პრინციპი, მოტივთა განაწილების პრინციპი, მოქმედების დროში განაწილება, მხატვრული სახის გადმოცემა თუ სხვა, ყველგან ვლინდება პოეტის გაუცნობიერებელი სწრაფვა მიღწიოს მთლიანობას, როგორც წესი, სამი ელემენტის ერთობლიობით.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში საფოს პოეტური ხედვა გარკვეული თვალსაზრისით უკავშირდება მისივე ეპოქის ხელოვნებას. თუკი გავითვალისწინებთ არქაული ბერძნული ეპოქის ხელოვნების თავისებურებ-

ბებს, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ საფოს სიმღერათა კომპოზიციაში გამოვლენილი ე. წ. ტრიადული პრინციპი წარმოადგენს ერთგვარ ექვივალენტს არქაულ ხელოვნებაში დადასტურებული სწრაფვისა სამელემენტოვანი კომპოზიციებისაკენ. უნდა ითქვას, რომ ამ პრინციპთა გამოვლენა სავარაუდოა სხვა პოეტთა შემოქმედებაშიც, თუმცა არ არის აუცილებელი, რომ მათ ჰქონდეთ ისევე უნივერსალური ხასიათი, როგორც საფოს პოეზიაში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეპოქის კომპოზიციური ხედვა მით უფრო მძაფრად იჩენს თავს ამა თუ იმ პოეტის შემოქმედებაში, რაც უფრო დიდია ხელოვანი და რაც უფრო ორგანულად არის დაკავშირებული მისი შემოქმედება ეპოქის ესთეტიკურ პრინციპებთან.

## ჰ ი მ ნ ა ზ ი

## ა ფ რ ო ღ ი ტ ე ს

ტანტმოხატულო, მარადმყოფო, ზევსის ასულო,  
გრძნებით მაცდურო აფროდიტე, შენ გევედრები,  
დარდს და საწუხარს განმარიდე, ნუ დამითრგუნე  
სული, ღმერთქალო.

გარდმომივლინე შემწეობა, გამომეცხადე,  
უწინაც ხშირად, როს გსმენია ცად აღვლენილი  
ჩემი ვედრება, დაგითმია მამისეული  
ოქროს სასახლე

და გარდმოსულხარ ციდან ეტლზე აღზევებული,  
სწრაფადმფრინავი ბელურების ლამაზი გუნდი  
ჰაერში ფრთების ხშირი რხევით მოგაქროლებდა  
შავი მიწისკენ.

მყის მოაღწევდნენ ჩემს სამყოფელს და შენ, ნეტარო,  
მშვიდი ღიმილით მოციავე, უკვდავი სახით  
მეკითხებოდი: რა მეწადა, რა მაწუხებდა,  
კვლავ რად გიხმობდი.

ესოდენ ძლიერ რა მაკრთობდა, რას ვესწრაფოდი  
მღელვარე სულით: — ჩემო საფო, ვინ დავარწმუნო

შენდამი ტრფობით რომ აღენთოს, ვინმე მოგებყრო  
უმართებულოდ?

სათნოყოფილმა მივატოვა იქნებ ქალწულმა,  
თვით გეახლება, შენს ნაბოძებ ძღვენს თუ არ იღებს,  
თავად მოგიძღვნის, თუ არ უყვარხარ, უნებურად  
შეუყვარდები.

ღმერთქალო, ახლაც მომევილინე, მეოხედ მექმენ,  
მძიმე განცდათგან დამიხსენი დამწუხრებულის,  
უწინდებურად აღმისრულე სულის წადილი,  
შემეწეოდე.

### კ ი პ რ ო ს უ ო ბ ი ლ ს

2 ციდან ისწრაფე, კრეტის წმინდა ტაძართან მოდი,  
აქ ვაშლის ხეთა დიდებული ხეივანი  
და სურნელოვან საკმეველთა კმევით მოსილი  
საკუთრობეგლები.

წვიმის წვეთები ხმაურობენ ხეთა რტოებში,  
ველად ბალახებს ეფინება ვარდების ჩრდილი,  
ათრთოლებული ფოთლებიდან მოითენთება  
მღუმარე თვლენა.

მიმობნეულან საძოვრებით მდიდარ მინდორზე

ახლად მოსული ყვავილები და საამური  
ნიავი არხეეს...

კიპროსშობილო, გვირგვინებით დამშვენებული  
მოდი ამ ველზე და აღავსე ოქროს თასები  
დამათრობელი სიხალისით განზავებული  
ტკბილი ნექტარით.

### ჰ ი რ ა ს

17

მომიახლოვდი, მშვენიერო...

მეც იმდაგვარად მომევილინე, ნათელო ჰერა,  
ვით სახელოვან ძმებს — ატრიდებს გამოეცხადე,  
დიდებულ მეფეთ,

არესის საქმე აღასრულეს ოდეს კეთილად.  
მათ უწინარეს მდინარების განვლეს ნაპირნი,  
აქ დაივანეს, ველარ შეძლეს გზის გაგრძელება  
არგოსისაკენ,

ვიდრე შენ და ზევსს, კეთილ ქართა ცით გარდმომვლენელს,  
არ მოგიწოდეს და თიონეს სანუკვარ პირმშოს.  
ახლა მეც ველი მოწყალებას...  
უწინდებურად...

ქ მ ი ს ლ ა მ ი

5 თქვენ გვედრებით, კითრეა და ნერეიდნო,  
შეაძლებინეთ ბედნიერად შინ დაბრუნება  
ჩემს ძმას და რაც კი სანატრელი გამხდარა მისთვის,  
უქციეთ ცხადად.

ო, მიუტევეთ ოდინდელი შეცოდებები,  
რათა ახლობლებს მოგვანიჭოს კვლავ სიხარული,  
მტერთ კი მიუზღოს ბოროტების წილ საკადრისი  
მისაგებელი.

ნულარასოდეს დაგვეთმინოს მსგავსი საღმობა,  
ღისადმი კრძალვით და პატივით აღივსებოდეს,  
განირიდებდეს ოდინდელი ხანის საწუხარს  
საღმობიერი.

ქ ა ლ წ უ ლ ე ბ ი ს ა ღ ი

31 ღმერთების ხვედრის მეჩვენება თანაზიარი  
კაცი, რომელიც შენს წინარე ზის მღუპარებით,  
ვისმენს საამოდ მოსაუბრეს, ტკბილად მოცინარს  
სულგანაბული.

58

მე კი სხვა გრძნობა მეუფლება, ოდეს გიხილავ,  
თუნდ წამიერი იყოს შენი გამოცხადება,  
მღელვარებისგან ამოვარდნას ისწრაფვის გული  
და გაოგნებულს

ძალი არ შემწევს ხმა გავილო შენდა სათქმელად.  
თავბრუ მეხვევა, მწველი ალი სხეულს მიდაღავს,  
თვალთაგან ჩინი მეკარგება, სასმენელთაგან  
მერთმევა სმენა,

ოფლად ვიღვრები, თრთოლა მიტანს, გონებას ვკარგავ,  
ბალახზე უფრო მწვანე ფერი სახედ მედება,  
მცირედი ხანიც და უსულოდ ჩავიკეცები  
მგონია, მკვდარი.

მაგრამ ყველაფრის დამთმენია საბრალო სული.

ან ა მ თ რ ი ა ს

16 მხედარს აღიდებს ზოგიერთი, ზოგი კი — ქვეითს,  
ზოგს ხომალდების ხილვა უფრო ესალბუნება,  
მე ვუწოდებდი ამ ბინდისფერ დედამიწაზე  
უმშვენიერესს,

ვისადმიც ილტვის სიყვარულით ადამიანი,  
დაერწმუნებით ამ სიტყვათა ჭეშმარიტებას,

თუკი ელენეს მოიგონებთ, მიწიერთაგან  
ულამაზესმა

რჩეულთა შორის ღირსეული დატოვა ქმარი,  
თავის ასული, საყვარელი დათმო მშობლები  
და გაემართა პირველხილვის ცოუნებით ტროად  
კიპრისის ნებით.

წმინდაა გრძნობა მინდობილი ღვთაების ნებას,  
ისე მსუბუქი, უთრგუნველი გონების ძალით,  
მომავონდება ჩემგან შორით განრინებულნი  
ანაქტორია

და მენატრება უფრო მისი მსუბუქი რება,  
ნათელი სახის ბრწყინვალეობა, ვიდრე ლიდიის  
ოქროს ეტლები, ან აბჯარასხმულ მეომართა  
მშვენიერება.

\* \* \*

94

მხოლოდ სიკვდილი მენატრება მარტოდ დარჩენილს,  
ოდეს მტოვებდა, მწუხარებით მოიცრემლოდა,  
გზის გასაყართან გამომეთხოვა:  
„ოი, რა მიძიმე სევდამ შეგვიბყრო,  
მე უხალისოდ გშორდები, საფო.“

60

პასუხად ვუთხარ: „გზა მშვიდობისა,  
მომიგონებდგ ტკბილად, ხომ გახსოვს,  
რა ნეტარებით ვეძლეოდით საწუთროს ლხენას,  
თუ დაგავიწყდა, თავად გაამბობ,  
მსურს გაგახსენო,  
თუ რაოდენი სილამაზე დაგვითმენია,  
მინდვრად გაბნეულ ვარდებს და იებს  
დავკრეფდით ერთად და გვირგვინებით  
შეიშკობდი თმებს მუხლმოყრილი იქვე, ჩემს ახლოს,  
დაიმშვენებდი შენს სათუთ კისერს  
მინდვრის მიძვებით  
და გიხდებოდა ნაირგვარი ყვავილთფერობა,  
შემდეგ სხეულზე გულმოდგინებით  
მიიპკურებდი სურნელოვან სამეფო მირონს,  
მოისვენებდი რბილ სარეცელზე  
და ახალგაზრდა ქალწულთა მიმართ  
უმაღლესოთნობით აღენთებოდი  
და არსად იყო სადმე ფერხული,  
წმინდა ადგილი,  
რომ არ გვეხილა კვალი ჩვენი ბორიალისა.

61

96

სარდეში ხშირად შენზე ფიქრი აიყოლიებს,  
 ღვთაებასავით გეთაყვანება.  
 აქ შენი ტკბილი სიმღერებით იხიბლებოდა,  
 ახლა ანათებ ლიდელი ქალების დასში,  
 როგორც მთოვარე ვარდისფერთითა,  
 მზის ჩასვლის შემდეგ რომ გაკრთება ცის კაბადონზე  
 ყველა ვარსკვლავის დამჩრდილავი უცხო მშვენებით,  
 რომლის ნათელი სხივი აღავსებს  
 მარილიან ზღვას, ყვავილებით მოფენილ მდელოს,  
 სადაც ლამაზად იბნევა ნამი.  
 ვაცოცხლდებიან მაშინ ვარდები,  
 ყვავილნაყარი ძიძობებიც იწყებენ სუნთქვას.  
 დაეხეტება მიმწუხრისას იგი მოწყენით,  
 როს სიყვარულით იგონებს ატთისს  
 მისი სათუთი, მწუხარებით აღსავსე სული.  
 მოდიო ჩემთან! — მას მოუხმობს ხმამაღლა იგი,  
 მაგრამ ზღვის მრავალ ხმაურთა შორის  
 არავის ესმის შორეული ძახილი მისი.

კ ლ ე ი ს ს

98

მშობელი დედა მიამბობდა:  
 „ო, კლვის, ჩემი ქალწულობის ჟამს  
 ყველას სჯობნიდა სიმშვენიერით,

ვინც კი კულულებს ძოწისფერი ბაბთით იმკობდა,  
 მას უხდებოდა ეს სამკაული,  
 ვისაც თმა ჰქონდა კანდელზე უფრო  
 ცეცხლოვანი და მოელვარე.  
 დამშვენდებოდა იგი უმეტეს,  
 თუ ჩაიბნევდა  
 ახლად დაკრეფილ ყვავილებს თმებში.  
 შენ მოჩითული რიდე მთხოვე  
 მეძღვნა სარდედან,  
 ო, მომიტევე, ჩემო ასულო,  
 მე ვერ გიბოძებ სასურველ რიდეს,  
 იქნებ მიმართო მიტილენეს ლამაზ ქალწულებს...

ჰ ე რ მ ი ო ნ ე ს

23

ოდეს ვიხილავ ჩემს წინარე ხატებას შენსას,  
 ვერ წარმოგიდგენს ჰერმიონედ გონება ჩემი,  
 მხოლოდ ელენეს შეგადაარებ, ოქროსფერთმიანს,  
 თუ შეიძლება

მოკვდავთა შორის ღვთაებათა სწორი შეიცნო,  
 და უფრო მეტსაც მოვახსენებ, გულთი მერწმუნე  
 შენ შემოგწირავ ჩემს ოცნებებს...

## გონგოლას

- 22 მხოლოდ შენ გიხმობ  
გონგოლა, ისევ ყვავილებით მორთული მოდი,  
თან მოიტანე ლირა, ჩემი ვნება და ფიქრი  
შენსკენ ისწრაფვის,  
მშვენიერი ხარ, ბიალონიც მადლელებს შენი,  
ოდეს გიხილავ, სიხარულით მევსება სული,  
კიპროსშობილსაც ატუნებდა შენი სახება...

## ატთისს

- 49 უწინ მიყვარდი ძლიერ,  
შემდეგ დიდი ხანი გავიდა,  
ატთის, მაშინ ხომ  
პატარა და ულამაზო ბავშვი მეგონე.

## დიკეს

- 81 დიკეო ჩემო, თმა შეიმოსე  
ლამაზ ყვავილთა დიადემებით,  
შიგ განიხნე მინდვრის ბალახი  
ნატიფი ხელით მონაგროვები,

სადაც ყვავილთა არის ფერობა  
და მშვენიერი სასუფეველი,  
იქ ისწრაფვიან ქარიტები,  
განირიდებენ ოდეს შორით უგვირგვინობს.

\* \* \*

შენც ხომ იყავი მშვენიერი, პატარა ბავშვი,  
მღეროდი გუნდში, წკრიალა ხმა გქონდა საამო,  
მე ჭეშმარიტად მგვრიდა სიხარულს აღმატებული  
მშვენება შენი.

ახლა კი ისევ საქორწინოდ მივეშურებით,  
თავადაც იცი ეს დიდებულად. მაშ, მესყუელად  
ქალწულნი ღმერთთა გზით წარმართე...

\* \* \*

მიწიერთათვის გზა დიადი ოლიმპოს მთისკენ  
ღახშულია...

კვლავ გაათენეს ქალწულებმა ღამე უძილოდ  
და იმ სიყვარულს უმღეროდნენ, რითაც მიიღტვი  
მინდვრის იეზით დამშვენებული  
დედოფლისადმი.

გამოიღვიძე, ორიონი ენთება ცარგვალს,  
მეგობრებისკენ გაეშურე, რათა გვეძინოს  
უფრო ნაკლებ ხანს, ვიდრე სძინავს  
ტკბილხმიერ ბუღბუღს.

ჰექატორისა და ანდრომაქეს ჟორწილი

ოდეს მოვიდა კვიპროსიდან  
მალემსრბოლი მახარობელი იდაოსი,  
გაავრცელა ხმა საამური,  
აზიისათვის სასახელო ამბავი განთქვა:  
„წყლებით მდიდარი პლაკიიდან, ღვთაებრივი თებედან უკვე  
ეშურებაო გზას ჰექტორი მოყვასთ თანხლებით,  
ხომალდით მოჰყავთ ანდრომაქე, მშვენიერი სახიერებით.  
გადმოლახავენ მარილიან ზღვას ალბათ მალე, მოაქვთ  
ურიცხვი  
უცხოდ ნაქარგი ძოწისფერი საბურავები, ვერცხლის თასები,  
ოქროცურვილი ნაირგვარი სამკაულები, ძვლები სპილოსი.“  
ეს რა ისმინა, მეყსეულად ზეწამოიჭრა მამა კეთილი,

მთელმა ქალაქმა გულისხმა-ყო, ახლობლებსაც აცნობეს  
უმალ,  
სახელოვანმა ვაჟკაცებმა, ილიონის მკვიდრმა შვილებმა  
გამოიყვანეს სახედრები ღამაზბორბლევა ურმებისათვის.  
ზედ ქალნი დასხეს უპირველეს, ნაზწვივიანი ქალწულებიც  
ხოლო პრიამეს ქალიშვილნი ცალკე მოთავსდნენ.  
ეტლებს შეაბეს ახალგაზრდა რაინდებმა მალი ცხენები,  
უძლიერესნი თვალს მიეფარნენ...

\* \* \*

გამოჩნდა ოდეს ღვთის სადარი ანდრომაქე ჰექტორთან  
 ერთად,  
 თავშეყრილი ბრბო მიეახლა ზარზეიმით, ეტლის წინარე  
 ეთაყვანა და წინ წარუძღვა ილიონისკენ.  
 ზეიმს ხმიერი საკრავების შვენიოდა ჰანგი.  
 ავილთა ხმები მიერთვოდა ციმბალის და მაგადის ჟღერას,  
 ისმოდა ყმაწვილ ქალთა ტკბილი საგალობელი,  
 ცამდე აღწევდა ძლიერი ხმა, იხაროდენ ერისიონნი.  
 ვზა-ბილიკები მორთულიყო სალალბო დღესასწაულად,  
 აღვსილი იყო ფიალები და კრატერები...  
 საკმეველის და ფონიქსის სურნელება აღზევდა მაღლა,  
 მანდილოსნები ხმამაღალი სიმღერებით მოიმღეროდნენ,  
 კაცნი მომხიბლავ და მხიარულ სამადლობელს უძღვნიდნენ  
 ღმერთებს,  
 ლირამშვენიერ ჰეკებოლოსს უხმობდა ყველა და ადავლენდა  
 მხურვალე ლოცვას ღვთისსადარი ნეფე-დედოფლის  
 სადიდებლად.

\* \* \*

ხის მაღალ რტოზე ტკბილი ვაშლი გამოკრთის წითლად  
 და ეს რტო ხისა მაღალზედ უფრო მაღალია,  
 დავიწყებიათ მოწყვეტა ვაშლის...  
 დავიწყებიათ კი არა და ვერ შეძლებიათ მოწყვეტა მისი.

\* \* \*

158 ოდეს შენს გულში ბორგნული მძვინვარებს რისხვა,  
 ენა, ამაოდ მოყეფარი, დაიმორჩილე.

\* \* \*

115 ძვირფასო ნეფევე, მშვენებით რას შეგადარებდი?  
 ყველაზე მეტად მოქნეულ რტოს შეგადარებდი.

\* \* \*

მშვენიერია შენი გარეგნობა,  
 შენი თაფლისფერი თვალების ნათელი,  
 სახე ლამაზი გაქვს, ჩემო დედოფალო,  
 ზედ ხომ სიყვარულის მაღლი დაგფენია.

\* \* \*

ეს აღმატებული პატივი გიბოძა თავად აფროდიტემ.

117 კურთხეულ იყავ, დედოფალო,  
 კურთხეულ იყავ ღირსეულო ნეფეო!

\* \* \*

114 საით მიდიხარ, სიქალწულევ, სიქალწულევ, რად მიმატოვე!  
აღარასოდეს დაგბრუნდები, დედოფალო, აღარასოდეს.

\* \* \*

126 შენ შეგიძლია ძილი ნაზი მეგობრის მკერდზე

\* \* \*

141 კრატერში იყო ამბროსია განზავებული,  
ჰერმესმა წილით ჩამოასხა ღვინო ღმერთთათვის,  
ყველამ აღმართა თასი მაღლა და გადაღვარა  
სამსხვერპლო, მერმე ძლიერება უსურვეს ნეფეს.

\* \* \*

105 როგორც სუმბული,  
მწყემსნი ფერხთა ქვეშ რომ თელავენ მთის ფერდობებზე,  
ესე ყვაილი ძოწისფერი ეგლო მიწაზე.

\* \* \*

111 მაღლა ასწიეთ ჭერი,  
ჰიმენე!  
სულაც ახადეთ, ხუროებო, ჭერი,  
ჰიმენე!  
ნეფე მობრძანდება არესის სადარი,  
მაღალზედ უფრო უმაღლესი.

\* \* \*

104 მწუხრის ვარსკვლავო,  
შენ ხარ მომქცევი,  
რაიც განთიადს შორს განუფანტავს,  
მოგყავს შინ ცხვრები,  
მოგყავს თხები,  
მოგყავს შეილები დედებისაგან.

- 34 ზეცის მნათობნი მშვენიერი მთოვარის ახლოს  
მბრწყინავ სახეებს იმაღავენ, ოდეს აღვსილი  
აღმატებული ნათლით მოსავს მიწას ვერცხლისფრად.
- 33 აფროდიტეო, მოკაზმულო ოქროს გვირგვინით,  
ო, როგორ მსურდა მეც ასეთი ხვედრი მრგებოდა.
- 26 ვისთვისაც მხოლოდ სიკეთე მსურდა,  
მათ უმეტესი მწუხარებით აღმივსეს სული.
- 160 ახლა ლამაზად უნდა ვიმღერო  
მევობარ ქალთა გასახარებლად.
- 41 ო, მშვენიერნო, თქვენდა მიმართ  
არ შეიცვლება ჩემი აზრები.
- 38 მოკვდავთა შორის ნუთუ სხვა ვინმე  
ჩემზედ უფრო შეგიყვარდება?
- 48 შენ დამიბრუნდი, სულს სიამე მომგვარე დიდი,  
ო, როგორ მსურდი,

კვლავ სიყვარულით მენთება და მიღლავს გული,  
კურთხეულ იყავ უკუნითი უკუნისამდი...

- 50 ვინც ლამაზია, გარეგანი თვისი იერით გვხიბლავს მხოლოდ,  
ვინც კეთილია სულით უმაღლეს მშვენიერიც მოგვეჩვენება.
- 47 სული შემიძრა სიყვარულმა ისე ძლიერად.  
როგორც მაღლიდან მოვარდნილი ქარი შესძრავს მთაზე  
მდგარ მუხას.
- 55 ოდეს სამარეს მიგაბარებენ, სახელი შენი წარხდება უმაღლეს,  
რადგან არა გხვდა პიერიის ვარდების ხვედრი,  
ასე იდუმალ ბნელი ჰადესის სამფლობელოში ჩანასვენები  
უსხეულო და უცხო ლანდების გარემოცვაში იბორილენ.
- 154 ნათელმოსილი როს მთოვარე გაკრთა ცარგვალზე,  
საკურთხეველის გარეშემო დადგნენ ქალები.
- 16 საკურთხეველის გარეშემო კრეტელი ქალნი  
რბილ ბალახებში მიმოზნულ ყვავილთა შორის  
უწინდებურად მოხდენილი როკვით ვიდოდნენ.
- 148 მხოლოდ სიმდიდრე სახიფათო მოსამანეა,  
მაგრამ სიმდიდრე სიქველესთან თანაზიარი.  
ბედნიერების მწვერვალივით მოგვევლინება.

- 94 ჩაესვენა მთვარე და ვარსკვლავები,  
დადგა შუა ღამე.  
ჟამი მიედინება...  
მე კი მარტოდ მძინავს.
- 63 სიზმარო, ღამის სიბნელეში მობოროილევ,  
ძილის მომგვრელო  
ტკბილო ღვთაებავ,  
რაოდენ მძაფრი საღმობა მოგაქვს,  
მე დავუძღურდი...
- 71 შენ უმოწყალოდ დამივიწყე, მიკა,  
...არ მიგატოვებ...  
გწვავს პენტილიდის სიყვარული,  
მოწყენილი ვარ,  
მიმღერე ტკბილი სიმღერები  
საამჟური ხმით,  
ვითარცა გალობს ბუღბუღი, ოდეს  
დილის ცვარ-ნამი ეფინება მინდვრის ბალახებს.
- 102 ძვირფასო დედა, ქსელის ბეჭვა აღარ ძალუძთ უკვე ჩემს  
ხელებს,  
რადგან დამთრგუნა მომხიბლავმა აფროდიტემ ბავშვის  
სურვილით.
- 304 ოქროსთმიანი ფოიბოსი შვა კოსოსის ქალიშვილმა,  
რომელიც იყო სახელოვანი კრონიონის თანამეცხედრე,

- უფალს შეჰფიცა არტემისმა დიადი ფიცით:  
„დავრჩებიო ქალწული მარად,  
რადგან მაღალი მთის მწვერვალზე მსურს დავივანო  
და ვინადირო,  
აღმისრულე სულის წადილი!“  
ეს ყოველივე აღუსრულა ნეტართა მამამ.  
და უწოდებენ ირმებზე მონადირე დიად ღვთაებას  
არტემისს ღმერთნიც და მიწიერნიც,  
მას არ აღეღვებს ქორწინება,  
არც სიყვარული...
- 125 საგაზაფხულო დიადემა დავწანი თავად.
- 118 ახლა კი ჩანგო,  
ამიყდერე სიმები შენი.
- 151 ბნელი სიზმარი,  
რომელიც ღამე თვალთ გვეფინება.
- 140 მოკვდაო მშვენიერი აღონისი, კითერეა, რა ვიღონოთ?  
შემოიხიეთ ქიტონები, ქალწულნო, გლოვა გმართებთ საზარი.
- 140 ოდი ვმრისხანებ,  
მოგიტევებ ხალასი გულით.
- 150 სამგლოვიარო ლექსთა მღერა  
მუზის მსახურთა სახლში ჩვენ არ შეგვეფერება.

42 და მათი სული ცივდება უმალ,  
ფრთები იწყებენ დაშვებას დაბლა..

37 ჩემი ღმობისთვის  
”  
განმკიცხველს ჩემსას მოევიწყლოს,  
მწუხარებანი და ქარაშოტი.

21 სიბერეს მოაქვს მწუხარება,  
ძალა ერთმევა  
მოცახცახე ფეხებს და მუხლებს,  
სხეულს სიბერე ეპარება  
დაიფარება...  
შორით ისწრაფვის ახალგაზრდობა.  
აიღე ჩანგი  
და გვიმღერე ტკბილი სიმღერა  
იებით მორთულ დედოფალზე...

46 და მე ფაფუკ ბალიშებზე მოვისვენებ

25 მოვისწრაფოდი ისე, როგორც ბავშვი დედისკენ.

107 ნუთუ ისევ სიქალწულეს ვესწრაფვი?

76

51 და შე არ ვიცი, რა ვიღონო,  
ორი აზრი მაქვს.

52 არ განმიზრახავს უკიდევანო ცას შევხებოდი

54 მოსულს ციდან შემოსილს ძოწისფერი ქლამისით.

53 ვარდისფერმკლავება წმინდა ქარიტებო,  
აქ მოდიოთ ასულნო ზევსისა

147 გამიხსენებენ, ჩემი აზრით, მომავალ დროსაც.

57 ვინ დაგიბინდა, ნეტა, გონება,  
სოფლელმა გოგომ, სოფლურადვე გამოწყობილმა,  
მან ხომ კოჭების დამშვენებაც არ იცის კაბით...

82 მნასიდიკე, სახით დიკე  
გირინოზე ბევრად უფრო ლამაზია

100 და იგი კარგად გაეხვია რბილ მოსასხამში

135 რას გვიამბობს პანდიონის ასული, ცისიერი მერცხალი?

134 წუხელის სიზმრად ვესაუბრე კიპროსშობილს

159 შენ და ეროსი, მკურნალი ჩემი

122 ფრიად ლამაზი ბავშვი ყვავილებს რომ აგროვებდა

130, 131 უწინდებურად გონწარმხდელი ეროსი მთრგუნავს,  
დაუძლეველი არსებაა იგი, ტკბილ-მწარე.

”

ხოლო შენ, ატთის, შეიძულე ფიქრები ჩემი  
და ახლა შორით მიისწრაფი ანდრომედასკენ.

5,3 დიდი ხანია, შენს კარგად ყოფნას ვნატრობ

133 ფრიად ლამაზი ვიპასუხებთ კვლავ ანდრომედა:  
საფო, რად უხმობ ბედნიერების მომნიჭებელ აფროდიტესო.

21 ასეთი ბავშვი გაეშურა ეტლით თებესკენ

”

ვაშლისფერლაწვება გოგომ თითისტარზე  
სელის კანაფი დართო.

137 ა. მე მსურდა მეთქვა შენთვის რაღაც,  
მაგრამ სიმორცხვე მბორკავს...

ბ. შენ რომ გქონდა ღირსეული, სათნო სურვილი,  
ბიწიერ სიტყვებს ენისაგან განირიდებდი,  
აღარ დახრიდი ესოდენი სიმორცხვეთ თვალებს  
და ბაგეთაგან გამანდობდი სათქმელს გულწრფელად.

138 წინ დამიდექი, ჩემო ძვირფასო,  
და დამანახე თვალთა ნათელი

132 რა ლამაზია საყვარელი ჩემი გოგონა,  
ჩემი კლეისი, ოქროვანი ყვავილის დარი,  
მის ნათელ სახეს შემოვავლებ ლიდიას, ლესბოსს


127 აქეთ ისწრაფეთ, მუზანო, ოქროს დატოვეთ სახლი

156 მრავალგვირგვინოსანი დედამიწა ირთვება

„

გრძნებთმაცდური აფროდიტეს არის მსახური.

139 ცისიერნი სწყალობენ უცრემლებოდ დარჩენილთ.



### პ ო რ ი ნ ა

(ძვ. წ. ა. VI—V სს.)

ტანაგრელი პოეტი ქალის კორინას ცხოვრების წლები ჩვენთვის უცნობია. ვარაუდობენ, რომ იგი ძვ. წ. ა. VI საუკუნის დასასრულსა და V საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობდა. ეს ვარაუდი ემყარება პავსანიას ერთ გადმოცემას. „ელადის აღწერილობაში“ ვკითხულობთ: „ტანაგრის ერთადერთი პოეტი ქალის კორინას საფლავის ქვა დგას ქალაქის თვალხმეერ ადგილას, ხოლო გიმნასიონში არის სურათი: კორინა თავს იდგამს საზეიმო გვირგვინს იმის ნიშნად, რომ გაიმარჯვა პინდარესთან შეჯიბრისას თებეში. ჩემი აზრით, მან გაიმარჯვა ალბათ თავის დიალექტის გამო, რამდენადაც წერდა არა დორიულ დიალექტზე, პინდარეს მსგავსად, არამედ იმ დიალექტზე, რომელიც ესმოდათ ეოლიელებს. ამას გარდა, თუ შეიძლება იწამო სურათის, იგი ყოფილა თავისი დროის ულამაზესი ქალი“ (პავსანია, IX, 22, 3). პლუტარქეს გადმოცემით, მან გაიმარჯვა ხუთგზის პინდარესთან შეჯიბრში (იხ. პლუტარქე, ათენის დიდება, 4, 347). რაც არ უნდა დაუჯერებელი იყოს ეს გადმოცემა,

6. საფოდან კასიამღე

ცხადია, რომ კორინას შემოქმედებას ანტიკურ ხანაში დიდად აფასებდნენ. პინდარესა და კორინას მოღვაწეობას ერთ ეპოქაში ამყარებს თავად კორინას ფრაგმენტი, სადაც იგი კიცხავს პოეტესა მირტისს, რომელმაც გაზედა პინდარესთან შებმა (ფრ. D 15. 16). გვიანი წყაროების მიხედვით, რაც არ უნდა იყოს სანდო, კორინა მირტისის მოწაფე უნდა ყოფილიყო. მკვლევართა ერთი ნაწილი, იმის გამო, რომ კორინას შესახებ ცნობები არ გვხვდება ძვ. წ. ა. II—I საუკუნეებამდე, შესაძლებლად თვლის მისი მოღვაწეობის ხანად ელინიზმის ეპოქის მიჩნევას, ხოლო მინიშნებებს პინდარესა და მისი პოეტური შეჯიბრების შესახებ, ლიტერატურულ ფიქციად მიიჩნევს.

კორინა ერთობ პოპულარული ყოფილა გვიან ელინისტურ სამყაროსა და ძველ რომში, რაზედაც მიგვანიშნებს თუნდაც ის ფაქტი, რომ დიდმა რომაელმა პოეტმა ოვიდიუსმა თავისი სატრაგოს სახელად მისი სახელი შეარჩია.

კორინა წერდა ბეოტიურ დიალექტზე. ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტები გამართულია იონიკუსებითა და ქორიამბებით. როგორც ჩანს, კორინას სიმღერათა ენა და სტილი, რომელიც გამოირჩეოდა უბრალოებითა და სიმარტივით, რაზედაც ჯერ კიდევ პავსანია მიანიშნებდა, ახლოს იდგა ხალხური შემოქმედების ტრადიციებთან. მასთან შეიმჩნეოდა აგრეთვე ჰომეროსისა და ჰესიოდეს პოეზიის გავლენა. თხრობას აცოცხლებდა დიალოგური კომპოზიცია.

კორინას სიმღერათა ალექსანდრიული გამოცემა (იგი

ძვ. წ. ა. 100 წელს უნდა გამოსულიყო) შედგებოდა 5 წიგნისაგან. კომენტარები ეკუთვნოდა ალექსანდროს პოლიპისტორს.

ჩვენამდე კორინას შემოქმედების მცირედმა ნაწილმა მოაღწია. ლექსები ძირითადად ბეოტიურ თქმულებებს ეფუძნებიან. ერთ-ერთ ფრაგმენტში პოეტი აღნიშნავს, რომ ჰქონია სიმღერა მიძღვნილი კეფისოსისადმი (ფრ. 2. 19 D), შეთხზული ორიონსა და მის ვაჟებზე. კორინას ფრაგმენტებში ვხვდებით მითს პელიკონისა და კითერონის შეჯიბრის შესახებ. პოეტი გვამცნობს, რომ ზევსის დაბადებისადმი მიძღვნილი სიმღერით გაიმარჯვა კითერონმა.

კორინა გადმოგვცემს აგრეთვე მითს ასოპოსის ქალწულების შესახებ. კერძოდ, პავსანიას მიხედვით (IX, 20, 1), ტანაგრა ასოპოსის ქალიშვილია, ამავე სახელწოდების ქალაქის მფარველი ღვთაება.

1 გაუთავებლად გძინავს, კორინა, ეს არ გჩვეოდა უწინ

2.19 კვლავ მაუწყებს ტერფსიქორა  
მაღალ ჰანგზე ვიწყო ძნობა  
თეთრი ბიალონით მოსილ  
ტანაგრელთა საამებლად.  
ქალაქი ჩემი სიმღერით ხარობს.

\* \* \*

წინაპრების შეთხზულ ამბებს  
გარდასახულთ ახალ ჰანგზე  
ქალწულთათვის ვიტყვი ქებად.  
კეფისოსის ღვთიურ სახეს  
უწინ ვადიდებდი მიწყევ,  
ვადიდებდი დიდ ორიონს  
და მის ვაჟებს, ვინც ნიმფებმა  
მასთან ტრფობით ჩაისახეს.

ჰელიკონი და კითერონი

2 კურეტები ახალშობილს,  
რეას მიერ მოტაცებულს,  
ავისმზრახველ კრონოსისგან

ნამალევად ზრდიდნენ მღვიმედ.

ასე მღეროდა მგოსანი.

ღვთაებრივმა ძემ პატივი  
მოიპოვა ღმერთთა შორის,  
მუჰამ ნეტართ მოუწოდა,  
ჩაეყარათ იღუმალი

ქვები ოქროცურვილ თასში.

აღასრულეს მისი სიტყვა.

კითერონის გამარჯვება

ღმერთთა მაცნემ განაცხადა.

იხაროდა უკვდავთაგან

დიაღემით შემოსილი.

ბობოქრობდა ჰელიკონი,

ღმობათაგან გატანჯულმა

შემზარავად დაიღმუვლა,

ვეება კლდე ამოგლიჯა

ციდან დაატეხა მიწას.

ასოკონის ქალწულავი

5 ზევსმა, ყოველთა მეუფემ

სამი ასული მოსტაცა,

სამი ცოლად ჰყავს ზღვის ბატონს,

ორს სარეცელი თავისი

ფებოსმა გაუზიარა.

ერთი მაიას ნაშიერ

დიდებულ ჰერმესს დანებდა,  
ისინი დიდი ღმერთების  
კიპრისისა და ეროსის

ბრძანებას აღასრულებენ.

მათ მოუვლინეს ქვეყანას  
ნახევარღმერთი გმირების  
მიწყევზობადი, უზრუნელი,  
სახელოვანი თაობა.

ასე ვმისნობდი სამფეხთან.

წილად მხვდა დიდი პატივი:  
ორმოცდაათმა ღვიძლმა ძმამ  
შანდო დიდებულ აკრეფევსს  
უწმინდეს ტაძრად მისნობა,

რათა გაუწყოთ სიმართლე.

პირველად ევონიმოსმა  
მიიღო აპოლონისგან  
ტაძრად მისნობის უფლება.  
ეს დიდებული პატივი

მას ჰიერევსმა წაჰგვარა,

პოსეიდონის დიდმა ძემ.

ამ ადგილების მეუფე  
კვლავ ორიონი შეიქმნა,  
ჩემი მშობელი, აწ იგი

ცად აღაზევეს მნათობად.

მერმე მე გავხდი მისანი.

ჩემს მართალ სიტყვას ერწმუნე:

„მოყვასო, ღმერთებს შეუხდე,

სულს განარიდე რისხება,

ხარ ღვთაებათა სიმამრი“, —

ასე დამოძღვრა მისანმა;

მას ასოპოსმა სიამით

მარჯვენა ხელი შეახო,

აცრემლებული თვალებით

ასეთი სიტყვით მიმართა:


- 11 ძალმოსილმა ორიონმა  
გაიმარჯვა და ქვეყანას  
თვისი სახელი უბოძა.

#### სხვადასხვა წიგნებიდან

15. 16 ტკბილხმიერ მირტისს გავკიცხავ,  
უკეთუ ქალადშობილი  
ეტოქებოდა პინდარეს.

\* \* \*

გმირთა სიქველეს ვადიდებ  
იონიური ჰანგებით.



## ტელესილა

(ძვ. წ. ა. V ს.)


ტელესილას მოღვაწეობის ხანა ძვ. წ. ა. V საუკუნის I ნახევარს ემთხვევა. მისი სიმღერებიდან ჩვენამდე უმნიშვნელო ფრაგმენტებმა მოაღწია. ამ არგოსელი პოეტი ქალის შესახებ მცირეოდენი ცნობები დაიძებნება პავსანიასთან (იხ. „ელადის აღწერილობა“ 11, 20, 8; 11, 28, 2; 11, 35, 2), რომლის თანახმადაც: „არგოსში, თეატრთან, აფროდიტეს საკურთხეველთან იყო რელიეფი ტელესილას გამოსახულებით, იმ ტელესილასი, რომელიც წერდა ლექსებს. პოეტი ქალის ფეხებთან დაყრილია მისი წიგნები, თავად იგი კი უმზერს მუზარადს, რომელიც უკავია ხელში და ემზადება მის თავს დასაჩქმელად. ეს ტელესილა ქალთა შორის განთქმული იყო მრავალი ღირსებით. მას განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ პოეტური ნიჭიერების გამო. როდესაც არგოსელებმა ენით აუწერელი დამარცხება განიცადეს... (ქალაქი მტრის გარემოცვაში აღმოჩნდა და დამცველთაგან აღარავინ შერჩა), მაშინ ტელესილამ კედლებზე დაა-

ყენა მონები და ისინი, რომელთაც მოხუცებულობისა თუ უსასაკობის გამო არ ძალუძდათ იარაღის ზიდვა. თავად კი მოაგროვა ოჯახებსა და ტაძრებში დარჩენილი იარაღი, შეაიარაღა ქალები და ჩაასაფრა იქ, სადაც მტრის გამოჩენას ელოდა. ქალებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მტერს. ლაკედამონელებმა იფიქრეს, ქალების დამარცხებით სახელსა და დიდებას ვერ მოვიხვეჭთო, ხოლო ქალებისაგან ძლეულნი სამარცხვინო მდგომარეობაში აღმოვჩნდებითო, ამიტომ უკან დაიხიეს“ (11, 20, 8).

პავსანია გადმოგვცემს, რომ ტელესილა თავის სიმღერებში მოიხსენიებდა არტემისის ტაძარს, აპოლონპითეოსს.

ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტი მითოლოგიური სიუჟეტის შემცველი სიმღერის ნაწილი უნდა იყოს. მასში მოიხსენიება მდინარის ღვთაება ალფეოსი და ნადირობის ღვთაება არტემისი. ფრაგმენტი გამართულია სალექსო საზომით, რომელსაც „ტელესილეონი“ ეწოდა მის შემოქმედის სახელის მიხედვით.

1 ალფეოსს გაურბი  
ქალწულო არტემის...



### პ რ ა ქ ს ი ლ ა

(დაახლ. ძვ. წ. ა. 455 წ.)

პრაქსილა წარმოშობით სპარტის სავასალო ქალაქ სიკიონიდან იყო. იგი ცხოვრობდა დაახლოებით ძვ. წ. ა. 455 წლის მახლობელ ხანებში. მისი შემოქმედებიდან სრულად ჩვენამდე არაფერს მოუღწევია. შემორჩენილია მხოლოდ ფრაგმენტები. როგორც გადმოცემებიდან ირკვევა, პრაქსილას მნიშვნელოვან პოეტად თვლიდნენ. მისი სახელი ეწოდა ერთ-ერთ სალექსო საზომს. (შდრ. ათენეოსი, XIII, 60 3). ანტიპატროს თესალონიკელი ცხრა პოეტ ქალთა შორის მას პირველ ადგილას მოიხსენიებს (აგ IX, 26). ცნობილ მოქანდაკე ლისიპოსს მისი გამოსახულება შეუქმნია.

როგორც წყაროები მოგვითხრობენ, პრაქსილას საკმაოდ ინტენსიურად უმუშავია სკოლიონების ჟანრში. ჰეგზამეტრებით გამართული დითირამებიდან კი სამმა სტრიქონმა მოაღწია ჩვენამდე. ეს ფრაგმენტი დაცულია ძენობიოსთან ასეთი კონტექსტით: ჰადესის სამეფოში აფროდიტეს საყვარელ ადონისს ეკითხებიან, თუ რისი დატოვება დაენანა ყველაზე მეტად ქვეყნად. იგი პასუხობს:

- 2 უმშვენიერესი, რაც ქვეყნად დავტოვე, იყო მზის ნათელი, დავტოვე მეორეც: მბრწყინავი მთიები და მთვარის სახება, დავტოვე აგრეთვე ვაშლები, მსხლები და მწიფე ნესკები.
- 14 ისმინე, მოყვასო, აღმეტეს ნათქვამი: გიყვარდეს კეთილი, უგვანს ნუ ენდობი, მცირედ სიხარულსაც ვერ მოგგვრის უგვანი.
- 20 ყოველი ქვის ძირას მორიელს უფრთხილდი, ჩემო მეგობარო.



მ რ ი ნ ა

(ძვ. წ. ა. IV ს.)

ერიწა ძვ. წ. ა. IV საუკუნის 1 ნახეგარში მოღვაწე პოეტი ქალი, წარმოშობით კუნძულ ტელოსიდან იყო. ერთ-ერთი ანტიკური წყაროს მიხედვით, იგი ადრე, 19 წლისა გარდაცვლილა. ნადრევი სიკვდილის გამო მისი შემოქმედება ვერ იქნებოდა დიდი მოცულობის, გადმოცემათა თანახმად, იგი წერდა ეპიგრამებს, შეუთხზავს ეპილიონი „ჯარატარი“ (300 ჰეგზამეტრული სტრიქონი). რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია.

ერიწას ჩვენამდე მოღწეული ოთხი ეპიგრამიდან ორი ეძღვნება მის მეგობარ ბავკისს. საგარაუდო რჩება პლინიუსის შენიშვნა იმის თაობაზე, რომ ერიწა წერდა ეპიგრამებს ჰიკინობელაზე და კალიაზე (იხ. პლინ. ბუნ. ისტ. 34, 57). გვიანი ხანის ლექსიკოგრაფოსები და სწავლულები ძლიერ აქებდნენ ერიწას (იხ. ანტიპატროს თესალონიკელი აგ IX, 26; VII, 713; ასკლეპიადოსი აგ VII, 11). ენის პოეტურობითა და სილამაზით მას ჰომეროსს ადარებდნენ, მიიჩნევდნენ, რომ როგორც ეპიკოსი პოეტი, ერიწა აღემატებოდა საფოსს, თუმც ლირიკაში ბევრად ჩამოუვარდებოდა მას.

ერიწა წერდა დორიულ დიალექტზე.

მ რ ი ნ ა

- 1 აქედან ჰადესში აღწევს მხოლოდ მიმქრალი ექო, დუმილი სუფევს მკედრებში, თვალებს ეფინება ბინდი.
- 3 ეს ხატი, მალალო პრომეთევს, შექმნეს დიდოსტატის ხელებმა, გყოლია მოკვდავთა შორის თანაზიარი სიბრძნით, ქალწულის ნატიფი ქმნილება ხმითაც რომ შეემკო შემოქმედს, წარმოსდგებოდა ჩვენს წინ აგათარხისი თავად.
- 4 გეკუთვნი დედოფალ ბავკისს, როს მოხვალ საფლავთან მეგზურო, იხილავ დაცრემილ მიწას, ჰადესს გადასძახე რისხვით: „ჰადეს, შურიანი ყოფილხარ!“ ნატიფი წარწერა ვიამბობს, ოდესღაც რა მწარე ხვედრი ეწია დედოფალ ბავკისს. ფიჭვის ჩირალდნებით, რომელთაც ქორწილის ჰანგები ამკობდნენ, სამგლოვიარო კოცონი ანთო მოყვასმა ცრემლვით. შენ კი, ჰიმენაოს, შეცვალე ქორწილის ნათელი ჰანგები და საზეიმო ძნობა აქციე მწუხარე გლოვად.
- 5 ჩემო სირენებო, სვეტებო, გლოვის და წუხილის სამარეგ, რომელიც უნაზავთ ჰადესს ფერფლად გადაქცეულ სხეულს, კეთილად მიიღეთ ყოველი საფლავთან მოსული მეგზური, იქნება მშობელი მიწის თუ სხვა ქალაქის მკვიდრი. აუწყეთ, რომ ადრე წასული დედოფლის სამარეს უმზერენ, რომელსაც შეარქვა „ბავკისი“ დაბადების დღეს მამამ, რომ კუნძულ ტელოსზე ვსახლობდი, რომ ჩემმა დობილმა ერიწამ ეს შესანდობარი სიტყვა თავად წააწერა საფლავს.



## ანტიტე

(ძვ. წ. ა. III ს.)

ანიტე ძვ. წ. ა. III საუკუნის ცნობილი პოეტი ქალი წარმოშობით ქალაქ ტეგეადან იყო. ეს ქალაქი მდებარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთ არკადიაში. ანიტეს ნათელმხილველური ბუნების შესახებ პავსანასთან ასეთ გადმოცემას ვხვდებით:

„პოეტ ქალ ანიტეს ეზმანა ღმერთისაგან გამოგზავნილი წერილი (ალბათ პაპირუსის გრაგნილი). მას ეს დაბეჭდილი გრაგნილი უნდა მიეტანა ბრმა ფალისიოსისათვის წასაკითხად. როდესაც ანიტემ გამოიღვიძა, საკუთარ ხელებში აღმოაჩინა წერილი, რომელიც სასწრაფოდ წაუღო ბრმა ფალისიოსს. ამ უკანასკნელს ეგონა, რომ ნაწერს ვერ წაიკითხავდა, მაგრამ შეხედა თუ არა გრაგნილს, მსწრაფლ დაინახა იგი და წაიკითხა უწყება: გადაეხადა ანიტესათვის 2000 სტატერი, რაც აღასრულა კიდევ“ (პავს. X, 38, 13).

რამდენად შეესაბამება სიმართლეს ეს გადმოცემა, ამის შესახებ მსჯელობის საშუალება დღეს ჩვენ არა გვაქვს. ის ეპიგრამები, რომლებიც ჩვენამდე შემორჩა,

წარწერები ტაძრებზე, საფლავის ქვებზე, ეპიგრამები ცხოველებსა და მწერებზე და ა. შ. მიუთითებენ ანიტეს შემოქმედებითი ნიჭის მაღალ პოეტურობასა და შთაბეჭდაობაზე. მელეაგროს გადარელი (ძვ. წ. ა. I ს.) ანიტეს ლექსებს „წითელ შროშანებს“ ადარებს (AG IV, I, V. 5), ანტიპატროს თესალონიკელი (I ს. ძვ. წ. — I სახ. წ.) ანიტეს ცხრა ცნობილ პოეტ ქალთა შორის მოიხსენიებს (აგ IX, 26).

ანიტე წერდა დორიულ დიალექტზე.

მკვლევართა აზრით, ანიტეს შემოქმედებაში ვხვდებით პირველად ბუკოლიკური პოეზიის ნიმუშებს; ბუნების სურათების პასტორალურ აღწერას. ამდენად, მისი შემოქმედება განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

ანიტეს ეპიგრამებში შეინიშნება საფოსეული სული.

- VI 123 აქ დარჩი მრავალთა მმუსვრელო, შინდისაგან ნათალო  
ოროლო,  
შეაშრეს მეტოქის სისხლი ბრინჯაოს დამღუპველ  
ბუნიკს,  
ათენას მაღალი ტაძარი გექცევა მარადის სავანედ  
კრეტელ ექსეკრატეს დიდების ღირსეულ ამბავთა  
მაცნეს.
- XVI 291 პანს, შემკულს ხვიარა კულულით და მესალამურე  
ფერიებს  
კლდის ძირას უბოძა მწყემსამა თეოდოტოსმა ძღვენი,  
რომელიც მწველ ხვატში გათანგულს, სიცხისაგან  
დამაშვრალს ამშვიდებს,  
საამო წყალს აწვდის იგი მწყურვალს საკუთარი ზელით.
- VII 724 ყრმა გარდაიცვალე, პროარხოს, შენმა ადრეულმა  
სიკვდილმა  
მამა ფიდიასის სახლი დარდსა და ვაებას მისცა,  
მაგრამ შენს შესახებ იმღერებს საფლავის ქვა ლამაზ  
სიმღერას,  
იმღერებს, თუ ვითარ შესწირე სანუკვარ სამშობლოს  
თავი.

- VII 486 ხშირად დასტიროდა კლეინო ძვირფასი ქალწულის  
სამარეს,  
უდროოდ წასული შვილის გარდაცვალებას წუხდა,  
უხმობდა სულს ფილენისისას, ვინც საქორწინო სარეცელს  
ველარ მოესწრო, გაყვა მქრალი აქერონის ნაკადს,
- VII 646 აღსასრულის უამს ერატომ მოიხმო მშობელი მამა,  
მიმქრალმა ცრემლებს ფრქვევით მოხვია ხელი და  
უთხრა:  
„შენი აღარა ვარ, მამა, უკვე სასიკვდილოდ განწირულს  
საზარი სიკვდილი მაფენს თვალებზე უკუხეთ ღამეს“.
- VII 649 წმინდა სანთიობოს, ქორწილის მაღალი ჰიმნების  
სანაცვლოდ  
გიძღვნა მარმარილოს ძეგლი დამწუხრებულმა დედამ,  
რომ ქალწულებრივი მშვენებით მოსილი სახებით  
გვახსოვდე.  
შენ გარდაიცვალე, თერსის, და მაინც ვსაუბრობთ  
შენთან.
- VI 312 თხაო, მხიარულმა ბავშვებმა შეგაბეს წითელი სადავე,  
ამოგდეს წითელი ლაგამი ბეწვებით დაფარულ  
დრუნჩხე  
და მივაჭენებენ ისინი ცხენივით ღვთის ტაძრის გარშემო,  
ვიდრე შევიძლია, ატარე ცელქი ბავშვები ფრთხილად.

7. საფოდან კასიამდე

IX 745 ხედავ, ბრომიოსის რქით მოსილ თხას, ამპარტავანს და  
მწვაობარს,  
გრძელწვერებიანი სახით რა მედიდურობით გვიმზერს,  
ამაყოფს იმით, რომ მაღალი მთების მწვერვალებზე მის  
ლაწვებს  
ეალერსებოდა ნიმფა ნაისი ვარდისფერი ხელით.

IX 144 ამ წმინდა ადგილის მეუფედ ითვლება ღმერთქალი  
კიპრისი,  
აქ მოდის ღვთაება მიწყვი ზღვის მბრწყინავ სივრცეთა  
მზერად,  
და ძალმოსილია, რამეთუ კეთილჰყოს ზღვად მყოფთა  
რუდუნნი,  
მის დიდებულებით მზირალ ძეგლს მორჩილებენ  
ზვირთნი.

VII 208 ეს ძეგლი აუგო დამისმა ბრძოლის ქამს დაღუპულ  
ბედაურს,  
არესმა განგმირა მისი შეუბოვარი მკერდი,  
სისხლის მეწამულმა ნაკადმა დაფარა ძლიერი სხეული,  
საზარი მკვლელობის ადგილი დამძიმდა დაღვრილი  
სისხლით.

X სული განუტევე ოდესღაც ფესვებით დაკორძილ ბუჩქებში,  
უწინ. ლოკრისელო ძაღლო, მოყეფარ ქოფაკებს მუდამ

აღმატებოდი სისწრაფით. კისერმოხატულმა ასპიტმა  
დაგესლა საზარი შხამით შენი სწრაფმავალი თათი.

VII 802 ჩემი გაღვიძება აისზე აღარ შეგეძლება, მამალო,  
ველარ შეირხევა შენი ხშირი, მოფარფატე ფრთები,  
რამეთუ მზაკვარი ცხოველი ღამე მოგეპარა მალულად,  
მომაკვდინებელი ბრჭყალით უმალ გამოგლადრა ყელი.

VII 215 ველარ ჩავუქროლებ ამაყად ზვირთებში ბინადარ  
ქარავენებს,  
ველარ ამოვისვრი სხეულს უძირო სიღრმიდან მაღლა,  
ველარ წარუძღვები ხალისით ძლიერ სოლებიან ხომალდებს,  
მათ უმშვენნიერეს კიჩოებს ვერ მივეფერები ქშენით,  
რადგან მარადიულ სავანედ მექცა საუცხოო ნაპირი,  
სადაც გამომრიყა მიწად ზღვის ძოწისფერმა ზვირთმა.

IX 313 ლამაზად შეფოთლილ დაფნის ქვეშ შეჩერდი, ჩამოჯექ,  
ყარიბო,  
მიირთვი ანკარა წყაროს გრილი და საამო წყალი,  
ზაფხულის მოსავლის ადებით მოღლილ და მოთენთილ  
კიდურებს  
მიესალბუნება ჩრდილში თავად. ზეფიროსის სიო.


IX 314 იქ, სადაც სამი გზა იყრება ჭაღარა ზღვის სანაპიროსთან,  
მიწყვი ნიავიან ჭალად ღვთაება ჰერმესი დგება,

რათა შორი გზებით მოღლილებს არგუნოს შვება და  
სიმშვიდე:  
გასაგრილებლად უძღვნას ცივი და ანკარა წყარო.

XVI 228 მგზავრო, ამ თელის ქვეშ ინებე მოღლილი სხეულის  
მოთენთვა,  
მის მწვანე ფოთლებში მიწყვი საამოდ შრიალებს სიო,  
ხის საგრილობელში წყაროა, მიირთვი ქანკარა  
სასმელი,  
მგზავრს მოსასვენებლად ხვატში ასეთი ადგილი  
ხიბლავს.

XVI 231 რად ზიხარ ფოთლებით დაჩრდილულ ტყეში, სოფლის  
პანო, ეულად,  
შენი ტკბილხმიერი სტვირით მიდამოს რად ავსებ  
სტვენით,  
შიტომ, რომ ცვარ-ნამით დაფარულ ამ მთიან ველებზე  
მოსულნი  
პურის ლამაზთმება თავთავი ხარების ნახირმა ძოვოს.

VII 190 მუხის ხედ ბინადარ ჭრიჭინას და მინდვრის მომღერალ  
კალიას  
საერთო საფლავი აუგო დამწუხრებულმა მირომ,  
ო, ბევრი იტირა გოგონამ, რადგან უღმობელმა ჰადესმა  
ასე უმოწყალოდ წაართვა ორი მეგობარი ერთად.



## ნოსისი

(ძვ. წ. ა. III ს.)

ნოსისი, თეოფილოსის ქალიშვილი, წარმოშობით  
იტალიური ქალაქის ლოკროს მკვიდრი იყო. მისი მოღ-  
ვაწეობის ხანა ძვ. წ. ა. 300 წლის მახლობელ ხანებში  
ივარაუდება. მცირერიცხოვანი ეპიგრაფები სიყვარულის  
ძალაზე, დასატირებელი სიმღერები, მეგობართა, ქალე-  
ბის გამოსახულების და ქანდაკებების წარწერები ნო-  
სისის პოეზიის მომხიბვლელობაზე მეტყველებენ. იგი  
წერდა დორიულ დიალექტზე. ნოსისი სიამაყით აყენებს  
თავის თავს საფოს გვერდით.

- V 170 დიდი სიყვარული ტკიბილია. ამ ქვეყნის ყოველი სიამე  
დაჩრდილა ეროსმა, თაფლიც ჩემმა ბაგეებმა დათმეს.  
ამას აღიარებს ნოსისი: ვისაც აფროდიტე არ სწყალობს,  
ის ვერასოდეს იგრძნობს ვარდების მშვენების ძალას.
- VI 132 სძლიეს ბრუტიუმელ მებრძოლებს ომებში მედგარმა  
ლოკრებმა  
და სასიკვდილოდ განწირულთ უბადრუკ ბეჭთაგან  
ახსნეს  
ის აღსაჭურველი, რომლითაც შეამკეს ღმერთების ტაძრები.  
და არ იცოდებენ აბჯრები იმ ჯაბანთ, რომელთაც  
დათმეს.
- VI 265 ჰერა, დიდებულო ღვთაებავ, დრუბლებით შებურულს  
რომ უმზერ  
ლაკინონის ტაძარს, გუნდრუკის სურნელით მოსილს,  
მიიღე ბისოსის სამოსი, მას თეოფილოსი ქარგავდა,  
კლეონას მორჭმული ასული, ქალიშვილ ნოსისთან  
ერთად.
- IX 332 წავიდეთ, ვისწრაფოთ ტაძრისკენ კიპრისის მეუფე  
ღვთაების

დიდი ოსტატობით ნაძერწი ოქროს ქანდაკების ხილვად,  
ეს უძვირფასესი ქმნილება მიუძღვნა ღმერთს პოლიარხისმა.  
რომელმაც სხეულის მშვენებით თავად დაიხვავა განძი.

- VI 275 ალბათ მიიღებდა სიამით კიპროსზე შობილი ღვთაება  
თავრიდეს, რომელიც ამკობდა სამითაისის თავს უწინ,  
დიდი ოსტატობით მოქსოვილს ასდის იმ ნექტარის  
სურნელი,  
რომელსაც აპკურებს ხოლმე მშვენიერ აღონისს  
ღმერთი.
- IX 605 მართლაც დიდებული ქმნილება — ხატი საკუთარი  
სახების  
ოქროს აფროდიტეს ტაძარს უბოძა საჩუქრად კალომ,  
მოსავს მომხიბლავი დგომა და ყველასთვის ნანატრი ასაკი,  
ასეთს გაუმარჯოს, ცხოვრებას ვერ უსაყვედურებს იგი.
- IX 604 ო, რა დიდებულად ასახავს ხატი თავმარეტეს არსებას,  
თვალეზი ცოცხლობენ თითქოს მოწყალე, კეთილი  
მზერით,  
კუდს აქნევს პატარა ფინია, სასახლის ერთგული დარაჯი,  
ნახატს კი არა და ჰგონებს, რომ ცოცხალ ქალბატონს  
უმზერს.

VI 353 ო, ჭეშმარიტად მელინოს ხატი შეუქმნია შემოქმედს,  
რა მომხიბლავი სახით და სიყვარულით გვიმზერს,  
დედის განსახიერება არის ქალწული აშკარად,  
დიდებულია, როცა შეილი ასე ჰგავს მშობლებს.

VI 354 შორიდან მხილველიც შეიცნობ ხატზე საბითისის სახებას,  
მაღალი აზრით და ფიქრით შთაგონებული გვიმზერს.  
ხედავ, წარმოსახა მხატვარმა სიბრძნით, სათნოებით  
აღსაესე,  
გვრძნობ მის მოწყალე მზერას, იხარე, ნეტარო ქალო!

VII 414 რაოდეს ჩაუვლი ჩემს სამარხს, ხმამაღლა იცინე, ყარობო,  
და გაიმეტე ჩემთვის წყალობა კეთილი სიტყვით,  
ვარ სირაკუზელი რინთონი, მუზის უბადრუკი მსახური,  
ტრაგიკულ ფლიაქსთა მღერით მაქვს მოპოვებული  
სურო.

VII 718 მგზავრო, მიტილენედ თუ მიხვალ, სადაც დიდებულად  
მღერიან,  
რათა აღენტო საფოს დიდი პოეზიის მაღლით,  
ახსენე, რომ მუზებს უყვარდათ ლოკრების მიწაზე შობილი  
პოეტი, სახელად ნოსისი, არ დაივიწყო, წადი!

VI 273 არტემის, დელოსის მფლობელო, წარმტაც ორტივიას  
მეუფევე!

მოზიდე მშვილდი და სტყორცნე ისრები ქარიტას  
მკერდქვეშ,  
ტანი განიწმინდე ინოპში, შინ გამოეცხადე ალკესტისს  
და სამშობიარო ღმობათა განცდისგან იხსენი, ღმერთო!



## მ ო ი რ ო ( მ ი რ ო )

(დაახლ. ძვ. წ. ა. III ს.)

მოიროს ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს ჩვენამდე არ მოუღწევიათ. ცნობილია მხოლოდ ის, რომ იგი იყო ტრაგიკოსი პოეტის ჰომეროს ბიზანტიონელის დედა და ცხოვრობდა დაახლოებით ძვ. წ. ა. 300 წლის მახლობელ ხანებში. პავსანია მას მოიხსენიებს ეპიკური ნაწარმოებებისა და ელეგიების შემოქმედად (პავსანია, IX, 5, 8).

გადმოცემათა თანახმად, მოიროს პოეზიას აღიარებდნენ ერინასა და ჰელილეს შემდეგ. მელეაგროს გადარეული (ძვ. წ. ა. 1 ს.) მის სიმღერებს „თეთრ შროშანებს“ აღარებს (IV 1, V 5—6). ანტიპატროს თესალონიკელი მას ცხრა ცნობილ პოეტ ქალთა შორის მოიხსენიებს (X. 26). ქრისტოდოროს კობტოსელი (VI ს.) მოიხსენიებს მას, როგორც მუზათაგან განსწავლულს და ჰეროკულ-ეპიკური პოეზიით ცნობილს (II, V 410, 411). მისი სიმღერები სვიდას გამომცემლისათვის ჯერ კიდევ დაახლოებით 1 000 წლის მახლობელ ხანებში ყოფილა ცნობილი.

მოიროს შემოქმედებიდან ჩვენამდე შემორჩა ათი ჰეგზამეტრული სტრიქონი ნაწარმოებიდან „მნემოსინე“ და ორი ეპიგრამა. გადმოცემათა თანახმად, მას შეუთხზავს „წყევლანი“ და პოსეიდონისდმი მიძღვნილი ჰიმნები.

1 მალაღმა ზევსმა რომ კრეტად დაივანა, იქ ჰპოვა საფარი, იმძლავრა სხეულით, არარა უწყიან ნეტარმა ღმერთებმა. ოკეანის წყლიდან მოჰქონდათ ფრთხალ მტრედებს მისთვის ამბროსია;


ასე გამოკვებეს დიდი კრონიონი ღვთაებრივ მღვიმეში. კლდიდან გადმომდინარ ნექტარს აგროვებდა არწივი ნისკარტით

და საამებელი სასმელი მოჰქონდა მალაღი ღმერთისთვის. რაოდეს დაამხო მამა კრონიონმა, შორით მოქუხარმა, დიდ არწივს არგუნა მარადიულობა და ცად აღაზევა. ფრთხალი მტრედებისთვის ზევსმა მოავლინა სხვაგვარი წყალობა:

მათ ზამთარ-ზაფხულის წინასწარუწყების პატივი მიაგო.

VI 119 ბაკხოსის შანარით აღვსილო ვაზის დიდებულო მტევანო, გფარავს აფროდიტეს ტაძრის ოქროცურვილი სვეტი, აღარ მოგვეღება გარშემო დედა მოალერსე სუროთი, არ აღმოვიცენებს ბუნზე თავის სურნელოვან ფოთოლს.

VI 189 ჰამადრიადებო, ნიმფებო, მდინარის ღვთიურო ქალწულნო, ვარდისფერ ტერფების შეხებით უფსკრულებს რომ თელავთ მიწყევ, უკვდავო ქალღმერთნო, იდიდეთ და კლეონიმოსი მიიღეთ. მან ხომ ფიჭვების ძირში ლამაზი ძეგლები გიძღვნათ.




ჰედილე

(ძვ. წ. ა. III ს.)

ჰედილე ლიტერატორთა ოჯახის წარმომადგენელია. გადმოცემათა თანახმად იგი იყო ატიკელი იამბოგრაფოსი ქალის მოსქინეს ქალიშვილი (მის ნაწარმოებებს ჩვენამდე არ მოუღწევიათ) და დედა ეპიგრამატისტ ჰედილოსისა. ის სტრიაქონები, რომლებიც ჰედილეს შემოქმედების ნიმუშად არის მიჩნეული, შემონახულია ათენეოსთან (VII, 297). ჩანს, სიმღერა აგებული იყო გლაგკოსის მითის სიუჟეტზე: ეს არის ფრაგმენტი ელეგიური ხასიათის ნაწარმოებიდან „სკილა“.

ნიჟარები და ჰალკუნთა შეუზუმბლავი ბარტყები  
 ერთრეს კლდიდან შოართვა ნიმფას მეჭველმა საბოძვრად,  
 მისთვის ცრემლები დაღვარა იქ მობინადრე სირენემ,  
 მან კი ეტნასთან მდებარე სანაპიროსკენ ისწრაფა.



მელინო

(ძვ. წ. ა. II—I ს. ს.)

მელინოს ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ჩვენამდე არავითარ გადმოცემას არ მოუღწევია. დაუდგენელია ისიც, თუ რომელ საუკუნეში მოღვაწეობდა იგი. არც ის არის ცნობილი, ნამდვილად მელინოსი არის თუ არა ის მცირერიცხოვანი ფრაგმენტები, რაც ტრადიციულად მას მიეკუთვნებოდა. ყოველ შემთხვევაში, ის ლექსი, რომელიც ამ კრებულშია წარმოდგენილი, ითვლება მელინოსისეულად. მელინო ყოფილა იტალიური ქალაქის ლოკროს მკვიდრი. ეს ქალაქი ძვ. წ. ა. III საუკუნის I ნახევრიდან რომს დაქვემდებარებულ ქალაქად ითვლებოდა. ჰომეიერის აზრით, ლექსის სტილი და აგებულება საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ მელინო ძვ. წ. ა. II საუკუნეში მოღვაწეობდა. ედ. ნორდენის მიხედვით, მელინო ძვ. წ. ა. I საუკუნის პოეტი ქალი უნდა იყოს. ლექსში აშკარად შეიცნობა რომის განდიდების მოტივი. ეს ჯერ კიდევ პოეტ ლიკოფრონთან (III საუკუნის I ნახ.) გვხვდება „ალექსანდრიაში“, და შემდეგ კი — ვერგილიუსის „ენეიდაში“ (VI 781 2). ბოლო

სტროფების მეტაფორები აშკარად ბერძნულია.

იოანე სტობაიოსთან ეს ლექსი ციტირებულია იმის საილუსტრაციოდ, რომ ბერძნული სიტყვა „რომი“ (ქალაქი რომი) და ბერძნული „ჰრომე“ (ძალა) დაკავშირებული არიან ერთმანეთთან.

ლექსი დაწერილია საფოურის სტროფით, დორიულ დიალექტზე.

## მელინო


რომო, ასულო არესისა, მოგესალმები,  
ოქროს სარქმელით შემოსილო დიდო ქალღმერთო,  
მარადიული ოლიმპოსის მთის მწვერვალია  
შენი სავანე.

პატივდებულო ღმერთთა შორის, მხოლოდ შენ გიძღვნა  
გარდაუვალი მმართველობის უფლება ბედმა,  
შენ უნდა პყრობდე ჰეგემონის ძალას და პატივს  
და მეუფებდე.

ამაღლებულო, შენს ძალმოსილ ლაგამთა უღელს  
მიწის გული და ჭაღარა ზღვა ემორჩილება,  
სახელმწიფოებს, სადაც ხალხი ოდითგან ცხოვრობს,  
ურყევად მართავ.

დიადი ჟამი ანადგურებს ამქვეყნად ყოველს,  
კაცთა სიცოცხლეს გარდასახავს და გარდააქცევს,  
და მხოლოდ შენი ძალისადმი კეთილმოდრეკილს  
ვერ სწვდება იგი.

მრავალთა შორის მხოლოდ შენ ერთს ხელგეწიფება  
აღსაჭურველით უძლიერეს ჯართა აღკაზმვა,  
რათა მოიმკა უმაჰაცეს კაცთა ნაყოფი —  
დემეტრესავით.



## იულია ბალბილა

(I—II სს.)

იულია ბალბილას შესახებ ბიოგრაფიულ ცნობებს ჩვენამდე მოღწეულ მისივე ქმნილებებში ვპოულობთ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქმნილებათა რიცხვი მეტად უმნიშვნელოა. შედარებით სრულად შემორჩენილია ოთხი ლექსი, რომლებშიაც პოეტი ქალი გადმოგვცემს მის მიერ მემნონის კოლოსის ხილვის ამბავს. ერთ-ერთ ფრაგმენტში იულია ბალბილა მოიხსენიებს თავის წინაპრებს — ბრძენ ბალბილოსსა და მეფე ანტიოქოსს. პოეტი ქალი სიამაყით აღნიშნავს, რომ იგი კეთილშობილთა გვარის ჩამომავალია. ეპიგრამები მიგვანიშნებენ, რომ იულია ბალბილამ ეგვიპტის თებეში მემნონის კოლოსის სანახავად იმოგზაურა იმპერატრიცა საბინასთან ერთად. ეს საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ პოეტი ქალი მიღებული იყო იმპერატორ ჰადრიანეს კარზე, რომლის ბერძნული ორიენტაციაც საკმაოდ ცნობილი ისტორიული ფაქტია.

ბალბილას ჩვენამდე მოღწეული ქმნილებები არ გვა-

ძლევენ საშუალებას ვისაუბროთ მათი ავტორის პოეტურ ნიჭზე. ჩანს, იგი მოწოდებით პოეტი არც უნდა ყოფილიყო. ღვათებრივი ეოსისა და ტითონოსის ძის მემნონის კოლოსი ეგვიპტის თებეში აღიმართა ფარაონ ამენოფის III-ის დროს. როგორც გადმოგვცემენ, მნახველებს აოცებდათ ქანდაკების საოცარი ზომები და ხმა, რომელსაც იგი გამოსცემდა. (პლინიუს უფროსის გადმოცემის თანახმად, შუის სითბო ანიჭებდა ქანდაკებას ხმის გამოცემის ძალას. იხ. ბუნ. ისტ. 36, 58; შდრ. დიონ ხრისოსტომოსი, სიტყ. XXXI 3, 38). მემნონის კოლოსი დაზიანდა ძვ. წ. ა. 27 წელს მიწისძვრის შედეგად. სეპტიმუს სევერუსმა ბრძანა ნაწილობრივ მაინც აღედგინათ ეს ქანდაკება. აქედან მოყოლებული როდოსის კოლოსი მრავალმა მოგზაურმა მოინახულა. ქანდაკების კვარცხლბეკზე ამოტვიფრული ყოფილა პოეტთა სახელები და ეპიგრამები (შდრ. კაიბელი, ეპიგრამები, № 944 და 613).

იულია ბალბილა გვამცნობს მემნონის იმ ტიტულებს, რომლებიც მიეწერებოდა მას ამენოფის III-ის გაღმერთების შემდეგ. იულიამ იცის თებეს მითი და კამბისისის მიერ ძვ. წ. ა. 523 წელს კოლოსის წინასწარგანზრახული დარბევის ამბავი (შდრ. ჰეროდოტე, III 27; 29; 101; ელიანე, ცხ. ბუნ. X 28; ჰავსანია, I 42, 3).

ეპიტაფიები შესრულებულია ლესბოსურ დიალექტზე. იგრძნობა საფოს გავლენა.

**ღღა პირველი, ოღეს არ გვახსია ხმა მემონისა**

შენს ხილვად მეუფის მეუღლე, ლამაზი საბინა მოვიდა,  
ღუმლით მიიღე, მემონ, ლამაზი საბინა გუშინ,  
გეწვია სურვილით, ესმინა შენი ღვთაებრივი სიმღერა,  
რათა დამტკბარიყო მზერით მართლაც დიდებული სახის;  
ო, განრისხდებოდა მეუფე შენი წარმავალი ღუმლით  
და დამწუხრდებოდა მისი მეუღლე—დიდების ღირსი,  
თავად ჰადრიანეს დიადი ძალით მოხიბლულმა, შეძრულმა  
მისთვის ხმა გაიღე, მემონ, რითაც გაიხარა მეფემ.

მესმა ღვთაებრივი მემონის — ფამენოფისის ხმა ბალბილას,  
სათნო საბინასთან ერთად ვიხილე მჟღერი ქვა ოღეს,  
ეს მოხდა ცისკრის ჟამს, ცის თალი მზემ როს გაანათა სხივებით,  
იღვა ჰადრიანეს მეფობის მეთხუთმეტე წელი მაშინ —  
ოცდაოთხ ნოემბერს გასცდა და მომღვენო ღღის იღვა აისი.

**იულია გალგილას ლეასი, ოღეს ესა ხმა მემონისა დიდ ჰადრიანეს**

ეგვიპტის მიწად აღმართული მემონის ხმა გვესმა მხილველებს,  
გვესმა მზის სხივებით გამთბარ ეგვიპტურ ფიქალთა ჟღერა,  
ცისკრის ჟამი იყო, მემონი ოღეს ძლევამოსილ მეუფეს —  
მაღალ ჰადრიანეს შეხვდა მისთვის საკადრისი საღმით.

როს თეთრი ცხენებით ტითონი სიბნელით მოცულ ცად აღზევდა,  
მემონის სპილენძის ჟღერა მეორედ, მესამედ გვესმა.  
მეფე ჰადრიანემ მეფურად უბოძა სალაში მემონს და  
დიდი ხელოვნებით ქმნილი უსტრებით ცხადეყოთ — ბრძანა,  
რაც მოისმინა და იხილა ეგვიპტის მიწაზე მოსულმა,  
რათა დაენახა ყოველს, ღმერთებს რომ უყვარდათ იგი.

**ოღეს მე მის უდიდებულსოგა საბინასთან ერთად ვეფვიე მემონს**

ღვთიური ტითონის, ეოსის მაღალო მოდგმაო, მემონ,  
ეგვიპტის თებეში ჰპოვე შენი საყუდარი მყუდრო,  
ზევსსა და ეგვიპტის მეუფე ამენოთს ეკუთვნის ქალაქი,  
ღრმად მცოდნე ქურუმთა ძველი მითები გვამცნობენ ასე.  
შენ მოგესალმები, აჟღერდი, კეთილი განწყობით მიიღე  
დიდი ჰადრიანეს მეუღლე კეთილშობილური მოდგმის.  
ხმა და სასმენელნი დაგისზო კაცმა ბარბაროსმა, უღმერთომ,  
უცხო კამბისესმა, თუმცა თავად სამარცხვინოდ მოკვდა.  
იგი დაისაჯა, იმავე შუბით განიგმირა, რომლითაც  
მოკლა ღვთაებრივი აპისი. შენში უკვდავია სული.  
ჩემი წინაპრები არიან ერთობ დიდებულნი გვართ —  
ბრძენი ბალბილოსი, მასთან მეფე ანტიოქოსს ვიტყვი.  
ღვდიოთაც მაღალი წოდებით და ჩამომავლობით ვამაყოზ,  
მეფე ანტიოქოსს აქაც ვენათესავენი მოდგმით.  
ასე რომ, მაღალი დიდება მე წინაპართაგან მომდგამს,  
ღრმად კეთილშობილმა ქალმა ბალბილამ დავწერე ლექსი.



## ცეცილია ტრეზულა

(I—II სს.)

ცეცილია ტრეზულას პიროვნებისა და ცხოვრების შესახებ არაფერია ცნობილი. ვერაფერს ვიტყვით იმაზეც, თუ ვის ახლდა იგი ეგვიპტის თებეში მოგზაურობის ყამს. სავარაუდოა, მემნონის კოლოსი მან მოინახულა იულია ბალბილასთან ერთად II საუკუნის I ნახევარში. ლექსები გამართულია იამბური ტრიმეტრით.

## ცეცილია ტრეზულა

როდესაც მესმა უწმინდესი ხმა მემნონისა  
შევწუხდი, მსურდა მოვესმინა ეს ხმა შენც, დედა.

თავდაპირველად ხმა გვასმინა მხოლოდ მემნონმა,  
ავრორასა და ტითონოსის უკვდავმა მოდგამმა,  
მერმე გულთბილად მოგვესალმა, ვით ახლობელი,  
ხმის გამოცემის უნარიც და გრძნობაც უბოძა  
ამ ქვას ბუნებამ, შემოქმედმა ყოველიერთა.

ლექსი შეითხზა, როს ვისმინე ხმა მემნონისა:  
დამარბიანო კამბისესმა — ასე მომმართა.  
აღმოსავლეთის მეფის ქვაში ნაკვეთი სახით  
აქდერდა ჩემთვის მომჩივანი ხმა მემნონისა,  
რადგანაც იგი კამბისესმა ღრმად დაამწუხრა.  
ძლივს ისმის ახლა ბუნდოვანი მისი ხმის ყდერა.  
მივტირი იმას, რაც დიდ მემნონს ბედმა წაართვა.



## დ ე მ ო

(II (?) ს.)

დემოს შესახებ ჩვენთვის არაფერია ცნობილი. ფრაგმენტიდან ჩანს, რომ მას უმოგზაურია ეგვიპტეში მემნონის კოლოსის სანახავად, სავარაუდოა, II სუკუნეში. სიამაყით აღნიშნავს დემო, რომ არის პოეტი, სიმღერის მოყვარე. ეპიგრამის ენა ეოლიურ დიალექტს ჰგავს. შესამჩნევია ჰომეროსის გავლენაც (შდრ. ილიადა, I, 572; ოდისეა, III, 164).

## დ ე მ ო

მოგესალმები, ეოსის ძევ! კეთილმოღრეკით მიმიღე, მემნონ, პიერიდთა მსახური ქალი, დემო, სიმღერის მოყვარული. შენს მაღალ ნებას ემსახურება ჩემი ჩანგი მარადყამიერ.



## თეოსეგა

(II—IV ს. ?)

თეოსეგას შესახებ არაფერია ცნობილი. ჩვენამდე მოღწეულ მის ოთხ სტრიქონშიც არავითარი ინფორმაცია არ ჩანს. ეპიგრაფა ენობრივი და შინაარსობლივი თვალსაზრისით, მკვლევართა აზრით, II—IV საუკუნეებს შორის თავსდება.

## თეოსეგა

---

აკესტორიას სამი ლმობა დაუთმენია, თმაც შეუკვეცავს, თავდაპირველად ჰიპოკრატესთვის, გარდაიცვალა გალენოსიც, სამგლოვიარო სარეცელზე განისვენებს აბლაბიოსიც. და ამის შემდეგ ეშინია აკესტორიას ხალხში გამოსვლა.

აგ VII 559



## იულია სულპიცია

(I—II სს.)

იულია სულპიციას შესახებ ჩვენთვის ერთობ მცირე რამ არის ცნობილი. კერძოდ, იგი ყოფილა უძველესი რომაული გვარის ჩამომავალი, ასული სერვიუს სულპიციუსისა. იულია ენათესავებოდა მ. ვალერიუს მესალას, იმპერატორ ავგუსტუსის მეგობარს. ყოველივე ეს ჩვენთვის ცნობილია რომაელი პოეტის ტიბულუსის შემოქმედებიდან: იგი თავისი სიმღერების კრებულში მოთავსებული ექვსი ელეგიის (IV, VII—XII) შემოქმედად იულია სულპიციას ასახელებს. თუ რამდენად შეესაბამება ეს აზრი ჭეშმარიტებას, მკვლევართათვის ჯერ კიდევ უცნობია.

## იულია სულპიცია

ბოლოს სიყვარულიც მეწვია, ამ გრძნობის დუმილით დაფარვას უფრო სამარცხვინოდ ჩავთვლი, ვიდრე საქვეყნოდ განთქმას;

ჩემი კამენა — ლოცვის და ვედრების სიმღერა — ისმინა ვენუსმა, მომგვარა იგი, მკერდზე დამიწვინა თავად, სიტყვა ადასრულა ღვთაებამ. დე, ილაპარაკოს ამაოდ მან, ვისაც არ ძალუძს თავად ამ ბედნიერების განცდა.

აღარ მსურს მივენდო გულწრფელად უსტართა დაწერილ სტრიქონებს,

რათა ჩემს სატრფოზე უწინ სხვამ არ წაიკითხოს იგი.

მე თავდავიწყებას ვესწრაფვი, ჭორების შიშით მიძულს შენიღბვა, დაე, ასე თქვან: ილტვის ღირსეულისაგენ ღირსი.

(IV, VII)

ჩემი დაბადების დღე მზარავს, რადგან კერინთუსის თვინიერ უნდა გავატარო იგი დარდით ამ უდაბურ სოფლად, რომი — დიდებული ქალაქი! მოხიბლავს სოფელი ქალიშვილს, ანდა არეტუმის მიწად მდინარი ანკარა წყარო?

ნულარ შეწუნდები, მესალა, ნუ ფიქრობ ჩემს ბედზე, დამშვიდდი, უდროოდ მოდიხარ ხშირად, შენი ახლობელი გეტყვი:

თუკი ჩემს წაყვანას ინებებ, სულთ და გრძნობით აქ დავრჩები, რადგანაც არა მრთავ თავად წადილის მიღწევის ნებას.

(IV, VIII)

უწყოდე, მწუხარე მგზავრობა ველარ შეაშინებს გოგონას,  
ჩემს დაბადების დღეს რომში შეგვხვდებით, ძვირფასო, ერთად,  
ეს დღე ჭეშმარიტად იქნება მოყვასთა ლამაზი ზეიმი,  
დღე — მოულოდნელად ბედმა რომ გარდმოაგლინა ჩვენთვის.

(IV, IX)

კარგია, ასე რომ ირწმუნე — საძრახისს არაფერს ჩავიდენ,  
აღარ შეგაწუხებს მეტად ჩემს სისულელეზე ფიქრი,  
რას იზამ, თუ უფრო გიზიდავს უგვანო, მდაბიო დიაცი,  
ვიდრე სერვიუსის მოდგმა, სათნო სულბიცია ვიდრე;  
ჩემი უბედობით შეძრული დამწუხრებულთა ყოველი,  
რათა არ ჩავუწვე უღირსს საწოლში ჩემივე ნებით.

(IV, X)

კვლავაც თანაუგრძნობ, კერინთუს, შენს მოსიყვარულე გოგონას,  
რომლის მოთენთილ სხეულს წვავს დაუთმენენლი ცეცხლი?  
ამ ავადმყოფობის დაძლევის შევძლებდი იმ რწმენით აღსავსე,  
შენც რომ გაწუხებდეს ჩემი განუკურნებელი სენი.  
აღარ მსურს ვებრძოლო საღმობას, რადგანაც ასეთი სიმშვიდით,  
აუღელვებელი სულით ხვდები ჩემს განცდას და ტკივილს.

(IV, XI)

ო, ჩემო ნათელო, აღარ მსურს ვგრძნობდე შენს მხურვალე  
სიყვარულს,  
ისეთს, როგორსაც ვგრძნობდი ამ რამოდენიმე ხნის წინ,  
და თუკი შევცოდე უაზროდ, ბავშვისთვის ჩვეული სიკდემით,  
იყო საოცარი ცოდვა, რომელსაც გულწრფელად ვნანობ,  
ვნანობ უფრო მეტად, მერწმუნე, ვიდრე ამალამინდელ ცოდვას,  
ოდეს მიგატოვე, რადგან შენგან დამეფარა ვნება.

(IV, XII)

## პ რ ო ბ ა

(IV ს.)

პრობა, რომელიც კეთილშობილური გვარის ჩამომავალი, იყო მეუღლე კლოდიუს ადელფუსისა, რომელიც 351 წელს აირჩიეს რომის სახელმწიფოს პრეფექტად. ჩვენთვის ცნობილია, რომ პრობას კალამს ეკუთვნის ერთი ეპიური ხასიათის ლექსი, სადაც მინიშნებულია კონსტანტინესა და მაქსენტიუსს შორის მომხდარი განხეთქილების შესახებ (დაახლ. 310 წ.) და ქრისტიანული შინაარსის შემცველი ე. წ. კომპილაცია, რომელიც შედგება 694 ჰეგზამეტრული სტრიქონისაგან და რომელიც შეთხზულია ვერგილიუსისაგან ნასესხები სიტყვებითა და სიტყვათშეთანხმებებით. სხვის ნაწარმოებთა შეგნებული გამოყენება ლათინურენოვან ლიტერატურაში დაიწყო ძვ. წ. ა. III საუკუნეში. ამ პროცესს საფუძვლად ედო ბერძნულ ნიმუშთა შესწავლა და აღორძინება. მოგვიანებით ეს მეთოდი გამოიყენებოდა სასკოლო სახელმძღვანელოებში (პერიფრაზები, ციტაციები, მეტრული საგარჯიშოები). წარმართული პოეზია დიხანს რჩებოდა მისაბად ნიმუშად.

პრობას ქმნილებებიდან ჩანს მათი ავტორის განათლების მაღალი დონე, ბიბლიური წიგნების ღრმა ცოდნა. ზეპირად იცოდა ალბათ პრობამ ვერგილიუსის „ენეიდის“ სტრიქონებიც. „მიძღვნა“ და „შესავალი ლექსი“ შედარებით ორიგინალურია, თავისუფალია ნასესხობისაგან. „მიძღვნა“ ეხება იმპერატორ თეოდოსიუსის ორთავე ძეს: ჰონორიუსსა და არკადიუსს.

„შესავალი“ უფრო ფართოა თავისი თემატიკით. აქ ძალიან მოკლედ მინიშნებულია სამყაროს დასაბამზე, ქრისტეს დაბადებაზე, სასწაულებზე, აღდგომაზე. რჩება შთაბეჭდილება, რომ პოეტი განგებ განუდგა წარმართულ პოეტურ სახეებს. იგი ახსენებს მუზეების მოხმობის ტრადიციას, ჰელიკონს, კლდეებს, დელფოს სამფეხს, კასტალიის წყაროს. ამ უკანასკნელს აქ ლიტერატურული მეტაფორის როლი აკისრია (შდრ. სტრ. 14). ეს ლექსი გადაწერილია IX საუკუნეში.


პრობას ნაწარმოებები მოკლებულნი არიან შემოქმედებით თვითმყოფადობას, მაგრამ ისინი ყურადღებას იმსახურებენ, ვითარცა გვიანრომაული ეპოქის ერთადერთი პოეტი ქალის ქმნილებები.

## მიძღვება

შენ, წინამძღვარო რომულუსის ჩამომავალთა,  
 მეორე მზეო, ნათლიერო, ძმათა მშვენებავ,  
 აღმოსავლეთის სამეფოს ბრძვევ, მიწის იმედო,  
 მარონისებრი შეიწყნარე ჩემი ლექსები.  
 შენ შთამავონე უმაღლესი სამსახურისთვის  
 მათი დაწერა ღვთაებრივი სიბრძნით და აზრით.  
 განაცხადებენ ეს ლექსები, ვითარ დაედო  
 სამყაროს ჩვენსას დასაბამი, ვითარ შეიქმნა  
 ადამიანი თიხისაგან, ვით იშვა ქრისტე;  
 და განცხადდება მზაკვრობანი მეფეთა, ბრძენთა  
 საბოძვრები და მოციქულთა საქმენი დიდნი;  
 აღინიშნება საშინელი წარღვნის ამბავიც,  
 ზღვად სიარულიც, უმძიმესი უღლის დამხობაც  
 და ჯვარცმის მერმე კვლავ სიცოცხლის აღორძინება,  
 მკვდრეთით აღმდგარის აღწევება მამის საუფლოს  
 განსაგებელად. წააკითხე ჩემი ლექსები  
 ყრმა არკადიუსს, სხვა ჭაბუკთა გადასაცემად,  
 დე, თაობები დაიმოძღვრონ ამ ქმნილებებით.

დიდხანს ლამობდნენ უბადრუკი მეფენი ზაკვით  
 წმინდა მშვიდობის განრინებას, კაცთა კვლისაკენ  
 შემობრუნებას, მეკავშირე მესაგრეებში  
 შუღლის ჩაგდებას და მოყვასის სისხლით წაბილწვას.  
 ვუწყი, თუ ვითარ მწყემსდნენ არვეთ შეშინებულნი,  
 არვეთ, მტერთაგან რომ არ ჰქონდათ მოპოვებული,  
 რომელთაც ყალბი ტრიუმფების სისხლით ამკობდნენ.  
 ვუწყი, აღგავეს ქალაქები მიწის პირისგან,  
 თუმცა ვიკმაროთ მოგონება ბოროტებათა.  
 ყოვლისშემძლეო, გვედრებე, წმინდა სიმღერა  
 შეიწყნარე და ჩემს ბაგეებს გარდმოუვლინე  
 შენი შვიდგზისი სული—სული მარადიული,  
 გულთა სიღრმენი განმიხვენი, რათა მე, პროზამ,  
 შევძლო ჩემთა ძეთ საიდუმლო წმინდა გავანდო;  
 არ ვისურვებდი ღვთაებრივი ნექტარის შესმას,  
 და არც მუზათა მოვუხმობდი ჰელიკონიდან,  
 კლდეთ, წარმართობით მოხიბლული, არც ვახსენებდი,  
 დაფნით მოსილი სამეფიდან არ შევისმენდი,  
 არ მოვუხმობდი დამარცხებულ ჭერის ღვთაებას,  
 არ მოვუხმობდი წინაპართა მოქიშპე ღმერთებს.  
 არ მსურს დიდება მოვიხვეჭო მხოლოდ ლექსებით,  
 ან შეძენილი ცოდნით განვთქვა სახელი ჩემი.  
 კასტალიის წყლით განბანილი ბრძენთა კვალს მივსდევ,  
 მოწყურებული ვეწაფები წმინდა ნათელის  
 წყალობასა და ვიწყებ მღერას. ღმერთო, მიბოძე  
 მაღალი სული, ქრისტეს წმინდა საგალობელი

ვერგილიუსის სიტყვებით რომ ნათლად გამოვთქვა.  
დასაბამიდან ვიწყებ, ბნელს არ განვიმეორებ,  
რწმენა სულისა თუ არსებობს, ჭეშმარიტება  
ასოთა შიგან თუ სდგას, გონი ნივთს თუ განმართავს  
და თუ სხეული სულს მიერთვის, ცოდვით აღსავსე  
სხეულმა რაც არ უნდა აყოვნოს, მოკვდავ კიდურებს  
ძალას ართმევენ მიწიერი ასონი მაინც.



## ევდოკია

(V ს.)

ცხოვრება რიტორიკის მოძღვრის ასულის ათენაისისა, რომელსაც ბედმა ბიზანტიის დედოფლობა არგუნა, სამშობლოდან გაძევებით დასრულდა. მშვენიერი გარეგნობის, ღრმა განათლებულობისა და ნიჭიერების გამო, როგორც ჩანს, გახდა იგი მსხვერპლი სამეფო კარის ინტრიგებისა. „ევდოკია იყო ღრმად განათლებული, — წერს მის შესახებ მისივე თანამედროვე საეკლესიო ისტორიოგრაფოსი სოკრატე — სოფისტ ლეონტიქოსის ასული ათენიდან. იგი იყო მოწაფე მამისა და ამდენად განსწავლული მრავალ მეცნიერებაში. როდესაც იმპერატორმა მოისურვა მასზე დაქორწინება, ეპისკოპოსმა დასწერა მათ ჯვარი და ათენაისის ნაცვლად ევდოკია უწოდა.“<sup>1</sup>

ევდოკიამ ანუ ელია ათენაისმა წარმართულ ათენში მიიღო განათლება. ადრე დაობლებული დედასთან ერთად მისულა იგი კონსტანტინეპოლში მეფის კარზე შეწყალების თხოვნით. იმპერატორის დამ, პულხერიამ, რომე-

<sup>1</sup> „საეკლესიო ისტორია“, VII, 24.

ლზედაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ახალგაზრდა ქალიშვილის სილამაზემ და განათლებამ, წარადგინა იგი თეოდოსიოს მეორის წინაშე. 421 წელს ევდოკიამ მიიღო ქრისტიანული სარწმუნოება. ამავე წელს იქორწინა მასზე იმპერატორმა. ევდოკიას ცხოვრების შემდგომი პერიოდი — მისი მოგზაურობანი აღმოსავლეთში, მისი დამოკიდებულებანი სამეფო კარის წარმომადგენლებთან, მისი განქორწინება თეოდოსიოსთან (440 წ.), მისი მონაზვნად შედგომა და იერუსალიმში გამგზავრება — ყოველივე ეს რომანტიულ ფერებშია აღწერილი გვიანი ხანის ქრონიკებში (იხ. იოანე მალალა, იოანე ზონარა და სხვ.; მე-18 საუკუნეში ბაკულარ დ' არნოს დაუწერია რომანი ევდოკიას ცხოვრების შესახებ). ევდოკია გარდაიცვალა 460 წლის მახლობელ ხანებში.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ევდოკია მოიხსენიება ქართულ საისტორიო წყაროებშიც, რომელთა გათვალისწინებითაც შეგვიძლია დედოფლისა და პოეტის პიროვნების მომხიბვლელობას კიდევ ერთი დიდებული თვისება შევმატოთ — ღირსეულთა შემწყნარებლობა. მემატიანის გადმოცემით, ბიზანტიის კეისარმა თეოდოსიმ (იგივე თეოდოსიოსი) ქართლის მეფეს ვარაზ ბაქარს მძევლად მოსთხოვა მისი ვაჟი მურმანი, რომელსაც იმპერატორი „ვითარცა ძესა თვისსა ზრდიდა ფუფუნებითა დიდითა“ და მწიგნობარი დედოფლის, ცნობილი პოეტის — ევდოკიას ხელმძღვანელობით ქართველმა ბატონიშვილმა მიიღო საფუძვლიანი განათლება. ფართო ნიჭით დაჯილდოებულმა ყმაწვილმა „მსწრაფლ ისწავლა ენა ბერძნული და ასურებრივი და ფილოსოფო-

სობა სრული, ვიდრე ყოველთა უკვირდა.“ (ქართლის ცხოვრება, გვ. 133). ქართლის მეფის, ვარაზ ბაქარის ძე მურმანი, როგორც ცნობილია, იგივე პეტრე იბერიელია, რომელსაც ეს სახელი ბერად აღკვეცის შემდეგ ეწოდა.<sup>1</sup>

ზაქარია რიტორი თავის „საეკლესიო ისტორიაში“ გადმოგვცემს: „...პეტრე იბერიელი, მთელ მსოფლიოში საკვირველად განთქმული კაცი, მეფის შვილი, რომელიც მძევლად გადაეცა თეოდოსი კეისარს; ამას და მის მეუღლეს ევდოკიას ძალიან შეუყვარდათ პეტრე მისი საუცხოო თვისებების გამო, აღზარდეს სასახლეში და დააყენეს სამეფო საჯინბოს გამგედ. მაგრამ ის გადადგა და მიეცა ქრისტეს სამსახურს...“<sup>2</sup> ამრიგად, ქართული საეკლესიო წყაროები მიუთითებენ ევდოკიას წვლილზე დიდი პეტრე იბერიელის აღზრდასა და მფარველობაში.

თეოფანეს „ქრონიკაში“<sup>3</sup> მოთხრობილია ევდოკიას დევნისა და გაძევების თაობაზე. ეს არის პატარა ნოველა იმის შესახებ, თუ როგორ ამხილა თეოდოსიოსმა თავისი მეუღლე დალატში, რასაც შედეგად მოჰყვა მისი გადასახლება. არ არის გამორიცხული, რომ ევდოკიას დევნა იმპერატორის დის პულხერიას ინტრიგების შედეგი იყოს. გადმოცემათა თანხმად, იერუსალიმში ყოფნის პერიოდში ევდოკია მფარველობდა მონოფიზი-

<sup>1</sup> ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1963, გვ. 105-107.

<sup>2</sup> იხ. გეორგიკა, ტ. III, გვ. 4.

<sup>3</sup> М. Е. Грабарь-Пассек. Императрица Евдокия (Афинаида). — В кн.: Памятники Византийской литературы IV—X веков, стр. 132-134.

ტებს. (აქ უნდა გავიხსენოთ პეტრე იბერიელი, რომელიც პალესტინისა და ეგვიპტის მონოფიზიტთა ერთ-ერთი მეთაური იყო).

ევდოკიას მიერ შექმნილ ლიტერატურულ ნაწარმოებებზე მოიხსენიებენ: ანტიოქიის სადიდებელს, ჰეგზამეტრით დაწერილ სახოტბო ოდას, 422 წელს იმპერატორის სპარსეთზე გამარჯვებისადმი მიძღვნილს; ძველი აღთქმის პარაფრაზებს (პარაფრაზების წერა V საუკუნის ბიზანტიაში ერთობ გავრცელებული ყოფილა), მასვე გაულექსავს „იესოს ცხოვრება“ ჰომეროსული ჰეგზამეტრით (ეს თხზულება ნაწილობრივ შემორჩა, პირველად 1501 წელს დაიბეჭდა) და „ლეგენდა წმინდა მოწამე კიპრიანეზე“.

ბოემა „წმინდა მოწამე კიპრიანეზე“ ჩვენამდე არასრულყოფილად შემორჩა: სამი წიგნიდან პირველმა მოაღწია საწყისის გარეშე, მეორემ — დასასრულის გარეშე, ხოლო მესამე წიგნი მთლიანად დაიკარგა. ვერმოდწეულ ნაწილთა შინაარსი ჩვენთვის ცნობილია ფოტიოსის ჩანაწერების წყალობით. როგორც ჩანს, ევდოკიის შემოქმედებას დიდად აფასებდნენ პატრიარქ ფოტიოსის წრეში, სადაც კითხულობდნენ მის პოემებსაც და ბებლიურ პარაფრაზებსაც. აი, რას გვამცნობს ფოტიოსი: „...ამვე ტომში იყო მოთავსებული მსგავსი სალექსო საზომით (ჰეგზამეტრით — ნ. ტ.) დაწერილი სამი წიგნი — მოწამე კიპრიანეს სადიდებელი... პირველი ამ წიგნთაგან ეძღვნებოდა ნეტარ მოწამე იუსტინას: ჭაბუკი აგლადის მისდამი სიყვარულმა მოიცვა და რამდენადაც მისი მცდელობანი იყო ამო, ეწვია იგი მოგვობის

ხელოვნებაში გაწაფულ კიპრიანეს თხოვნით, დახმარებოდა, რამეთუ იღუპებოდა სიყვარულის ძალით. შემდეგ მოთხოვნილია, თუ როგორ შეეცადა კიპრიანე ჯადოქრობის ყოველგვარი ხერხითა და დამლუბველ დემონთა დახმარებით დაეთრგუნა ქალწულის ნებისყოფა და კეთილგონიერება. მაგრამ ისინი თავად იქნენ შერცხვენილნი, დაუძღურებულნი და გაძევებულნი ნიშითა ჯუარისათა. — ეს კიპრიანემ თავად დემონთაგან შეიტყო. ამიტომაც განუდგა იგი უწმინდურ ზრახვათ და დაწვა ყველა უწმინდური წიგნი. ბოლოს, მიიღო რა ქრისტიანული სარწმუნოება, მოინათლა და დანიშნულ იქნა ეკლესიაში მღვდელმსახურად. აი, რას მოგვითხრობს პირველი წიგნი („მირიობილონი“, 184).

მეორე წიგნი, რომელსაც „კიპრიანეს აღსარებად“ ასათაურებენ და რომლის ლათინური ვერსიაც არსებობს, ისტორიულ-ლიტერატურული თვალსაზრისით მეტად საინტერესოა. როგორც ცნობილია, „ლეგენდა წმინდა მოწამე კიპრიანეზე“ სხვა ბიზანტიელ ავტორებსაც ჰქონიათ დამუშავებული,<sup>1</sup> „კიპრიანეს აღსარება“ კი ევდოკიასეულ ვარიანტშია მხოლოდ დადასტურებული. აქ კარგად ჩანს ავტორის ხელწერა: ბერძნული რელიგიისა და მითოლოგიის ღრმა ცოდნა, მისწრაფება წარმართულ და ქრისტიანულ სარწმუნოებათა ფილოსოფიურად გააზრებისა. კიპრიანე იწყებს თხრობას სიყრმიდან. მკითხველის თვალწინ ტრადიციული თანამიმდევრობით გაი-

<sup>1</sup> შდრ. სიმეონ მეტაფრასტი, ცხოვრება და მოწამეობა წმინდა კიპრიანესა და იუსტინასი წიგნი: «Памятники Византийской литературы IX—XIV веков», М., 1969, გვ. 89-103.

ვლის მოგვის განსწავლის ოცდაათწლიანი გზა. ათი წლის კიპრიანე ელევსინური მისტიკებისა და პანათენების მსახურია, შემდეგ იგი მიემგზავრება ოლიმპოსზე — აქ ხაზგასმულია მისი ზიარება ზებუნებრივ ძალებთან. ხუთ წელს გრძელდება მისი „შემეცნებითი“ ცხოვრება, რომლის დროსაც იგი ირწმუნებს მრავალრიცხოვან სულთა, ბოროტ ძალთა არსებობას, პოემის ამ ნაწილში ვხვდებით სამყაროს ფილოსოფიური აღქმის ცდას: თხუთმეტი წლის ასაკში კიპრიანე გადაწყვეტს „ღვთაებათა და ბუნების სულთა შეცნობას“. მისი მოგზაურობა იწყება არგოსიდან, სადაც იგი ქურუმად გვევლინება მისტიკიებზე, შემდეგ მას ვხვდებით სპარტაში, სადაც იგი იხილავს ხის კერპს — არტემისის უძველესი კულტის სიმბოლოს, და ბოლოს თებეში, სადაც ეზიარება მკითხაობის ხელოვნებას შიდათა საშუალებით, სკვიითიაში იგი ეცნობა ცხოველთა სამყაროს. ოცი წლის კიპრიანე მიემგზავრება ეგვიპტეში, მემფისის ახლოს, სადაც მიწისქვეშა სამეფოში შეიცნობს ადამიანთა მანკიერების განმასახიერებელ ძალებს და სულებს — ტყუილს, შურს, შურისგებას და ა. შ. ბოლოს, 30 წლის ასაკში კიპრიანე ეზიარება „ქალდეველთა ხელოვნებას“, ანუ ასტროლოგიას, რომელიც განასრულებს მოგვის განათლებას. ამგვარად განსწავლულ მოგვთან მოდის იუსტინას სიყვარულით მოცული აგლასი. კიპრიანე თავის ცოდნასა და ხელოვნებას იყენებს ქალწულის დასამორჩილებლად, მაგრამ ამაღდ. მოგვი რწმუნდება თავის უძლურებაში, ბოლოს იგი წვავს თავის ბიწიერ წიგნებს.

როგორც აღნიშნავს ლ. ა. ფრეიბერგი<sup>1</sup>, „აღსარებაში“ არის მნიშვნელოვანი დეტალი ლიტერატურული თუ ისტორიულ-კულტურული თვალსაზრისით: აქ ვხვდებით ლიტერატურაში იშვიათ ცდას სატანის ეშმაკთმთავარის) პორტრეტული წარმოსახვისა კულის, რქების და ა. შ. ცხოველური ნიშნების გარეშე. ეშმაკთმთავარის პორტრეტი შედგება „სინათლის“ გაგების შემცველი ეპითეტებისაგან, რომელიც ეთანხმება სამყაროში ბოროტი საწყისის ნათლით წარმოსახვის ტრადიციას („ლუციფერი“ ანუ „ფოსფოროსი“ ანუ „ნათლისმტარებელი“).

მესამე წიგნი „ცხოვრებათა“ სიუჟეტს მისდევს. ფოტოსის ვადმოცემით, რაც ემთხვევა სვიმეონ მეტაფრასტის ვერსიას, მოვლენები ასე ვითარდება: კიპრიანე აღწევს ეპისკოპოსის თანამდებობას კართაგენში და იუსტინას ნიშნავს ერთ-ერთი მონასტრის დიაკონესად. მაგრამ კიპრიანეცა და იუსტინაც დეკიუსის მმართველობის დამს ქრისტიანთა მორიგი დევნის დროს იღუპებიან მოწამებრივი სიკვდილით („მირიობილონი“, 184).

ლ. რადერმახერი მიიჩნევს, რომ პროზაული ნაწარმოები კიპრიანეს შესახებ, რომელიც შემდგომ პოეტურად დაამუშავა ევდოკიამ, 379 წლამდე უნდა შექმნილიყო. მკვლევარის აზრით, იგი დაწერილია ერთფერო-

<sup>1</sup> Л. А. Фрейберг, Византийская поэзия IV—X веков и античные традиции, — в кн.: Византийская литература, Москва, 1974, стр. 44.

ვანი, „ცხოვრების“ უნარისთვის დამახასიათებელი მანერით, მაგრამ დიდის გემოვნებით.

როგორც ცნობილია, ევლოკიას მოღვაწეობის პერიოდში მიმდინარეობდა შეუთრეგებელი ბრძოლა ქრისტიანობასა და წარმართობას შორის ათენში, სადაც ევლოკიამ მიიღო განათლება, ყოველნაირად ცდილობდნენ აერიდებინათ წარმართობისთვის ქრისტიანული თავდასხმები. ლეგენდა წმინდა კიპრიანეზე ჯერ კიდევ ცოცხალი ისტორია იყო.

ევლოკიას დიდად აფასებდნენ მისი თანმედროვენიცა და გვიანი ეპოქების ლიტერატურული წრეების წარმომადგენელნიც. ბიზანტიელთა ევლოკიას ქმნილებებისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ის, რომ X საუკუნით დათარიღებული ერთადერთი ხელნაწერი წარმოდგენილია გრიგოლ ნაზიანზელის ლექსებთან და ნონოს პანოპოლეის „იოანეს სახატებასთან“ ერთად. როგორც ცნობილია, გრიგოლ ნაზიანზელისა და ნონოს პანოპოლეის სახელები ფართოდ იყო ცნობილი განათლებული ფენებისათვის. შესაბამისად, მსგავსი პოპულარობა უნდა ჰქონოდა ევლოკიასაც.

ფოტიოსი აქებს ევლოკიას ენკომიონებს, აღნიშნავს, რომ იგი იყო ლექსთწყობის დიდი ოსტატი: „ხელნაწერის სათაური ცხადყოფს, რომ იგი დაწერილია ქალის მიერ, იმ ქალის მიერ, რომელიც მაღალი წრეების დახვეწილი გემოვნებით გამოირჩეოდა. მისი ხელოვნება არის მშვენიერი, რაც იმსახურებს აღფრთოვანებას“ („მირიობიბლონი“, 183).

კასიოდორე აქებს ევლოკიას ღრმა განსწავლულო-

ბას, სედულიუს სკოტუსი (IX საუკ.) ერთ-ერთ ლექსში დედოფალ ერმინგარდს ევლოკიას აღარებს.<sup>1</sup>

ფ. გრეგოროვიუსი (მე-19 საუკ.), რომელმაც დაწერა იმპერატრიცას ბიოგრაფია, მიუთითებდა ევლოკიას პოეზიის დიდებულებაზე.

სულ სხვაგვარად შეაფასა ევლოკიას შემოქმედება ჰ. ჰომეიერი<sup>1</sup>. მისი აზრით, ევლოკიას არაფერი ჩაუერთავს ნაწარმოებში საკუთარი ფანტაზიით, ვერ ვხვდებით მის ქმნილებაში რაიმე მინიშნებას იმ პერიოდის ისტორიულ პირთა თუ მოვლენათა შესახებ. ევლოკიამ ვერ შეძლო გამოეკვეთა მოქმედ პირთა ხასიათები, აეყვანა ისინი ლიტერატურულ სახეთა დონემდე. თვალშისაცემია პათოსი და ინტენსიურობა ლოცვებისა, რომლებიც მოკლებულნი არიან მხატვრულ შთამბეჭდაობას. მხატვრულ ღირსებებს მოკლებულია სადალოგო პარტიებიც. არც ენობრივი და სტილისტური თვალსაზრისით არის ნაწარმოები უნაკლო. როგორც აღნიშნავს ჰ. ჰომეიერი, ნაწარმოებში ხშირად არის გამოყენებული ჰომეროსის სიტყვათა მარაგი, უხვად სარგებლობდა პოეტი ქალი ქრისტიანული წიგნების (ძველი და ახალი აღთქმა, მოციქულთა საქმენი) ლექსიკით. არაპოეტურად ჟღერს მეტრული დარღვევები, სიტყვათა (განსაკუთრებით მიმღეობათა და ნაწილაკთა) განმეორებანი, რომლებიც სალექსო საზომის გამართვას ემსახურებიან.

ჩვენი აზრით, ჰ. ჰომეიერის შეფასება მკაცრია, მაგრამ არცთუ უსაფუძვლო. მიუხედავად ამისა, ევლო-

<sup>1</sup> ჰ. ჰომეიერი, ანტიკურობისა და აღრეული შუა საუკუნეების პოეტი ქალები, მიუნხენი, 1979, გვ. 115.

კიას შემოქმედება ბიზანტიური ლიტერატურის მკვლევართათვის მეტად საინტერესოა, რამდენადაც მისი შემოქმედი არის ადრეული ბიზანტიური ეპოქის ერთადერთი პოეტი ქალი, რომლის ქმნილებებმაც ჩვენამდე მოაღწია.

ლევანდა წმინდა მოწამე კიპრიანეზე

. . . . .

- ქალწული ჭაბუკთ უმოწყალოდ განირინებდა,  
რამეთუ მხოლოდ ერთ ღმერთს—ქრისტეს მიუძღვნა თავი.  
ბრბოის თანხლებით ისწრაფოდა ეკლესიისკენ.  
ჭაბუკი, ძალით იტაცებდა მშვენიერ ქალწულს,  
5 მაგრამ თანხლებთა მიერ შექმნილ აურზაურზე  
ირგვლივ მდებარე სახლებიდან მოგროვდა ხალხი  
და გააძევა ბრბო იოლად, ხოლო ჭაბუკი  
შემოეხვია ქალწულს, რადგან დაკბენილივით  
უძგერდა გული დათრგუნული ძლიერი ვნებით.
- 10 მან მეყსეულად, მიიღო რა ქრისტეს უწყება,  
ძირს დასცა ურცხვი ჭაბუკი და თავის ხელებით  
ნაზი ლაწვები დაუკაწრა, შემოაგლიჯა  
ტანსაბურავი, მშვენიერი, ტანთ რომ ემოსა,  
შეუბრალებლად გაამასხრა ყოველის თვალში.  
ეს ღვთაებრივი თეკლეს მსგავსად მოიმოქმედა  
15 და სწრაფი ბიჯით გაემართა ეკლესიისკენ.  
ხოლო ჭაბუკი ბოროტეულ კაცს ეძიებდა,  
განრისხებულმა ჰპოვა კიდევ მკრეხელი მოგვი  
და შესთავაზა ოქრო-ვერცხლის ორი ტალანტი  
თუ ძალადობით აცთუნებდა ღვთისმოსავ ქალწულს,

20 ვინც მის სიყვარულს უარყოფდა. არ აძრწუნებდა  
შიში ღვთაების მარადისი ძალის წინააღ  
ჭაბუქს და მოგვმა შეიცოდა ეს უბედური.  
მსწრაფლ მოუწოდა ეშმაკეულს, იგი ანაზად  
მოველინა და ასე უთხრა: „რაზედ მომიხმე!“  
25 მოგვმა მიმართა: „ღვთისმოსავი ქალწულის ვნებამ  
დამიმორჩილა, ძალგის ისე მოიმოქმედო,  
რომ ჩემთან ერთად სარეცელი გაიზიაროს?  
იგი მსურს გზნებით!“ და უაზროდ დათანხმდა ეშმა  
შეუძლებელის აღსრულებას. კიპრიანემ კი  
30 კვლავ სთხოვა ღმერთს: „დამისახელე, საქმენი შენნი,  
რათა ვირწმუნო“.. მან მიუგო: „ოდესღაც ვიყავ  
ანგელოზთაგან უმთავრესი, მშობელის რჩევით  
შვიდზეციანი სამეფოს მაღალი ღმერთი  
დავთმე და წმინდა სიმაღლიდან გადავისროლე  
35 ცის ბინადარნი ბნელ სიღრმეში, რამეთუ სულში  
ბოროტებას და აღბორცებას ვისადგურებდი.  
ვაცთუნე ევა, კაცთა ღედა და გავაძევე  
განსაცხრომელი სამოთხიდან ადამი ძალით.  
კაენის ხელი მე წარვმართე ძმის მოსაკლავად.  
40 სისხლით აღვავსე მიწა, ამის მერმე ატარებს  
იგი კაცთათვის სამარცხვინო, ეკლიან ნაყოფს.  
მე დავაწესე მკრეხელური წარმოდგენები,  
ავამოქმედე მოპარული სარეცელები,  
აღვმართე კერპნი, საცთუნებლად ადამიანთა  
45 გოლებისა და ვაიძოლი ამ კერპებისთვის  
სისხლით აღსავსე შეეწირათ მსხვერპლად ხარები.  
მე შთავაგონე ებრაელებს დიადი მამის

დაუსაბამო ძის — ლოგოსის ჯვარზე გაკვრაც კი.  
მოვსპე ქალაქნი, გალავანი მიწად დავაძხე,  
მრავალი სახლი დავარბიე განხეტქილებით.  
50 უსამანოა ბოროტება, რასაც ჩავდივარ,  
მწვაობართან კი სუთუ მიზანს ვერ მივალწევდი“?  
შემზარავ ღმერთს კიპრიანემ ასე მიუგო:  
„აი, ბალახი, მოახნიე იმ ღვთისმოსავის  
თალამოსთან და თავად მოვალ მოგვიანებით,  
55 რომ მისი გრძობა მამის გრძობას დაუუმორჩილო.  
იგი მსუბუქად, ვით სიხმარში, შენ მოგენდობა“.  
ქალწულმა ღამის სამ საათზე გამოიღვიძა  
რომ, ჩვევიაამებრ, შემოქმედი ედიდებინა,  
მოუღრდნელად საოცარი ნდომით აღივსო  
60 და იგრძო, შასში ბობოქრობდა ბოროტეული.  
როს კიდურებზე მოეკიდა მცხუნვარე ალი,  
უმალ შეიცნო სასურველი უფალი თვისი,  
გამოისახა პირჯვარი და ლოცვა აღმოხდა:  
„ყოველიერთა მეუფეო, ღმერთო მაღალო,  
65 იესო ქრისტეს, ღვთიური ძის მამავ, გენიად  
ვერაგმა გველმა ბორკილები რომ შემოგაჭდო,  
ყოვლისშემძლეო, დაცემულთა, ბედკრულთა მსხნელო,  
მანათობლებით მოოჭვილი ცის გარდამრთხმელო,  
ქაოსის წიალ მიწისა და წყლის შემოქმედო,  
70 ტითონოსის ვარდებისათვის მარადიული  
ცეცხლისმიერი მგზნებარების მიმნიჭებელო,  
დამამშვენებო ვერცხლის შუქის მთოვარი მთვარით  
ხარების უღლით მოდენილი ღამის წყვდიადის,  
რომელმან შექმენ შენივ ხატად ადამიანი,

75 რათა ეხილა სიამენი სამოთხისანი,  
 მერმე, რომელმაც გულისხმა-ჰყო რჩევა გველისა,  
 ხით შემოსილი ბალნარიდან უმალ განდევნე,  
 იგივე, უფალო, ლმობიერი სულით იხსენი  
 შენი ძის ჯვარცმით და იესო ქრისტეს სახელით  
 მწუხარებათა აღსასრული შემოგვთავაზე.  
 80 რწმენის ნათელში მისთვის ბრწყინავს მოკვდავთა მიწა,  
 მოემართება მალალი ცით მყარი ხმელეთი,  
 და მოიღვრება მასზე წყალი: მხოლოდ შენ ძალგდის  
 ყოველიერზე ზრუნვა, ღმერთო, გამომეცხადე  
 და ბრძნული რჩევით დამიხსენი შენი მორჩილი,  
 რომ არ ვეცთუნო, შემოქმედო, მარადისყოფო,  
 85 მარადიული ქალწულება მსურს შენს დიდებად,  
 რადგან მიყვარხარ, ღირსეულო მთელი არსებით;  
 ხოტბა შესხმულო მეუფეო, თავად აღაგზნე  
 ჩემს სულში შენი სურვილი და ნდობა მგზნებარე;  
 შონას უბრძანე, არასოდეს დამარცხდეს იგი  
 90 უმართებულო, საძულველი და უღვთო ხელით,  
 მიბრძანე, რომ არ შეუარაცხევო შენი მცნებანი,  
 წინ აღუდექი ეშმაკეულს ბოროტის მზრახველს!  
 ქალწულმა ლოცვა დაასრულა, მერმე პირჯვარი  
 გამოისახა, ღვთის სახელით და ღვთაებრივი  
 95 უწყებით თავის არსებიდან შორით განდევნა  
 შერცხვენილი და შერისხული ბოროტი სული.  
 ღრმად დარცხვენილი გამოცხადდა მოგვის წინარე,  
 ასე მიმართა კიბრიანემ ბოროტს: „სად არის?  
 მე ხომ გიბრძანე მოგეგვარა ჩემთვის ქალწული“.

100 მიუგო: „ნათლად ნუ ისურვებ ყველაფრის ცნობას,  
 უკუვიქეცი ღვთის უწყებით შეძრწუნებული“.  
 თვისი ცთუნების ძალის რწმენით მოგვმა ბოროტად  
 გაიღიმა და ბელიაროსს უხმო — სცვა დემონს:  
 მან კიბრიანეს უთხრა: „გუწყვი შენი სურვილის  
 105 და მაცთურობის ძალა, მამამ წარმოგზავნა ქ,  
 რომ აღვასრულო ნება შენი“ მოგვმა მიუგო:  
 „აი, ბალახი, დემონო და მიმოაბნიე  
 წმინდა ქალწულის სახლთან, მოვალ მოგვიანებით  
 და იოლად დავიმორჩილებ“. დემონი გაქრა.  
 110 შუალამისას ღვთისმოსავი ქალწული ადგა,  
 ლოცვა-ვედრება აღავლინა ღვთაებისადმი:  
 „შუალამეო, წამოვდექი სარეცლიდან,  
 რათა ცოდვანი გულახდილად მოვინანიო,  
 ქედს ვიდრეკ შენი განჩინების წინარე, ღმერთო,  
 115 დიდსულოვანო, ყამიერთა თანამღმობელო,  
 ცათა უფალო, განმგებელო ვარსკვლავებისა,  
 შენს წინ მიწაც კი იძვრის, ღმერთის მზაკვარი მტერი  
 დამარცხე და აბრაამის მიილე მსხვერპლი,  
 120 თავად ვანგმირე დრაკონი და დაამხე ბილი  
 და ღვთისმოსავი დანიელის კეთილგანგებით  
 სპარსელთ უბოძე სიბრძნე შენი ღმერთად ცნობისა.  
 შენი სათნო ძის, ქრისტეს ხელით მოაწესრიგე  
 ყოველიერი, განანათლე სხივებით მიწა.  
 125 ბედის უფალო, ყამიერთა ნათელყოფელო,  
 ო. ბივიდრები, დამიფარი შეცოდებისგან,  
 შემეწყე და შეინახე სიწმინდე ჩემი!  
 ნათელმოსილი ქალწულობით კიბრწყინო მარად,

შემაძლებინე, დანიშნულთან ერთად ვუმზირო  
ჩემს საქორწინო თალამოსს და შემანახვინე  
130 ქრისტეს წინაშე ჩემი ალექსა, რამეთუ იგი  
ძალმოსილია უკუნითი უკუნისამდე, ამინ!“  
ევედრებოდა ვიდრე იგი, ეშმაკეული  
მზვაობრობისთვის სამარცხვინოდ დასჯილი ილტვა.  
როს წინ წარუდგა, კიპრიანემ ასე მიმართა:  
135 „მითხარ, დემონო, სად დატოვე წმინდა ქალწული,  
შენ არ გიბრძანე მოგეყვანა ჩემთან?“ მიუგო:  
„გასაოცარი, უჩვეულო, ძრწოლის მომგვრელი  
ვიხილე ძალა, დავმარცხდი და უკუვიქეცი“.  
და კიპრიანემ უფრო ძლიერ დემონს მოუხმე:  
140 ბნელი სულელების წარმომშობს და მათვე მეუფეს.  
უთხრა: „უძღურო, სამარცხვინოდ უკუიქცევი?“  
მან კი ტრაბახით ეს მიუგო: „უმაღ აქ მოგვკრი  
იმ ქალწულს, შენ კი მოემზადე მის დასახვედრად“.  
მოგვმა უბრძანა: „მომახსენე, რაც ჩაიფიქრე,  
რათა ვირწმუნო გამარჯვება შენი“. მიუგო:  
„თავდაპირველად სიმხურვალით აღვუგზნებ სხეულს,  
ექვსი დღის მერე ვეახლები, რათა ვაცთუნო  
და იგი ღამით თვისი ნებით დამმორჩილდება“.  
განვიდა იგი უგუნური და გაემართა  
150 ქალწულებრივი გარეგნობით ქალწულისაკენ.  
მის სარეცელზე ჩამოჯდა და სმენად განაწყო:  
„ქალწულებრივი სიყვარულით შთაგონებული  
მე განთიადის დადგომისას გამოგეცხადე  
155 ქრისტეს სურვილით, მივალწიო უნდა საწაღელს.  
მაგრამ, გამანდე, საზღაური იქნება დიდი,

რა ჯილდო ელის ქალწულებრივ სიყვარულს, დაო?  
მე უსუფთაო ცხოვრებით და უმსგავსო კვებით  
ძვალად და ტყავად გადავიქეცი“. — სათნო ქალწულმა  
მიუგო ასე: „საზღაური არავითარი  
160 არ არსებობს და გვიანია ჯილდოზე ფიქრი“.  
მზაკვრულად უთხრა: „ო, არ იყო ევაც ქალწული?  
განა მიეცა მას უფლება ადამთან ერთად  
ეგემა ტკბილად სიამენი სამოთხისანი?  
მაგრამ როდესაც მან პირველად ქმნილ მამაკაცთან  
გაიზიარა სარეცელი, წარმოშვა შვილი...  
165 ასე შეიქმნა მოკვდავ კაცთა ძლიერი მოდგმა,  
ასე დაედო დასაბამი მშვენიერებას“.  
თითქოს იუსტამ ირწმუნა და გასდია კიდეც  
წინ სიხარულით მავალ წყეულს, მაგრამ დროულად  
იგრძნო მზაკვრობა ვერაგული, ლოცვად მიმართა  
170 თავისი გრძნობა და პირჯვარი გამოისახა  
წმინდა უწყებით, ბაგეთაგან ამოისუნთქა  
და განირინა საზარელი ბოროტეული;  
ოდეს დამშვიდდა, თქვა: „მადლობა აღმივლენია  
უკვდავისათვის, მხურვალე ცეცხლმა დამაშთო“.  
175 ლოცვად დაემხო: „ო, დიდება შენს მეუფებას,  
გონს რომ მომაგე, შენს წინარე მოვიდრეკე მუხლთა,  
კვლავაც მიბოძე თანაგრძნობა სამართლიანი,  
რათა პატივით ვატარებდე შენს მაღალ სახელს“.  
დამდაბლებული, დათრგუნული მივიდა მოგვთან  
180 უღვთო დემონი. კიპრიანემ გაჰკიცხა იგი:  
„ნუთუ ქალწულის თვალთა ნათელს გამოექეცი?

ის მაინც მამცნე, სიძლიერე რაშია მისი?“  
 მოუგია: „სიტყვით ვერ გადმოგცემ, ბრძანე ეძიონ,  
 ღვთის სასწაულის ძალის ახსნა მე ვერ შეეძელი,  
 შეძრწუნებელი უკუვიქეც უკუგდებული.  
 მაინც გსურს ცნობა? მაშ, დიადი ფიცით შემფიცე!“  
 აქ კიპრიანემ გაიოცა: „როგორი ფიცით?“  
 „ო, დაიფიცე ჩემი ყოვლად აღმატებული  
 ძალმოსილება!“ კიპრიანემ უმაღლესად შეჰფიცა,  
 რომ ბოროტებას არასოდეს განუდგებოდა.  
 და თქვა დემონმა გაბედულად: „ჯვარზე გაკრული  
 ღვთის სასწაული ვიხილე და შეძრწუნებული  
 უკუვიქეცი“. მოგვმა ჰკითხა: „ნუთუ შენს ძალას  
 აღემატება ძალა მისი?“ მიუგო ბილწმა:  
 „შეშარიტს გეტყვი, ყური მიგდებ; ამ ბოროტებას  
 —ოდეს მზაკვრულად წავბილწავთ და ვაცთუნებთ  
 მოკვდავთ —

თავად განვაგებთ. მაგრამ არის იმ საუფლოში  
 რეალის ორკაპი, გამომწვარი. აღმართულია  
 იგი იმ ქვეყნის შუაგულში. ვინც მულამ სცოდავს —  
 ანგელოსი თუ წარმავალი — მას ჯვარზე გაკრულს  
 მსწრაფლ წაიყვანენ დასასჯელად ქრისტეს მაცნენი“.  
 წამოიყვირა კიპრიანემ: „განვედი ჩემგან,  
 სიყვარულისკენ მივისწრაფი ფრთაშეკვეცილი,  
 ჯვარცმულს ვირწმუნებ, განვირიდო რათა სასჯელი!“  
 ბოროტს აღმოხდა: „გაქცევა გსურს ნუთუ მას შემდეგ,  
 ოდეს დიადი ფიცი დასდებ?“ უთხრა: „ეშმაკო,  
 მაინც რა ფიცით შემოგფიცე?“ ასე მიუგო:  
 „ჩემი ძალით და მეუფებით!“ მოგვმა შესძახა:

„ძრწოლას არა მგერის შენი საქმე, არც შენი ძალა,  
 რამეთუ თავად განმიცხადე — ვით განგერინა  
 ქალწული ლოცვით და ვედრებით, მძლავრი ნიშნებით,  
 თავად უწოდე ძალმოსილი ამ ღვთიურ ნიშანს.  
 უგულვებელგყოვ შენს სიკეთეს, მძულს შენი აზრი“.  
 თქვა და მიმართა შეწყალების ვედრებით ქრისტეს,  
 მავნე ეშმაკი გააძევა: „განვედი ჩემგან,  
 მე მხოლოდ ქრისტეს ვეძებ!“ გაქრა ბოროტეული.  
 კარგად შეფუთა მაგიური წიგნები მოგვმა  
 და ერთგულ მსახურს ჩააბარა წმინდანისათვის  
 გადასაცემად. აღესრულა ბრძანება მისი.  
 თვით კი ფეხებში ჩაუვარდა წმინდა ანთიმოსს  
 და შეჰლაღადა: „მეუფეო. მთელი არსებით  
 მსურს უკვდავების წიგნში იყოს ჩემი სახელიც,  
 მეც მიმათვალეთ ღვთის მსახურთა ზეციურ ლაშქარს“.  
 წმინდანმა რისხვით უპასუხა: „განვედ, ბოროტო,  
 ნუთუ არ გყოფნის სივრცე ზაკვის აღსასრულებლად?  
 წმინდა ადგილებს განერინე, რადგან აქ მეფობს  
 ყოვლისმხილველის ძალა მიწყევ დაუთარგუნველი“.  
 კვლავ შეჰლაღადა კიპრიანემ: „გულით ვირწმუნე  
 ძალმოსილება ქრისტესი და უმაღლესობა,  
 ოდეს წარგვზავნე ღვთითკურთხეულ ქალწულთან ღამით  
 უღვთო დემონნი; მათ მზაკვრობით და ბოროტებით  
 წმინდა ასულის შეებურათ უნდა გრძნობები.  
 გამოისახა გონიერმა ქრისტეს ნიშანი  
 და გაიმარჯვა. შემიწყალე, ნუ მირისხდები!  
 მლოცველისადმი მოიდრიკე. კეთილშობილო,  
 მიილე წიგნნი, — მათ მზაკვრული მიზნით ეხმარობდი, —

და ცეცხლს მიეცი, შეიწყალე არსება ჩემი“.

240 დარწმუნებულმა ღვთის მსახურმა ფერფლად აქცია  
 მისი წიგნები და კეთილად დაემშვიდობა,  
 ურჩია, ხშირად მოსულიყო ღვთის სალოცავში.  
 შინ მიქცეულმა კიბრიანემ დაუფიქრებლად  
 მსწრაფლ დაამსხვრია ძველი კერძის ხატი, უღირსი,  
 245 და მთელი დამე გვემდა თავის მოქანცულ სხეულს.  
 ბოლოს აღმოხდა: „ვით შევძელი ქრისტეს თვალთა წინ  
 გამოცხადება მე — ესოდენ ბოროტმოქმედმა,  
 ღმერთი იმ ბავით ვით ვადიდო, რომლითაც ვგმობდი,  
 რომლითაც ბოროტ ღვთაებათაც მოვუწოდებდი!“

250 სხეული ფერფლით დაიფარა და საწყალობლად  
 ითხოვდა იგი თანაგრძნობას, შიშით შეძრული,  
 მერმე დუმლით დაბლა გაწვა შესაბრაღისი.  
 ოდეს გამოჩნდა განთიადი სხივნათლიერი,  
 ვარდისფერთითა, ეს აღდგომის წინა დღე იყო —  
 დიდი შაბათი, უმაღლესი დღესასწაული.

255 ლოცვა-ვედრებით გაემართა იგი ზეიმზე:  
 „ღმერთო, თუ ღირს მყოფ შენს მსახურად ვიწოდებოდე,  
 შემაძლებინე, სალოცავში როგორც კი შევალ,  
 საღვთო წიგნიდან ერთი სიტყვა მაინც გავიგო,  
 რასაც მივიჩნევ მე კეთილის მომასწავებლად.“  
 როგორც კი ზღურბლს გადააბიჯა, ესმა იესეს  
 260 ღვთიური მოდგმის დავითის ხმა: „ო, უმაღლესო,  
ნუ მიმატოვებ, მეუფეო, ნუ განმშორდები“,  
 დიდი წინასწარმეტყველის ხმა — ესაიასი.  
ვაისმა შემდეგ: „ოდესმე ჩემი ყრმა ამაღლდება“.

265 და კვლავ დავითმა თქვა: „ჩემს თვალებს მივაპყრობ დილით  
 მას, ვინც წყვილიად განდევნა და უკუნი ღამის,  
 რომ შევისმინოთ ღვთაებრივი მისი სიტყვები“.  
 თქვა ესაიამ: „სულო ჩემო, ნუ გიპყრობს შიში,  
 ო, შვილო ჩემო, შენ მიყვარხარ მხოლოდ, იაკობ,  
 სხვა კაცთა შორის მე მხოლოდ შენ გამოგარჩიე“.

270 მერმე ვაისმა ხმა პავლესი, ღვთის მოციქულის:  
 „მეუფე ქრისტემ განგვარინა ჩვენ ძველი სჯულის  
 დამღუპველ ძალას. მერმე ისევ წართქვა დავითმა  
 დიდმა მთხრობელმა, დიდებულმა ქნარისმპყრობელმა:  
 275 „ვინ შესძლო განთქმა მარადისი ღვთაების ძალის,  
 ან ღირსეულად ვინ შეასხა ხოტბა მის სიბრძნეს!“  
 მერმე ოკითხეს სახარება და იქადაგეს.  
 დასრულდა კითხვა და ვაისმა ხმა სიფრთხილისა:  
 „ღმერთის ტაძრიდან გაძევებულ იქნეს უსჯულო!“  
 ადვილს მიეკრა კიბრიანე გახევებული.


280 გაიმეორა მოციქულმა ასტერიოსმა:  
 „განშორდი ტაძარს!“ კიბრიანემ წამოიძახა:  
 „ნუთუ ჯვარცმული ქრისტეს მონა უნდა განდევნო?“  
 ასე მიუგო მოციქულმა: „არ არის წესი,  
 მოუნათლავი ღვთის მსახურად იწოდებოდეს!“

285 „ცოცხალი ღმერთი — მიუგო მან — მუდამ მეუფებს!  
 მხოლოდ მან შესძლო წაეგვარა ძალა ეშმასთვის,  
 ეხსნა ქალწული, შეეწყალე საწყალობელი.  
 მე ვერ დავტოვებ ღმერთის ტაძარს, ვიდრე მექნება  
 რწმენა ქრისტესი, ვითარცა მის თანამზრახველებს“.

290 ღვთის მსახურისკენ გაემართა ასტერიოსი,  
 მიახლოება უბრძანა და გაესაუბრა,

სარწმუნო სიტყვით შეამოწმა, მერმე წარმოსთქვა  
ძლიერი ლოცვა, რითაც შესძრა მთელი სამყარო.  
295 ბოლოს მონათლა, წმინდა წყალი ასხურა მშოსავს.  
გამოხდა რვა დღე და ეუწყა წმინდა წიგნების  
ხმამალა კითხვა კიბრიანეს; ოცი დღით გვიან  
იგი კარისბჭის დიაკვნის თანაშემწედ სცნეს,  
იმ კარისბჭისა, სადაც მესის საკურთხეველი  
300 მღებარეობდა და ორმოცდაათი დღის შემდეგ  
ღირსეულს მისცეს დიაკვნობა. ძლევამოსილად  
უგვანთა, ურცხეთა, ურწმუნოთა ბრბოს ამარცხებდა  
და საღმობიერთ მავნე ჩვევებს განარიდებდა.  
ბევრი მოკვდავი, ვინც ცთუნებით ითრგუნებოდა,  
305 ქრისტეს ფარასთან მიიყვანა; ერთი წლის მერმე  
მან მღვდლის წოდება მიიღო და თექვსმეტი წელი  
მსახურებდა ღმერთს, უხუცესთა საკრებულოშიც  
ჰქონდა ადგილი და ხმა; მერმე ეპისკოპოსმა —  
უნეტარესმა ანთიმოსმა ირგვლივ მოსახლე  
310 წმინდანნი იხმო. რათა ქრისტეს ტაძრის სიკეთე  
კვლავაც სიწმინდით შეემოსათ; აქ კიბრიანეს,  
უღირსეულესს, შესთავაზეს ეპისკოპოსის  
სავარძელი და ანთიმოსი ზეცად აღზევდა,  
როს ღვთისმობავი ფარის მწყემსად ლოცვით აკურთხა.  
315 კიბრიანემ კი, როს ღვთის სახლის ვახდა უფალი,  
ქალწული იგი მოიწვია დიაკონესად,  
იუსტას ნაცვლად იუსტინა უწოდა მშოსავს.  
და იყო იგი იმ ქალწულთა კრებულის დედა,  
მაღალი ქრისტეს მსახურებას რომ უძღვნეს თავი  
ქალწულებრივი სილამაზის გაფურჩქვნის ხანად.

ჭეშმარიტების გზად წარმართა მრავალი უღვთო,  
ძრავალი უღვთო მიიყვანა იმ ფარის ბინად,  
თავად უფალმა რომ ირჩია, უფალმა ქრისტემ,  
რომელსაც მუდამ მიეგება პატივი. ამინ!



## ე ვ ხ ე რ ი ა

(VI ს.)


ვარაუდობენ, რომ ევხერია იყო მეუღლე გალების კეთილშობილური გვარის ჩამომავალი დინამიუსისა, რომელიც ენათესავებოდა პოეტ ვენანტიუს ფორტუნატუსს. ყოველი შემთხვევისათვის, ევხერიას ჩვენამდე მოღწეული ერთადერთი ლექსის სტრიქონები მათ გალურ წარმომავლობაზე მიუთითებენ, რასაც ემთხვევა ქმნილების შექმნის დროც (VI ს.). ლექსის ბოლო ორი სტრიქონი გვიანი ხანის ჩანართი უნდა იყოს. ენის თვალსაზრისით, შეიმჩნევა ფრანკო-გალური ლათინურის გარდამავალი საფეხური.

ლექსში პოეტი ერთმანეთს საკმაოდ უცნაურად უპირისპირებს მცენარეული თუ ცხოველური სამყაროს სხვადასხვა წარმომადგენლებს, ძვირფას ქვებს. ძნელია მოღწეული ფრაგმენტით იმის წარმოდგენა, თუ რას ისახავდა მიზნად პოეტი — იყო მისი ქმნილება სატი-

რული ხასიათისა, იმიტაცია რაიმე ნაწარმოებისა თუ მხოლოდ პოეტური თამაში (პარალელებისათვის იხ. გერგილიუსი, ბუკოლიკები, VIII, 27; ჰორაციუსი, ოდები, XVI, 31; პოეტური ხელოვნების შესახებ, 12—13).

ოქროს ძაფებო, კეთილშობილი ლითონივით ბრწყინავთ თანაბრად,  
 მსურს განვასრულო ქსოვა ხართა ხისტი ბეწვებით,  
 აღმოსავლური ქვეებით მორთულ ქალაღიას  
 თნის ტყავს ვადარებ, ძოწისფერი ირთვება ძონძი  
 კეთილშობილი ტყავით, ხოლო სხივთამფენელი  
 ძვირფასი ქვეები შეერწყმება ტყვიათა გროვას;  
 დე, მარგალიტმა, თავის შუქით განათებულმა,  
 ფოლადის მრუმე, ბნელი ჩარჩო ააელვაროს,  
 ზურმუხტს ამშვენებს გალიური მადნის აშია,  
 ვით ამეთვისტოს — მარმარილოს ქვათა სიმყარე.  
 დაე, იასპი გაუტოდდეს კლდეთა დიდ ლოდებს,  
 თავად მთოვარე მიწისქვეშა ქაოსს აირჩევს.  
 ჩვენ, შროშანები, დაე, ჭინჭართ გავუთანაბრდეთ,  
 უნდა მოაშთოს ძოწისფერმა ვარდმა ციკუტა;  
 ო, ვისურვებდი, უმნიშვნელო, უბადრუკ თევზებს  
 ზღვათა სიღრმეში მიენიჭოთ უაღრესობა,  
 კლდის მოყვარულ ბრასს შეუყვარდეს ოქროს ასპიტი,  
 კალმახს ნიჟარის ლოკოკინას სურვილი სწვაგდეს,  
 ზვიადი ლომი შეუერთდეს უმსგავსო მელას,  
 ხოლო მაიმუნს დიდებული ფოცხვერი ჰყავდეს.  
 დაე, ირემი ვირს შეეყოს, ვეფხვი — ველურ ვირს,  
 ხოლო ფხიზელი ანტილოპე — დაჩლუნგებულ ხარს.  
 მყარლმა ბალახმა გააფუჭოს ტკბილი ყურძენი,  
 თაფლის სიტკბო კი განეზავოს ვაშლის სიმკვავით,  
 დე, სუფთა წყალი შეერიოს ჭუჭყიან გუბებს,

მარადმედინი წყარო ნეხვში ედინებოდეს,  
 ფრთამალ მერცხლებთან ითამაშონ მკვლელმა ძერებმა,  
 დაე, ბულბულმა იგალობოს უბედურების  
 მათწყებელი შინაური ჭოტების დასში,  
 რუხი კაკაბი მომწუხარე ბუს შეუერთდეს.  
 ყვავს სარეცელი ლაღმა მტრედმა გაუზიაროს.  
 ასე რომ, ბიწით დე, დამყარდეს ჩვეული წესი,  
 ამას მოითხოვს ევხერია, მდაბიო მონა.  
 (ირემი, ტახი და ასპიტი შენს შხამიან კბილთ  
 ვერასდიდებით ვერ გაექცენ, მაიორანუს).



## დ უ ო ლ ა

(IX ს.)

დუოდა (დოდანა, დუოდანა) ცხოვრობდა და მოღვაწეობდა IX საუკუნის დასაწყისში. იგი წარმოდგებოდა ფრანკო-გალური კეთილშობილური ოჯახიდან. 824 წელს მასზე დაქორწინდა გრაფი ბერნარდ სეპტიმანიელი, რომელსაც ძალაუფლებისა და პატივის მოყვარედ მოიხსენიებენ წყაროები. მრავალი წლის განმავლობაში ეკავა მას კამერგერისა და მრჩევლის თანამდებობა ლუდვიგ ლეთისმშობის (812-40) კარზე. მოგვიანებით, ლუდვიგის შვილთა — კარლოს მელოტსა და ლოტარს შორის მომხდარ უთანხმოებაში იგი ორმაგ თამაშს აწარმოებდა. 832 წელს გრაფი შეეცადა სეპტიმანიისათვის მიენიჭებინა პოლიტიკური დამოუკიდებლობა. ლოტარმა იგი სიკვდილით დასაჯა 844 წელს.

დუოდასა და ბერნარდს ორი ძე ჰყავდათ: ვილჰელმი (დაიბადა 826 წელს) და ბერნარდი (დაიბადა 841 წელს). უფროსს დუოდა თავად ზრდიდა; 840 წელს ვილჰელმი ჩარიცხეს ახალგაზრდა დიდებულთა რაზმში კარლოს მელოტის კარზე, უმცროსი ძე — ბერნარდი მამის ბრძანებით მონათვლამდე განაშორეს დედას და წაიყვანეს

აკვინტანიაში. ორი წლის შემდეგაც არ იცოდა დედამ მონათლა თუ არა მისი შვილი, რა ეწოდა და სად იმყოფებოდა. ვილჰელმზე ფიქრმა და ზრუნვამ შთააგონა მარტოხელა ქალი დაეწერა სულიერი ანდერძი. ვილჰელმი 850 წელს (დუოდას გარდაცვალების შემდეგ) დასჯილ იქნა სიკვდილით. უმცროსი ვაჟი დაიღუპა ბრძოლის ველზე 872 წელს.

დუოდას სახელით ჩვენამდე მოაღწია უფროსი ვაჟისადმი მიძღვნილმა ერთადერთმა პროზაულმა თხზულებამ, რომელიც შეიცავს სხვადასხვა ხასიათის სწავლებებს და რამდენიმე ლექსს. ნაწარმოები არასწორად იქნება გაგებული, თუ მას განვიხილავთ როგორც მხოლოდ ლიტერატურულ ქმნილებას. ამ ძეგლის შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ დრო, საზოგადოება, პირობები და ბოლოს მიზანი — რისთვისაც შეიქმნა იგი.

დუოდა მრავალგზის მიანიშნებს პოლიტიკურ ამბობებებზე, უთანხმოებებზე, უნდობლობასა და გაუტანლობაზე, რაც მის ოჯახს, მის ჯანმრთელობას მძიმე დაღად აჩნდა. ნაწარმოებიდან ჩანს, რომ დუოდა განიცდიდა გაჭირვების სიმძიმეს (თავი XXI), აწუხებდა და აღაშფოთებდა მას აგრეთვე მეუღლის ორმაგი თამაში მეფის კარზე (თავი L VI).

დუოდას სახელმძღვანელო უნდა შექმნილიყო 841—844 წლებში, მაშინ, როდესაც ვილჰელმი 16 წლისა იყო. სახელმძღვანელო არასისტემატური ხასიათისაა, შესდგება 73 თავისაგან. მასში ვხვდებით დარიგებებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ეჭიროს ახალგაზრდა ვაჟს თა-

ვი მეფესთან, მის კარზე, დიდებულებთან, სასულიერო წოდების წარმომადგენლებთან, ხალხთან. ვხვდებით აგრეთვე განმარტებებს რელიგიური ხასიათის ნიმუშთა წასაკითხად და სხვა.

რელიგიურ-მორალური ხასიათის საკითხების წერილობით ჩამოყალიბების ტრადიცია მომდინარეობს ადრექრისტიანული ეპოქიდან (შდრ. მაგ. ჰიერონიმუსი) და გრძელდებოდა ადრეულ შუასაუკუნეებშიც. თავად დუოდაც აღნიშნავს, რომ იგი ეძებდა მასალას სხვადასხვა წყაროებში (მაგ. თავი XIV). დუოდას ბიბლიური განათლება, მაღალი ერუდიცია, რაც გამოიხატებოდა რელიგიური ხასიათის წიგნებისა და ადრექრისტიანული პერიოდის პოეტების (სედულიუსი, პრუდენციუსი) ქმნილებათა, ლიტურგიის ცოდნით, ნაწარმოების ყოველ სტრიქონში შეიგრძნობა.

დუოდა წერდა აკროსტიხებსაც. შესავალი ლოცვის დასკვნითი ეპიგრამა განმარტავს, თუ როგორ უნდა გამოიცნო აკროსტიხი. აკროსტიხულია აგრეთვე საფლავის ქვის წარწერაც, სადაც იკითხება ავტორის სახელი — დუოდანა.

ენას, რომლითაც დაწერილია სახელმძღვანელო, ვერ ვუწოდებთ კლასიკურს. მას ემჩნევა ხალხური ლათინურის კვალი. ლექსის წყობა — გრძელი სტრიქონები 12-იდან 20 მარცვლამდე — თავისუფალია. დუოდა ამხვილებს ყურადღებას იმაზე, რომ საკუთარ აზრებს უფ-

რო თანამიმდევრულად, სხვაგვარად გადმოსცემდა, შეილი რომ უფრო მოზრდილი ყოფილიყო (თავი XVIII). ენაში შეინიშნება ე. წ. ბერძნიზმები.

დუოდას ნაწარმოები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია ადრეული შუასაუკუნეების ლათინურენოვანი ლიტერატურისა.

ლოცვის წინათჳა

ნათლიერების შემოქმედო, ღმერთო მაღალო, ვარსკვლავთ უფალო, მარადისო მეფე, წმიდაო, ჩემი ქმნილება განასრულე კეთილგანწყობით, არა ვუწყოდი ამ საქმისა, თავად ისურვე, რათა შემეცნო ყოველივე, შენით ქებული, რათა მართალი გზა მერჩია აწ და მარადის. სამსახოვანო, ერთ სახეში განსრულებულო, გარდმოუვლინე მოწყალება მოყვასთა შენთა, ოდეს შეიცნობ მათ ღირსებებს, მოჰფინე მაღლი შესაბამისი, უმაღლესო, მათი ღვაწლისა. შენდა აღვაკლენ წრფელ მაღლობას მუხლმოდრეკილი, გარდმომივლინე, გვედრები, წყალობა შენი და განმისვენე მაღალ ზეცად ჭეშმარიტი გზით. მოახლოვდება ოდეს ჟამი, მწამს, შენიანი მუღმივ სიმშვიდეს შენს საუფლოდ მოიპოვებენ. მე ვარ უღირსი, უსუსური, მარად დევნილი, თიხით ნაძერწი, განწირული მოსაკვდინებლად, თუმც თანა მიდგას მეგობარი უერთგულესი, რომელიც ცოდვებს მიმსუბუქებს და შემეწევა. შენ, რომელიც ფლობ დედამიწას, უკიდევანოს, გარემოცავ ორთავ ხელით წყალსა და ხმელეთს, ჩემს ძეს, ჩემს ვილჰელმს შენ გავედრებ, უკეთილესო, დე, იყოს იგი ღდენიადგ შენის განგებით ბედნიერებით შემოსილი და კურთხეული,

დაე, უყვარდე, შემოქმედო, აღმატებულად. ნება უბოძე, რათა მან შენს შვილებთან ერთად გაიზიაროს უმაღლესი ბედნიერება.

მუდამ ფხიზლობდეს მისი აზრი, შენდა ხმობილი, რათა იცხოვროს ბედნიერად აღსასრულამდე. დაე, ნურასდროს დაუფლოს მკაცრი რისხება, ნუ განუდგება შენს მსახურებს და ბედნიერი სიამოვნებით განლევს იგი თავის ცხოვრებას. თვისი სიქველის ბრწყინვალეობით ისწრაფვის იგი უმაღლესისკენ და მოითხოვს თავის წილს ხშირად, რისხვის თვინიერ უწყალობე და შთაგონე შენი ირწმუნოს მხოლოდ, მხოლოდ შენ შეგიყვაროს და მაღლიერი იყოს მუდამ წყალობის, ამინ! გარდმოუვლინე უხვად შენი კეთილგანწყობა, მის სულსა და ხორცს სიმშვიდე და სიმართლე მიეც, რათა მოყვასთა შორის იგრძნოს თავი კეთილად, რათა იცხოვროს განცხრობით და სიამოვნებით. წაიკითხოს და გაიზაროს წიგნში ნაწერი, იგი ირწმუნებს წმინდა სიტყვებს გულით და სულით, უკეთუ შენით ღრმა საცნობელს ეზიარება. დე, მუდამ იყოს მზად მოყვასთა დასახმარებლად, შენს სადიდებლად; შეითვისოს ოთხი სიქველე: ღვთისმოსაობა, მოწყალება, გონიერება, სიმტკიცე; მუდამ ჰქონდეს გრძობა ზომიერების და არასოდეს შეიძულებს მას ღვთისნიერი. თუ მე, მის ღდას, მეუფეო, ღირსად არა-მოფ, მე, რომელიც შენ, უმაღლესო, ყოველ ღღე და წამს

გემუდარები, მოწყალეა მოილო მათზე.  
გარემოიცვა სული ჩემი შიშის ლაშქარმა  
და გვედრები უსუსური, სუსტი ქმნილება,  
ყველა სიკეთის გამღებლო, შენს წმინდა ხელებს  
მივანდობ ჩემს ძეს, თუ საუფლოს შენსას მოიცავს  
განხეთქილება, შეუცვლელი დარჩები მარად.  
ნეტა ყოველი მოიდრიკოს უკეთესისკენ,  
რისთვისაც კმარა შენი ხელის მაღლა აღმართვაც.  
მთელი სამყარო შენ გეკუთვნის, ეს სამეუფოც,  
დაუსაბამო დედამიწაც მხოლოდ შენია,  
გემსახურება შენ ყოველი, რაც კი შექმნილა,  
მარადისყოფო მეუფეო, ჩემს ძეთ გვედრებ,  
მოიღე მათზე მოწყალეა, გემუდარები,  
რათა გირწმუნონ, შეგიყვარონ მარადყამიერ!

მკითხველო, თუ ვსურს ამ ქმნილების აზრის გაგება,  
მაშ, წაიკითხე დასაბამი ასონი პწკართა  
და მათში ფარულ საიდუმლოს უმაღ შეიცნობ,  
შეიცნობ, თუ რამ შთამაგონა მათი დაწერა.  
ო, გვედრები, ორი ვაჟის დედა, მკითხველო,  
რათა კეთილი მაცხოვრისთვის მარად ილოცო,  
დე, აღაზევოს შემოქმედმა მაღალ საუფლოდ  
ჩემი შვილები და მეც მათთან ერთად მამყოფოს.

აქროსტიხი ლათინურად ასე იკითხება: „დღოდა ძვირ-  
ფას ძეს ვილჰელმს მიესალმება. წაიკითხე“.

თუკი დაიწყებ ლექსის კითხვას ასო დელტათი,

დასაწყისიდან სასრულამდე, აზრსაც შეიცნობ.  
ქრისტეს შეწევნით შევუდექი ქმნილების შეთხზვას,  
შესავალ პწკარებს მოსდევს უკვე მთელი ქმნილება.

### უ ვ ი ლ ი ს ა ლ ი ი

შენ, ძეო ჩემო, განასრულე წელი თქვესმეტი,  
მეორე ვაჟი რომ ითვლიდეს ორჯერ მეტ ასაკს,  
შევუდგებოდი მისთვისაც სხვა ქმნილების შეთხზვას.  
ორჯვის ამდენს და ნახევრით მეტს რომ ითვლიდე წლებს,  
მე შევიცნობდი, შვილო ჩემო, შენს ხასიათს და  
აღმატებულად საგულისხმო ლექსებს შევთხზავდი.  
რადგან ვგრძნობ უკვე აღსასრულის მოახლოებას,  
სალმობათაგან დაუძღურდა ჩემი სხეულიც.  
თქვენს სასიკეთოდ, შვილნო ჩემნო, ვწერ ნაჩქარევად  
და დრო არ მრჩება ჩემს სურვილთა აღსასრულებლად.  
როგორც ნექტარი, გოლეული, ისე მიიღე  
ჩემი ქმნილება და ნიადაგ ამით იკვებე.  
დღეს, ოდეს შენი მამა ვნახე და მივეახლე,  
საათს, დღეს და თვეს, ოდეს გზობზე, შენ აქ შეიტყობ.  
უწყოდე, შვილო, ამ ქმნილების დასაბამიდან  
ბოლომდე, მხოლოდ შენი სულის ხსნაზე ვფიქრობდი.  
ყოველ ახალ თქმას წარწერებით ვასათაურებ,  
რათა გაგნება აზრის გზათა გაგიადვილდეს.  
გარწმუნებ, ვთხზავდი ამ ქმნილებას დასაწყისიდან  
დასასრულამდე შენი სულის და სხეულის ხსნად.  
ო, მოვიწოდებ, დაუშვრომლად იკითხო იგი,  
გაიაზრო და შეინახო სულის სიღრმეში.

როს განვასრულებ ჩემს სიცოცხლეს, უბრძანე, მაშინ  
სახელი ჩემი მიათვალონ ჩვენს მიცვალებულთა სახე-  
ლებს. თავგამოდებით გემუდარები, ისიც უბრძანე, სა-  
ფლავის ქვაზე, რომლითაც დაიფარება ჩემი სხეული,  
ამოტვიფრონ მყარად ეს სტრიქონები, რამეთუ მათ, რომ-  
ლებიც იხილავენ საფლავის ქვის წარწერას, ჩემთვის,  
უღირსისათვის, ღირსეული ლოცვა აღუვლინონ ღმერთს.  
მაგრამ შენ, რომელიც ამ წიგნს კითხულობ, და შენც,  
რომელიც მას წაიკითხავ, დე, გულით შეგძრას ამ სიტ-  
ყვებმა, თითქოს მე უკვე საფლავში ვიწვე. შეევედრეთ  
ღმერთს, შემიწყალოს! მაშ, წაიკითხე, მკითხველო საფ-  
ლავის ქვის წარწერა:

თიხაში განსახიერებელი განისვენებს ამ სამარეში დუდანას სხეული,  
მარადიულო მეუფეო, მიიღე იგი!  
უძლური მიწა ბოლოს და ბოლოს ტალახად იქცა,  
კეთილო მეუფეო, შეიწყნარე იგი!  
იარათავან დავრდომილს მას არაფერი დარჩენია, გარდა ამ ვიწრო  
სამარისა,

შენ, მეუფეო, ცოდვათავან იხსენი იგი!  
რა ასაკის და რა სქესისაც არ უნდა იყოს, ყოველმა, ვინც კი  
აქ ჩაივლის, დაე, ასე თქვას:

ყოვლად წმიდაო, ბორკილთავან იხსენი იგი!  
ბოროტ იარათა გამოქვაბულში გამომწყვდეულმა, დარდით  
დავრდომილმა, განასრულა უზადრუკი სიცოცხლე თვისი,

შენ, მეუფეო, მიუტევე მას ცოდვანი!  
შავმა ასპიტმა რომ არ მოიცვას მისი სული, წარმოთქვი ლოცვით:  
ღმერთო მოწყალეო, იხსენი იგი!  
გვერდი არავინ ამიაროს ისე, რომ ეს წარწერა არ წაიკითხოს,  
ვავედრებ ყველას, რომ ილოცოს:

უბოძე მას სიმშვიდე, უმაღლესო!  
უბრძანე კეთილმოდრეკით მოუფონონ მარადიული ნათელი  
მას წმინდანებთან ერთად,  
დაკრძალვის მერმე აღმდგარიყოს იგი, ამინ!



კ ა ს ი ა

(IX ს.)

„დიდ სულიერ თავისუფლებას ქადაგებს ქრისტეს ტაძარი, რომელიც თავის საეკლესიო საღვთისმსახურებლო წიგნებში ინახავს ჰიმნოგრაფოსი ქალის ქმნილებებს. ის, რომ ნეტარი მონაზონის კასიას ჩვენამდე მოღწეულ თითქმის ყველა ჰიმნს აქვს ზედამოწერილობა, ცხადყოფს, ეკლესია გულმოდგინებით იცავს მის ქმნილებებს იმ საუკეთესო ნაწარმოებთა შორის, რომლებიც სახელდებულნი, შენახულნი არიან თაობებისათვის სამარადეამოდ.

ის გარემოება, რომ ნეტარი მონაზონი კასია თავისი

<sup>1</sup> კასიას სახელის რამდენიმე ვარიანტია დადასტურებული ბიზანტიელ ქრონისტებთან და ხელნაწერებში: კასია, კასსია, ეიკასია, იკასია, კასსიანე. ამ მოვლენას მრავალი გამოკვლევა მიემდინა. მეცნიერთა მცირე ნაწილის აზრით, ამ სახელებით სხვადასხვა პიროვნებები მოიხსენიებოდნენ. მკვლევართა უმეტესობა ლამობს ყველა ეს სახელი ერთ პიროვნებას დაუკავშიროს. ქართულ ხელნაწერებში ეს სახელი სხვადასხვა ფორმითაა წარმოდგენილი: კასია, ეკასია, კასიანა. სახელის ჩვენს მიერ წარმოდგენილი ვარიანტი თანამედროვე გამოკვლევათა გათვალისწინებით არის შერჩეული.

ჰიმნებით მონაწილეობს ორ უდიდეს ქრისტიანულ დღესასწაულში: ქრისტეშობისა და დიდი შაბათის, ქრისტეს აღდგომის წინა დღის დღესასწაულებში, აღავსებს ნეტარსენებული შემოქმედის თაყვანისმცემელთ დიდი სინარულითა და ზეიმით. მონაზონი-ჰიმნოგრაფოსი წმინდა ეკლესიის მიერ მიღებულია კანონთა უდიდეს შემოქმედთა სწორად, რათა იყოს მონაწილე ადამიანთა ხსნისთვის ყოვლადსაუკუნოს დაფარულ განზრახვათა ხოტბის შესხმისა და განდიდებისა...“<sup>1</sup>

ასეთი აღიარება ხვდა კასიას შემოქმედებას თანამედროვე ქრისტიანულ სამყაროში. თავის ეპოქაში იგი გამოირჩეოდა ღრმა განათლებით, მაღალი ნიჭიერებით, იშვიათი მომხიბვლელობით.

კასიას ცხოვრება და მოღვაწეობა შთაგონების წყარო გახდა სხვადასხვა დროისა და ეროვნების მწერალთა თუ პოეტათვის. შემონახულია ბიზანტიელი პოეტი ქალის თავგადასავლის ფოლკლორული ვერსიები, ანონიმური ბიოგრაფია. ხშირად მოიხსენიებენ კასიას ბიზანტიური წყაროები, არცთუ მცირეა კასიას სახელით მოღწეულ ქმნილებათა რიცხვიც.

XIX საუკუნეში დიდი ბიზანტოლოგის კ. კრუმბახერის ვრცელი გამოკვლევით დაიწყო კასიას ჩვენამდე მოღწეული მემკვიდრეობის მეცნიერული შესწავლა<sup>2</sup>. მრავალ

<sup>1</sup> Монахиня Игнатия, Церковно-песнотворческие труды инокини Кассии, в сб.: Богословские труды, 24, Москва, 1983; 335.

<sup>2</sup> იხ. კ. კრუმბახერი, კასია, მიუნხენი, 1897, გვ. 305—370.

ვალი ნაშრომი მიეძღვნა მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ცალკეულ სფეროთა ანალიზს.

საყურადღებოა, რომ ბიზანტიელი პოეტი ქალის შემოქმედებით ოდითგან ყოფილა დაინტერესებული ქართული საზოგადოებრიობაც. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის კოლექციებში მიკვლეულია კასიას იდიომელონებისა და ძლისპირის თარგმანები, რომლებიც XI—XVIII საუკუნეების თვენებსა და მარხვანებშია შემონახული. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კასიას შემოქმედების ანალიზს მიუძღვნა ნაშრომი ქართველმა მკვლევარმა თ. მესხმა,<sup>1</sup> რომლის დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ კასიას თხზულებათა ძველი ქართული თარგმანების გამოქვეყნება.

(რა არის ცნობილი მკვლევართათვის კასიას ბიოგრაფიიდან? ამ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, მეცნიერები მიმართავენ ბიზანტიურ წყაროებს (გიორგი ამართლო, სიმეონ მაგისტროსი, ლეონ გრამატიკოსი, იოანე ზონარა და სხვა), რომლებიც გადმოგვცემენ ფრიად საინტერესო ისტორიას:<sup>2</sup>

იმპერატორ მიხეილ ენაბრგენილის (821—829) ქვრივს,

<sup>1</sup> თ. მესხი, ბრძენი ქალწული, თბილისი, 1987. კასიას პოეზიის ძველ ქართულ თარგმანებს ამ წიგნის მიხედვით წარმოვადგენთ.

<sup>2</sup> ს. ყაუხჩიშვილი, გიორგი ამართლოს ხრონოგრაფის ქართული თარგმანი, II, ტფილისი, 1926; Б. Меллиоранский, из семейной истории аморийской династии, вв., 1901.

ეფროსინეს, შეუფროვებია მთელი იმპერიის ულამაზესი ქალები, რათა მის შვილს თეოფილოსს ამოერჩია საცოლვე. რჩეულისათვის თეოფილოსს ოქროს ვაშლი უნდა ებოძებინა. კასიას მშვენიერებით მოიხიბლა იმპერატორი, თუმც ასე მიმართა მას: „ხომ ქალისაგან წარმოიშვა ბოროტება?“ დაუფიქრებლად მიუგო ქალწულმა: „მაგრამ ქალისაგან წარმოიშვა საუკეთესოც!“ ეს თამამი პასუხი თეოფილოსს არ მოეწონა და ოქროს ვაშლი სხვა მშვენიერ ქალწულს უბოძა (როგორც ცნობილია, ეს იყო პაფლაგონიელი ქალი თეოდორა). მალე, ამ საბედისწერო შემთხვევის შემდეგ, კასიამ დააარსა დედათა მონასტერი, სადაც გაატარა მთელი ცხოვრება. გადმოცემათა თანახმად, იგი ამ მონასტრის წინამძღვარი უნდა ყოფილიყო. ამ მოგვეპოვება ზუსტი ცნობები იმის თაობაზე, თუ როდის დაიბადა ან გარდაიცვალა ეს დიდებული პოეტი ქალი. ვარაუდობენ, რომ მისი ცხოვრება 810—865 წლების მახლობელი ხანებით სამანდება.

ამ პერიოდის ბიზანტიელისათვის ხელოვნების არსი უკვე იყო განსაკუთრებულ, ღვთაებრივ იდეასთან ზედმიწევნით დაახლოებული სამყაროს შექმნა. შესაბამისად, ხელოვნება ემსახურებოდა იმ მიზანს, რასაც უკვე მდებარებდა შუასაუკუნეების ადამიანი თავის ცხოვრებას—სწნას. ამიტომ ხელოვნება უნდა ყოფილიყო სულის ამაჰალღებელი, ამდენად, სულისთვის სასარგებლო. იგი თავისთავად გულისხმობდა ესთეტიკური შეფასების მომენტსაც — ყოველთვის განასხვავებდა სიკეთესა და ბოროტებას. ამ პრინციპიდან გამომდინარე განისაზღვრებოდა ავტორისეული პოზიცია: ავტორი ადამიან-

ნია და, შესაბამისად, თავმდაბალი (უმნიშვნელოვანესი ქრისტიანული სიქველე), ამიტომ შეგნებულად წარმოსახავს თავის თავს უცოდვილესად და უმდაბლესად აღამიანთა შორის. იგი ქმნის არა იმიტომ, რომ შეიცნოს სამყარო, არამედ იმიტომ, რომ მას გამოეცხადა იდეა ზებუნებრივი ხილვით, ან ეკლესიის მამათა ნაწერებით. შესაბამისად, ხელოვანი, მწერალი ფლობს უმაღლეს ჭეშმარიტებას.<sup>1</sup>

იმ პერიოდში საეკლესიო საზოგადოებას ქმნიდნენ არა მხოლოდ სასულიერო, არამედ საერო ფენათა წარმომადგენელნიც (გავიხსენოთ ლეონ ბრძენი ან კონსტანტინე პორფიროგენეტი), რომელთაც მიღებული ჰქონდათ საეკლესიო განათლება და შემოქმედის მადლით იყვნენ ცხებულნი. საგალობლებს წერდნენ იმ ეპოქის განათლებული ქალებიც, რომელთაგან მხოლოდ კასიას ქმნილებები მიიღო ეკლესიამ.

კასიას შემოქმედებიდან ჩვენამდე მოაღწია ოდების ციკლმა „კანონი მიცვალებულებზე“ („გალობანი შესვენებულთანი“), საგალობლებმა და გნომებმა.

კასიას „კანონი მიცვალებულებზე“ მხატვრული ფორმით მისდევს „კანონების“ სტრუქტურას. იგი შედგება 9 ოდისაგან (აკლია II ოდა). თითოეულ ოდაში არის სამ-სამი ტროპარი. ყოველი ოდა მთავრდება რეფრენით — მარიამისაღმი აღვლენილი ვედრებით („ღმრთისმშობლისა“).

„კანონი მიცვალებულებზე“ კარლ კრუმბახერმა თა-

<sup>1</sup> А. П. Каждан, Византийская культура, Москва, 1968, 168.

ვისი აგებულებითა და შინაარსით რომანოზ მელიოდოსის ქმნილებებს მიამსგავსა. მკვლევარი აღნიშნავდა, რომ კასია ამ შემთხვევაში იყენებდა მისი წინამორბედის გამოცდილებას.

„კანონი“ უნდა შექმნილიყო 842 წლის შემდგომ პერიოდში, იგი მთავრდება იმპერატორ მიხეილ III-ის გამარჯვების ვედრებით. „კანონი მიცვალებულებზე“ იმთავითვე მიიღო ორთოდოქსულმა ეკლესიამ.

კასიას ეს ნაწარმოები ადრეული ხანის ბიზანტიური პოეზიის დიდებული ნიმუშია. მიუხედავად იმისა, რომ ოდები ერთსა და იმავე მთავარ აზრს გამოხატავენ (შემოქმედის დიდება, ვედრება ქრისტესადმი, საშინელი სამსჯავრო, ვედრება შეწყალებისა), ისინი არ უღერენ მონოტონურად. აღფრთოვანებას იმსახურებს კასიასათვის დამახასიათებელი წერის მანერა — დიდი სათქმელის ლაკონურად და ზუსტად, პოეტური სისადავით გამოხატვა. ოდებში გამოვლენილი ამალღებული განწყობილება, უშუალობა და სიმსუბუქე, გრძობათა და განცდათა სიღრმე პოეტი ქალის ჭეშმარიტ ნიჭიერებაზე, მის თვითმყოფადობაზე მეტყველებს.

კასიას საგალობელთა შორის მოიხსენიება:

1. სძლისპირნი დიდი შაბათის ცისკრის კანონის პირველი ხუთი გალობისა;

2. სტიქარონი „დიდება აწ და“-ს შემდეგ „უფალო ლაღადპყავსა ზედა“ ქრისტეშობის მწუხრის ლოცვისა.

3. სტიქარონი „აღვიმსთოთსა ზედა“ ცისკრის ლოცვისა და „უფალო ლაღადპყავსა ზედა“ — დიდი ოთხშაბათის მწუხრის ლოცვისა.

4. დასდებელი სტიქარონსა ზედა უფლის წინამორბედისა და ნათლისმცემლის იოანეს შობის მწუხრის ლოცვისა — 24 ივნისი.

5. ორი სტიქარონი „აქებდითსა ზედა“ ცისკრის ლოცვისა მოწამეთა ხსენების დღეს — 13 დეკემბერს. მოიხსენიებდნენ სხვა საგალობლებსაც კასიას ქმნილებათა შორის, მაგრამ მათ არ აქვთ ზედამოწერილობა, ამდენად კასიასადმი მათი მიკუთვნება სავარაუდოა.

კასიას საეკლესიო საგალობელთა შესახებ მონაზონი იგნატი აღნიშნავს: «Характеризуя труды инокини Кассии со стороны их внешнего оформления, отдавая дань методу ее диалектического мышления, усматривая в ее произведениях отчетливый синтез, мы не можем пройти мимо того, что творения этой богомудрой монахини свидетельствуют также о знании ею канонических книг Священного Писания Ветхого и Нового Завета. Это знание — насколько, внешняя, настолько же и внутренняя сторона произведений инокини Кассии. Из текста ее стихов мы можем убедиться, что автору были известны также и произведения греческих философов»<sup>2</sup>.

კასიას დიალექტიკური აზროვნების ნიმუშად ასახელებენ ქრისტეშობის მწუხრის ლოცვის სტიქარონს, სადაც ერთმანეთთან დაპირისპირებულია აგგუსტუსი, ერთ-

<sup>1</sup> Филарет, архиепископ Черниговский. Исторический обзор песнопевцев и песнопения Греческой Церкви, Чернигов, 1864, 331. იხ. აგრ. თ. მეხსი, დასახ. ნაშრომი, გვ. 44.

<sup>2</sup> Монахиня Игнатия, დასახ. ნაშრომი, გვ. 325.

მმართველი მეუფე მიწისა, რომელმაც ქვეყნად მრავალმთავრობა განასრულა და ქრისტე, რომელმაც დაამხო კერპნი და განასრულა მრავალმრთეობა, აზრის გამოხატვის ეს ხერხი საზეიმოსა და დიდებულს ხდის ამ სტიქარონს, რის გამოც იგი იკითხება ქრისტეშობის დღესასწაულის ბოლოს, ვითარცა ამამაღლებელი საერთო განწყობილებისა. პოეტური აზრის წარმოსახვის მსგავსი ხელოვნებაა შენიშნული კასიას ცნობილ სტიქარონში დიდი ოთხშაბათისათვის, სადაც „მრავალი ცოდვით დანთქმული ქალი“ მიმართავს უფალს: „ჩემთა ცოდვათა სიმრავლე და შენთა წყალობათა უძიროება ვინ დაითვალოს...“ აზროვნების ეს მეთოდი უშუალოდ გულისხმობს ე. წ. სინთესაც, სადაც ყოველივე ურთიერთდაპირისპირებული ხდება ერთიანი და, შესაბამისად, სრულყოფილი. ნიმუშად ასახელებენ მწუხრის ლოცვის სტიქარონს იოანე ნათლისმცემლის შობის დღეს, სადაც კასია აღნიშნავს, რომ იოანე წინამორბედი „კაცი იყო ბუნებით, ხოლო ცხოვრებითა ანგელოზი“, წარმოსახავს ადამიანის სულიერი ცხოვრების მთელ გზას, გვიჩვენებს, თუ როგორ მიიღწევა სულიერი სრულყოფილება:

„სიწმინდე და ქალწულები შეიტკბო,  
ხორცი ემოსნეს,  
არამედ უმაღლეს ხორცილისა გამოჩნდა  
და უზეშთავს ბუნებისა იღუაწა“.

კასიას ქმნილებებში ჩანს ბიბლიური წიგნებისა და წარმართული ლიტერატურის ღრმა ცოდნა. „კანონი მიცვალებულებზე“ („გალობანი შესვენებულთანი“), რო-

მელიც ეძღვნება მაცხოვარის მეორედ მოსვლასა და ადამიანთა განკითხვას, წარმოგვიდგენს ქრისტეს თავისი დიდებით. „სიმაღლე და სიღრმე შენი სიბრძნისა ვის ძალუჟს გამოთქმად, ქრისტე, და ძალმოსილებისა შენისა დაუსრულებელი ზღვა?“ (I, I—4)—სვამს კითხვას მონაზონი კასია და ამ ძალმოსილების შესაცნობად ლამობს ქრისტეს მისთვის ნათელი ხატით წარმოდგენას: „დიდსულოვანო, კაცთმოყვარების დაუშრეტელ ზღვას რომელიც ფლობ“ (VII, 154—156), „ყოვლად მართალო, დე, გაიმარჯვოს შენმა სიკეთემ“ (VII, 167). ბიბლიურ წიგნთა ფილოსოფიურად გააზრებას ეფუძნება კასიას რწმენა ღმერთის, როგორც „სიცოცხლისა და სიკვდილის მეუფის, სხეულთა და სულთა განმგებელის“ (IV) თაობაზე. პოეტი ქალი ამ ოღაში ერთმანეთს უპირისპირებს ღვთაების მარადიულობასა და ადამიანის ყამიერებას:

„წარმავალი ყამიერი, მიწად იქცევა იგი და ფერფლად,  
მხოლოდ შენ ერთი რჩები, ქრისტე, უკუნისამდე,  
რადგან ხარ ღმერთი“

(IV, 75—77).

კასიას ფილოსოფიური დაფიქრების ნიმუშია VII ოდა, სადაც პოეტი ქალი მიმართავს ღმერთს, რომელიც „უფლობს ზღვას კაცთმოყვარებისა“, საშინელი განკითხვის ყამს არ განსაჯოს მართლად ცოდვილნი, არამედ იყოს „მოწყალე და შემწყნარებელი“. ოდის დასაწყისში კასია ჭეშმარიტი გულწრფელობითა და უბრალოებით აღნიშნავს: „მეუფეო, ვფიქრობ იმ უჩ-

გეულო და საშინელ განკითხვის დღეზე, სამართლიანად ოდეს განსჯი ჩვენს ყოველ საქმეს“ (145—147), შემდეგ იგი შესთხოვს ღმერთს განიკითხოს „შესვენებულნი არა მთელი ცოდვების ფასად“ (158), არამედ დაიხსნას ისინი. ოდის ბოლოს კი ავითარებს საპირისპირო აზრს — შესთხოვს ღმერთს არ განსაჯოს სამართლიანად, გაიმარჯვოს მისმა სიკეთემ, „რათა სასწორზე ბოროტებამ არ გადასძალოს, რომელიც ესოდენ მძიმეა“ (166—167) ეს ოდა კასიას პოეტური აზროვნების მართლაც დიდებული ნიმუშია. მასში ერთმანეთთან არის შერწყმული ღრმა აზრი და სათქმელის გამოხატვისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი სინათლე და პოეტურობა, უბრალოება და გულწრფელობა.

ასეთივე სიბრძნით, ტრადიციის გათვალისწინებით, პოეტური უბრალოებით წარმოგვიდგენს კასია ღვთისმშობლის სახეს: „შენ მორწმუნეთა უმაღლესი სალოცავი ხარ, წმიდა ქალწულო, ხარ მფარველი და თავშესაფარი, ხარ ქრისტიანთა გალავანი და ნავსაყუდარი“—ასე მიმართავს პოეტი ღვთისმშობელს (IV, 82—84) და შესთხოვს „მეოხებითა გვიხსენ საშინელი ცოდვებისაგან, წმიდაო ღვთისმშობელო, რომ ვეზიაროთ, უწმიდესო, ღვთაებრივ ნათელს“ (VI, 138—141).

კასიას ქმნილებებში აისახა განსაკუთრებული სიყვარული მოწამეთადმი. მის სტრიქონებში, რომლებიც წამებულთა ხსოვნას ეძღვნება, გამოკრთის ავტორის უდიდესი მოკრძალება და თაყვანისცემა ქრისტეს მოწამეთადმი იგი მოუხმობს თავის ვრძნობათა ძალმოსილებას, რათა განადიდოს წმიდა მოწამენი „ღმრთივ განბრძნობილნი,

წარჩინებულნი სულითა, შუენიერნი სახითა, უშუენერ-  
ესნი გონებითა, ღმრთივ ბრწყინვალენი, ელუარე მარ-  
გალიტნი, მწარეთა სატანჯველთა ახოვნად მომთმენნი...“  
უფრო მეტი ხელოვნებითა და ფსიქოლოგიური სიღრ-  
მით წარმოსახავს მონაზონი პოეტი „მრავალი ცოდვით  
დანთქმულ ქალს“, რომელმაც ქრისტეს ღვთაებრიობა  
შეიგრძნო. ეს სტიქარონი, რომელიც დიდი ოთხშაბათის  
ციცკრისა და მწუხრის ლოცვათა ჟამს იკითხება ეკლესი-  
აში, დიდებული ნიმუშია კასიას პოეტური შემოქმედე-  
ბისა. პოეტი მაღალმხატვრული ოსტატობით წარმოსა-  
ხავს ადამიანის ღრმა განცდას ბუნების იღუმალი ძაღე-  
ბის მეოხებით: „წყვედიადი მფარავს — აღმოხდება მას—  
საკდემელობის მძაფრი წადილის და ტრფობის ცოდვის  
ზნელი, უკუნნი“. კასია შესთხოვს ღვთაებას, რომელიც  
ზღვათა დინებას ღრუბლად წარმართავს, შეისმინოს მი-  
სი „გულის სულთქმა“ და მიიღოს „ცრემლთა წყაროე-  
ბი“. ჰემარიტად დიდებული პოეტური ხატებია: თავი-  
სი ეპოქის ხელოვნებას ზიარებულმა კასიამ კარგად იცო-  
და, რომ მდაბალთა შორის უმდაბლესად უნდა წარმოე-  
სახა თავისი თავი, რამეთუ იგი იყო მოკვდავი. ცოდვა-  
თა სიმრავლე ამძიმებს მის ლირიკულ გმირს, რომელ-  
მაც შეიგრძნო ღვთის „წყალობათა უძიროება“ სიკეთით  
განბრწყინებული (შდრ. კანონი, VII, 165—171). ესო-  
დენი გულწრფელობითა და დამაჯერებლობით რომ წარ-  
მოესახა პოეტს ცოდვილი სულის განცდები, თავად უნ-  
და ჰქონოდა სული ფაქიზი და სათუთი, რათა შეეგრძნო  
უმძაფრესად შეცოდებათა საღმობა. ამ სტიქარონის გა-  
საგებად მეტად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საეკლესიო

ლიტერატურის მკვლევარის არქიეპისკოპოს ფილარეტის  
აზრი: «Чтобы так верно выразить чувства возлю-  
бившей много... необходимо было Кассии ощущать  
в душе своей полноту горького сокрушения о рас-  
тлении души нашей, надобно было самой ей быть  
полною той уповающей любви к Спасителю греш-  
ников, за которую люди осуждали и грешницу, и  
Спасителя грешников... Нельзя не сказать: не мно-  
гие способны к такому глубокому сокрушению»<sup>1</sup>.

მართლაც ესოდენი სულიერი სიღრმითა და თანა-  
გრძნობით, გულწრფელობითა და მაღალი პოეტურობით  
წერა ხელეწიფებოდა „მრავალ ღმობათა“ დამთმენსა და  
განწმენდილს ცოდვათაგან, ჰემარიტი ნიჭიერებით და-  
ჯილდოებულ შემოქმედს.

ფსიქოლოგიური სიღრმითაა შეთხზული კასიას წა-  
მებულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი სტიქარონები. ჩვენ  
საშუალება გვაქვს წარმოვადგინოთ სტიქარონი იდიო-  
მელონი, აქებლითსა ზედა, წმიდა მოწამეთა ევსტრა-  
ტი, ავქსენტი, ევგენი, მარდარი და ორესტის ხსენების  
დღეს (13 დეკემბერი), ცისკრად საგალობელი:

„უფროს სწავლასა წარმართთასა  
სიბრძნე მოციქულთა აღიარის  
წმიდათა  
მარტვილთა,  
წიგნი რიტორთანი დაუტევნეს მხნეთა,  
ხოლო მეთევზურთა  
შეესაკუთრნეს  
ღირსნი.

<sup>1</sup> Филарет, архиепископ Черниговский, *დასახ. ნაშრომი*,  
გვ. 332.

მუნ სიკეთე სიტყუათაჲ, ცუდი და მიმოქცევაჲ;  
ხოლო აქა  
უწიგნოთა ღვთისმეტყუელებაჲ ასწავებდა მათ  
სამებისა დიდებასა  
და ღმრთის მეცნიერებასა,  
და ხორცთა განზრახვისა  
და ყოველთა ვნებათა  
უზეშთაჲს ამადლებასა,  
და აწ  
ვევდრებიან  
ქრისტესა  
მოცემად ჩუენდა დიდი წყალობაჲ.“

ამ სტიქარონს ანალოგიურ ქმნილებათა მშვენიერად  
მიიჩნევენ საეკლესიო ლიტერატურის მკვლევარნი. წარ-  
მართული ლიტერატურის ცოდნა უდაოდ ხელს უწყობდა  
კასიას შეექმნა ესოდენ დიდებული ქმნილებანი. მას სა-  
შუალება ჰქონდა შეეცნო როგორც წარმართული, ასევე  
ქრისტიანული ფილოსოფია და უპირატესობა მიენიჭე-  
ბინა ერთ-ერთი მათგანისათვის საკუთარი მიდრეკილები-  
სდა შესაბამისად. წარმოდგენილ სტიქარონში კასია გა-  
რკვევით აღნიშნავს, რომ წმიდა მარტვილებმა ელი-  
ნურ მოძღვრებას არჩიეს მოციქულთა სიბრძნე. სწორედ  
ამ სიბრძნეს მიჰყავდა ხსნის გზით პოეტი ქალი, რომე-  
ლიც ლოცულობდა სულთა მშვიდობისათვის.

ელინური ლიტერატურის ცოდნა კიდევ უფრო მე-  
ტად გამოკრთის კასიას ე. წ. „გნომებში“, რომელთა დი-  
დმა ნაწილმა (282 თუ 289 სტრიქონი) მოაღწია ჩვენამ-  
დე. ეს გამონათქვამები გამართულია ბიზანტიური თორ-

<sup>1</sup> Монахиня Игнатия, დასახ. ნაშრომი, გვ. 333.

მეტმარცვლიანი ლექსით (იაზბური ტრიმეტრით, სადაც  
მხოლოდ მარცვალთა რაოდენობაა ვათვალისწინებული).  
მათი შინაარსი საეროა, თუმცა დაფუძნებულია ქრის-  
ტიანულ მორალზე.<sup>1</sup>

ბერძნულ ცნომურ პოეზიას ხანგრძლივი ისტორია  
აქვს. იგი აღმოცენდა ჯერ კიდევ ძვ. წ. ა. VII საუკუნე-  
ში და თავისი განვითარების მწვერვალს ელინისტურ  
ხანაში მიაღწია. ბრძნულ გამონათქვამთა კრებულების შე-  
დგენა ძვ. წ. ა. IV საუკუნიდან იწყება. ბიზანტიურმა  
ლიტერატურამ მიიღო ანტიკური მემკვიდრეობა, გამოი-  
დრებული ადრექრისტიანული ნაწარმოებებით. კასიას  
გამონათქვამებში ძირითადად ვხვდებით ადამიანთა კარ-  
გი და ცუდი თვისებების ურთიერთდაბირისპირებას —  
სიკეთისა და ბოროტების, მეგობრობისა და მტრობის,  
სიბრძნისა და უმეცრების და სხვა. აზრის ლაკონური და  
ოსტატური ფორმულირებით კასია ზუსტად გამოხატავს  
თავის სათქმელს. სტრიქონებში ხშირად ჩუმი ირონიაც  
შეიმჩნევა. ჩანს, კასია კარგად იცნობდა ძველ ბერძნულ  
იამბიკურ პოეზიასაც. მისი ეპიგრამები ქალებზე მოგვა-  
გონებენ სემონიდე ამორგოსელის „სატირას ქალებზე“. კასიას სენტენციებში გამოვლინდა გარკვეული პარალე-  
ლები წინამორბედ პოეზიასთან. ჯერ კიდევ კ. კრუმბახე-  
რი<sup>1</sup> მიუთითებდა მენანდრეს ვავლენაზე. ჰ. ჰომეიერი  
შენიშნავდა კასიას პოეზიის კავშირს საფოს პოეზიასთან  
(აზრები კარგისა და მშვენიერის, სიმდიდრისა და სიქვე-  
ლის შესახებ), მაგრამ აქვე აღნიშნავდა, რომ ამგვარ გა-

<sup>1</sup> კ. კრუმბახერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 312.

ვლენებზე საუბრისას საჭიროა მეტისმეტი სიფრთხილის გამოჩენა, რამეთუ პოეტს გარკვეული აზრი (მსგავსი სხვისა) სხვადასხვა მოვლენებთან დაკავშირებით შესაძლოა სრულიად დამოუკიდებლად გაუჩნდეს.<sup>1</sup>

რამდენადაც ღრმად რელიგიურია კასიას ოდები და საგალობლები, იმდენად საერო ხასიათისაა მისი გამოთქვამები, თუმცა მათაც ჭეშმარიტად ეტყობათ მონაზვნის ხელწერა. კასიას „გნომებში“ შეიგრძნობა ავტორის ემპირიული განცდების კვალი. ერთ-ერთ ეპიგრამაში საიმპერატრიცო დიდებასთან ესოდენ ახლოს მყოფი მონაზონი აღნიშნავდა:

„ღვთის კეთილგანწყობის თვინიერ მიღებულ  
განძსა და სიტურფეს ღვთის მაღლი გერჩიოს“.

და ამას წერდა კასია. რომელიც თავისი შეგნებული ცხოვრების დასაწყისში სრულებითაც არ ემზადებოდა სამონასტრო ცხოვრებისათვის და რომელიც, — გარდამეტებული მახვილგონიერება და სითამამე რომ არა, — შესაძლოა დედოფლადაც მოვლენოდა ბიზანტიურ სამყაროს.

„მონაზვნის ცხოვრება შუქია ნათელი“, —

\* იტყვის მონაზონი კასია და ჭეშმარიტად ადგას ნათელი მთელს მის შემოქმედებას, რომელიც არის ამაღლებული სულის ესოდენ პოეტური გამოვლინება.\*

1 ჰ. ჰომეიერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 137.

გ ა ლ ო ბ ა I

სიმალლე და სიღრმე შენი სიბრძნისა  
ვის ძალუძს გამოთქმად, ქრისტე,  
და ძალმოსილებისა შენისა  
დაუსრულებელი ზღვა,  
არარაისაგან ყოველი  
ნებითა და სიტყვითა შენითა  
ვითარ შექმენი, მეუფეო!  
ამისათვის შენ დაუცხრომელად გადიდებთ.

ზაკვით ცთომილ ქმნილებას შენსას  
ოდესდაც ედემს, მოწყალეო,  
ესმა ხმა შენი:

„კვლავ მიწად იქეც,  
რამეთუ ხარ მიწით შობილი!“  
შაგრამ არა ჰქმენ  
მძლავრებაი სიკვდილისაგან.  
მოვედ, მაცხოვარო, რათა მიხსნა მე.

რომელიც ხარ ცათა შინა შობილი, ქვეყნად  
განკაცებული გამოგვეცხადე,  
რათა ყოველი მიწიერი,  
მეუფეო საუკუნეთაო,  
იხსნა ვნებათაგან;  
ხოლო, რომელი აღესრულა, — იგი აცხოვნო.

აწ გვედრები, შესვენებულნი  
მიითვალე მართალთა დასსა.

ღმრთისმშობლისა

განდიდებულო ყოველთაგან დაბადებულთა,  
შენ გილადადებთ,  
რომელმან სიტყვა ღვთისაი  
დაიტეი საშოსა შენსა,  
მარადწმიდაო  
ღმრთისმშობელო მარიამ,  
ღირსებით შენით დაიხსენი  
განკითხვისაგან შესვენებულნი.

გ ა ლ ო ბ ა III

ოდეს ამქვეყნად მოხვალ  
დიდებთა შენითა, ღმერთო,  
განკითხვად ღვაწლისა ყოველისა,  
მჭილებად სიტყვისა უქმისა  
და ზრახვისა ურგებისა,  
შეიწყნარე შესვენებულნი,  
განკითხვისაგან იხსენ ისინი.

გულმოდგინებით ოდეს მკვდარნი  
აღმოვლენ კრთომით სამარხებიდან,

დასცემს ნაღარა, მაცხოვარო ჩემო,  
და ანგელოზნი  
მოგეახლებიან შიშით, უფალო,  
შეიწყნარე შესვენებულნი  
და დააწესე ადგილსა მას ცხოვრებისასა.

როს იქმნეს ძრვანი  
ზეცისა და დედამიწისა,  
ძრწოლა ქვეყნისა, მოწყალეო,  
მსახურთა შენთა მოუწოდე  
სიხარულით შემოგეგებონ,  
რამეთუ ღმერთი, გარეშე შენსა  
არა იციან მათ, მეუფეო.

ღმრთისმშობლისა

ქერუბიმი და სერაფიმი  
გეგებებიან, ღმრთისმშობელო,  
რომელმან მხოლოდ დაიტეი  
საშოსა შენსა  
დაუტევნელი ღმერთი,  
მას ევედრე, რათა იხსნას  
განკითხვისაგან მონანი შენნი.

სიცოცხლისა და სიკვდილისა უფალო, ქრისტე,  
გვამთა და სულთა მეუფეო,  
როს განიზრახავ შემადრწუნებლად  
ანგელოზებთან ერთად დიდებით გამოგვეცხადო,  
რათა ყოველი განიკითხო,  
განსვენებულნი, მაცხოვარო,  
მარჯვენით შენისა მიითვალე ცხოვართა თანა.

ქრისტე, მეუფეო, შეიწყნარე ვედრება ჩვენი,  
მოუწოდე შენის განგებით შესვენებულთა,  
რომელთ ირწმუნეს ღმრთიება შენი,  
ვითარცა კაცთმოყვარისა,  
ისმინონ ტკბილი ხმა შენი,  
რომელიც უხმობს განსაცხრომელად, გვევდრებით.

წარმავალია ჟამიერი, მიწად იქცევა იგი  
და ფერფლად, მხოლოდ შენ ერთი  
რჩები, ქრისტე, უკუნისამდე,  
რადგან ხარ ღმერთი. შენ გოღალადებთ,  
მოგვმადლე მხევალთ მადლიერებით შენი დიდების  
გამოუთქმელი სიხარული.  
დიდება ძალსა შენსა, კაცთმოყვარეო.

ღმრთისმშობლისა

შენ მორწმუნეთა ხარ სალოცავი, უსძლოო,  
ხარ მფარველი და საფარველი,  
ქრისტიანეთა ზღუდე, ყუდრო ნავთსაყუდელი,

ნუ დასცხრები ვედრებად, უბიწოო,  
შენი ძის მიმართ,  
რათა იხსნა შესვენებულნი  
განკითხვისაგან, ყოვლადწმიდაო.

როს, მოწყალეო, მოხვალ დიდებით, რათა განიკითხო  
მართლად ქვეყანა,  
რათა განავთო  
უცოდველი და ცოდვილი, მსგავსად წერილისა,  
მარჯვენით შენისა ცხოვართა თანა  
მიგვათვალე შესვენებულნი,  
მოწყალეო, განსასვენებლად.

ო, ჭეშმარიტად ემუქრება ცოდვილს სასჯელი  
სამარადჟამო, მეუფეო,  
ღრჭენაი კბილთა,  
მატლი, გოდება საწყალობელი,  
კოცონი იგი,  
უნათლობა და უკუნეთი,  
რომელთაგან მონანი შენნი იხსენ, უფალო.

სიხარული მარადიული, ნეტარება გარდაუვალი,  
ქრისტე, მაცხოვარო ჩვენო,

მოჰმადლე მკვდართა  
სახიერებით, შეუნდე ყოველს  
ჟამს ცხოვრებისას  
თუ უნებლიეთ შეუცოდავს,  
რამეთუ ღმერთი გარეშე შენსა არა იციან, სახიერო.

ღმრთისმშობლისა

ორი ბუნებით განსრულებული შეგიცანით  
მეუფე ერთი,  
განუყოფელი  
საქმითა და ნებით  
ძე ღმრთისა,  
განკაცებული ქალწულისაგან,  
რომელს თაყვანს-გცემთ სარწმუნოებით.

გ ა ლ ო ბ ა VI

განრინებულნი მოკვდავთა საუფლოს  
ოდესმე, მსგავსად ზმანებისა,  
მკვდრეთით აღვსდგებით,  
ვით ყოვლად ბრძენმა გვაუწყა პავლემ,  
ოდეს დასცემს ნალარა,  
მაშინ იხსენი  
განკითხვისაგან მონანი შენნი.

მეოხებითა შენითა, ღმერთო,  
მონანი შენნი შეიწყნარე იმ განკითხვის ჟამს,

როს განძარცულნი  
წარსდგებიან წინაშე პირსა შენსა  
მაცხოვარო,  
განარიდე ისინი იმ ხმას,  
რომელიც ცეცხლად მიუხმობს, ქრისტე.

როს აღასრულებ, მეუფეო,  
ამქვეყნიურ ცხოვრებასა და საქმეთა ჩვენთა,  
როს განსჯი ჩვენს ღვაწლს,  
მაშინ, უფალო, ნუ გავგწირავ,  
ნუ მიგვატოვებ,  
სახიერო, ცოდვილთა შორის.

ღმრთისმშობლისა

მეოხებითა შენითა გვიხსენ  
საშინელი განსაცდელისგან,  
წმიდაო ღმრთისმშობელო,  
და გვაზიარე ყოვლად წმიდაო,  
საღმრთო ნათელსა,  
რამეთუ შენგან გამოუთქმელად  
იშვა ძე ღმრთისა, განკაცებული.

გ ა ლ ო ბ ა VII

უფალო, ვფიქრობ  
იმ უჩვეულო,  
შემადრწუნებელ განკითხვის დღეზე,  
სამართლიანად

ოდეს განსჯი საქმეთა ჩვენთა,  
ო, გევედრები,  
შეიწყნარო მონანი შენნი,  
რომელთაც ნებით თუ უნებლიეთ  
შეუცოდავთ, მხსნელო.

დიდსულოვანო,  
კაცთმოყვარების  
დაუშრეტელ ზღვას რომელიც ფლობ,  
ნუ განიკითხავ სრულად  
მკვდართა ცოდვებისათვის,  
როს წარსდგებიან სამსჯავროზე  
წინაშე შენსა,  
არამედ შეიწყნარე და  
შეიწყალე ისინი, ქრისტე.

ყოვლად მართალო,  
ოდეს აწყავ  
ნაბიჯთა ჩვენთა,  
ნუ განსჯი მართლად,  
დე, გაიმარჯვოს შენმა სიკეთემ,  
რათა სასწორზე, მაცხოვარო,  
ბოტოტებამ არ გადასძალოს,  
რომელიც ესოდენ მძიმეა.

ღმრთისმშობლისა

სასწაულთაგან  
უზეშთაესი

სასწაული არს შობა შენი  
და ამისათვის გევედრებით,  
წმიდა ქალწულო, ღმრთისმშობელო,  
მოწყალებითა შენითა  
სასწაული მოიმოქმდე,  
საშინელი სამსჯავროსაგან  
დამიფარე მე და მიხსენი.

გ ა ლ ო ბ ა VIII

განკითხვის ყამს, კაცთმოყვარეო,  
წინაშე შენსა ოდეს წარვსდგებით,  
საშინელი შერისხვისაგან დავგიფარე  
მონანი შენნი,  
გადმოგვაფინე ცნობის ნათელი,  
რათა თანაარსთა თანა გადიდოთ დაუცხრომელად.  
(ყრმანი აკუროთხევდით მას,  
მღვდელნი უგალობდით მას,  
ერნი უფროსად აღამაღლებდით მას, უკუნისამდე).

რისება შენი, კაცთმოყვარეო,  
მას მოუვლინე, გევედრები,  
ვინც არ გიწამა ჭეშმარიტად, ქრისტე,  
ხოლო მოჰფინე სათნოება  
და სიუხვე შენი მადლისა  
ყოველ მოწამეს. ერი შენი და არგე,  
სამწყსონი ცხოვართა შენთანი  
უაღრესად თაყვანს-გცემთ, ღმერთო,

13. საფოდან კასიამღე

და აღგამაღლებთ  
უკუნიით უკუნისამდე.

შემაძრწუნებელ ბარძიში,  
ხელით-პყრობ რომელს, მაცხოვარო,  
განუზავებელი სასმელი  
განაზავე სათნოებით,  
გევედრები, დაიფარე მონანი შენნი,  
რომელთაც მიწა დაუტევს  
ნებითა შენითა და დააწესე  
მმოსავთა შორის, მოწყალეო,  
რათა გალობით გადიდებდეთ  
უკუნიით უკუნისამდე.

ღმრთისმშობლისა

ლოცვით გევედრებით,  
ღმრთისმშობელო, ღირსო ქებისაო,  
მოიღე მოწყალეობა შენსვენებულთათვის,  
რათა უსამანო და უხილავ ძალთა,  
ღვთისმოსავ მოწამეთა,  
მოციქულთა და წინასწარმეტყველთა თანაზიარ  
ანგელოზთა დასში ადიდონ  
ქე შენი გალობით.  
ერნო, უფროსად აღამაღლებდით მას  
უკუნიით უკუნისამდე.

გ ა ლ ო ზ ა IX

როს მობრძანდები საშინელი განკითხვისათვის,  
მოწყალეო, მიწა და წყალი,

შეძრწუნებული სამწყსო, მხეცნი, ქვეწარმავალნი  
და მკვდარნი მათნი  
როს წარსდგებიან, მაცხოვარო, წინაშე შენსა  
კრთომითა და გულმოდგინებით,  
ნუ დაამდაბლებ მათ,  
რომელნიც აღსრულდნენ რწმენით, სახიერო.

დაუვიწყარნი მამანი და მოყვასნი ჩვენნი,  
ძმანი ჩვენნი და მეგობარნი ერთსულოვანნი,  
რომელნიც შიშით აღსავსე გზით ეშურებიან,  
შეიწყნარე და ძღვენის მაგიერ  
მიიღე ჩემგან სამგლოვიარო საგალობელი.  
და ვისაც ძალი შეგწევთ  
შემოქმედის მიმართ  
ნუ დასცხრებით ვედრებად ჩემთვის.

უსასოოთა მხსნელო, ვითარ გამოგვიცხადე,  
შეძრწუნებულნი ვეზიარებით მსხვერპლებას შენსას  
და ვქადაგებთ შესაძრწუნებელსა მსხვერპლად მისვლასა  
შენსა,

რაც აღესრულა ნებითა შენით.  
მუხლმოდრეკილი მხურვალე ლოცვას აღვაველენ  
შენდა მომართ, მაცხოვარო ჩვენო,  
შესვენებულთათვის,  
რათა საუკუნო სასუფეველი დაუშკვიდრო წმინდანთა  
შორის.

ღმრთისმშობლისა

ქეო ღმრთისაო და სიტყვაო მხოლოდშობილო,  
მორწმუნე მეფეს მოჰმადლე ძღვევის გვირგვინი,

შენს ყოვლისშემძლე ხელს ძალუძს ესე, სახიერო,  
მტერთა მძლავრება  
შენ დაამხე მხედრობის ხრმალით  
და ღმრთისმშობლის მეოხებითა  
დაიხსენ ერნი  
შენს მარადიულ საუფლოში.

### 21 ღვაკემბრისათვის

როს იყო ქამი ავგუსტუსის ერთმთავრობისა,  
ამქვეყანაზე განესრულა მრავალმთავრობა,  
შენ, ვინც მიიღე კაცის სახე ქალწულისაგან,  
დაამხე კერპნი, განასრულე მრავალღმრთეება,  
გაერთიანდნენ ერთ სამეფოდ  
სახელმწიფონი,  
ერთი ღვთაების მეუფება  
ირწმუნეს ხალხთა.  
და აღიწერნეს ერნი კეისრის მართალგანგებით,  
აღვიწერენით ჩვენ, მორწმუნენი  
განკაცებული ღმერთის სახელით,  
დიდია წყალობა შენი, უფალო, დიდება შენდა!

### დიდი ოთხჯაბათისათვის

უფალო,  
მრავალი ცოდვით დანთქმულმა ქალმა  
ღვთაებრიობა შეიცნო შენი,  
დამწუხრებულმა სამარესთან  
კრძალვით მოგართვა ნელსაცხებელი.  
ვაი, გოდებდა,

წყვედიანი მფარავს,  
საკდემელობის მძაფრი წადილის  
და ტრფობის ცოდვის  
ბნელი, უკუნი.  
შეიწირე  
წყარონი ცრემლთა ჩემთანი,  
ღმერთო,  
რომელიც ზღვათა დინებათა  
ღრუბლად წარმართავ.  
ო, შეისმინე  
ჩემი გულის სულთქმა, უფალო,  
რომელმან მოსდრიკე ცანი.

მსურს, შენს უბიწო ფეხს ვემთხვიო  
და კვლავ წარვხოცო  
ჩემი თმებით.  
ოდესღაც ევას მიმწუხრის ქამს  
სამოთხეში  
ესმა ფერხთა ხმა,

შიშით შემკრთალი მიიმალა.  
ჩემთა ცოდვათა სიმრავლე და  
შენთა წყალობათა უძიროება  
ვინ დაითვალოს,  
სულთა მაცხოვარო ჩემო,  
მხვეალსა შენსა ნუ დაამდაბლებ,  
შენ, რომელიც ფლობ  
უსამანო სახიერებას.

## აზრები

ორი მოყვარულის ქრისტეს სიყვარული  
თუ თანაზიარი არ არის — შუღლია.

ვასაჭირში მყოფი მხოლოდ მეგობრებთან  
ძიმივ სალმობათაგან ჰპოვებს განშუებას.

ზრძენი მეგობარი მკერდში ჩაიკარი  
ვით ოქრო; უგუნურს გველივით ერიდე.

მოყვარულ მეგობარს თუ შეხვდი მოყვარე,  
ვით ოქროს მპოვნელმან, გულწრფელად იხარე.

ამაღლებული მეგობარი აღამაღლებს თავის მეგობრებს.

მეგობართა სიყვარული ზღუდეა.

არ გარგებს სიმდიდრე მეგობრის თვინიერ.

მწუხარებათა ყამს მეგობრებთან ყოფნა  
ყოველგვარ თაფლსა და შაქარზე ტკბილია.

ჭეშმარიტ მეგობარს შეიცნობ საცთურში,  
ის არ განუდგება მას, ვინც შეიყვარა.

მეგობარს ვუწოდებ, ვისაც უანგაროდ  
უყვარს, ანგარებით მოყვარე — მტერია.  
გიყვარდეს ყოველი, ყოველს ნუ ენდობ.

რძესა და თაფლსა ჰგავს მოყვასთა ბაასი.  
ყრმათა შეხვედრას ჰგავს მოხუცთა ბაასი.  
ვით ბნელ სახლს აკლია ზეიმის ნათელი,  
მწირია სიმდიდრე მეგობრის თვინიერ.

ვითარცა ასპიტი გლეჯს თავის ნაშიერს,  
ასევე შურიანს შური ანადგურებს.

შურის სათავე მშვენიერთა სიკეთეში ძევს/  
ვერაფრის მქნელი იქანცება და ქრება შური.

მიწყვივ ბორგნეული გული აქვს მეშურნეს.  
ყოველმა განდევნოს შური დასაბამით,

შური სიკვდილია, მას მოაქვს სიკვდილი,  
შურისგან სიკვდილი მრავალთა ხვედრია.

შურო, საზარელო, მითხარ ვინ წარმოგვმა,  
რა დაგამარცხებს ან რა გაგანადგურებს?  
წარმომშვა ერთბამად ცუდმაშურალობამ.  
მამარცხებს მოყვასთა ძმური სიყვარული,  
სავსებით მომიღებს ბოლოს ღმერთის შიში  
და გამანადგურებს მხოლოდ თავმდაბლობა.  
ღმერთო, სიკვდილამდე შურით ნუ აღმავსებ,  
დაე, სხვებს შეშურდეთ ჩემი, ვისურვებდი,  
ღვთის საქმით შევიქმნე შესაშურვებელი.

უბოროტესობის სამანს შობს რისხება,  
არ სცნობს მეგობრობას, არ სცნობს მოკრძალებას.  
ძვირისმხსოვნებელი მეშურნეც იქნება. —  
ძვირისმხსოვნებლობა შურის მშობელია.

გამდიდრებულმა მეგობრები გაიმრავლე შენის  
სიმდიდრით,  
გალარიბებულს ველარავინ წაგართმევს მათ თავს.  
სიმდიდრე იფარავს უდიდეს სიმდაბლეს,  
ხოლო სიღარიბე სიმდაბლეს განძარცვავს.

ზაკვით გამდიდრებას სჯობს იყო ღარიბი.

ნუ გწადის სიმდიდრე და ნურც სიღარიბე,  
სიმდიდრე მზვობარს ხდის ცნობა-გონებას,  
ხოლო სიღარიბეს თან სდევს მწუხარება.

ბედქმნილმა მიიღე ბედუკუღმართობაც,  
ბედუკუღმართობა ღირსებით ატარე.

ვინც მწუხარების ყამს მხოლოდ დაშთენილა,  
ორმაგ გულგრილობას და წყვიდიადს მოუცავს.

ღარდით დათრგუნვილთა უებრო სალბუნნი  
მათ თანამღმობელთა ცრემლი და სიტყვაა.  
დამწუხარებულისთვის სიცოცხლე ტანჯვაა.

თუ ტვირთი გატარებს, იტვირთე. ატარე,  
თუ ტვირთი გატარებს, შენ კი ვერ ატარებ,  
საკუთარ თავს ავნებ: ტვირთი კი გატარებს.

გაშიშვლებულ ფეხებს ნუ დაჰკრავ საწერტელს,  
რამეთუ საწერტელს ვერაფერს დააკლებ,  
საკუთარ თავს ავნებ და დაიტანჯები.

ბოროტებთან ყოფნას სჯობს იყო ეული.

ცუდად ჭანმრთელობას სჯობს ავადმყოფობა.

ღუმილი არჩიე უგუნურ ლაყბობას,  
ღუმილს თან როდი სდევს საფრთხე ან ვაკიცხვა,  
არც ფიცი, ბრალდება ან მონანიება.

კეთილზომიერების სარგებელი დიდია.

თუკი გძულს სიცრუე, ნურც სხვას ეცრუები.

მძულს მკვლელი, რომელიც გულფიცხს განიკითხავს.

მძულს მაცთუნებელი მრუშს რომ განიკითხავს.

მძულს უცოდინარი ბრძნობას რომ იჩემებს.

მძულს, თანამდები რომ იძინებს უნალვლოდ.

მძულს, არად მიაჩნდეს უმრწემესს უფროსი.

მძულს, ოდეს უბნობის ყამია, დუმილი.

მძულს მოუწვევლად მოსული სტუმარი.

მძულს, ოდეს სხვას მოძღვრავს თავად უმეცარი.

ოდესღაც ხეიბარს, მელოტს და ცალხელას,  
ენაბლუს, ჯირკვივით ჯუჯას და შავთანას,  
ფეხებდაბრეცილს და თვალასჩინწართმეულს  
მასხარად იგდებდა კაცი ბიწიერი;  
ლოთი, მატყუარა, მკვლელი, ქურდბაცაცა;  
მიუახლოვდა და უთხრა მანკიერმა:  
ჩემი სიმახინჯის მიზეზი როდი ვარ,  
მშვეს ჩემი სურვილის თვინიერ ასეთად,  
შენ — შეცოდებათა მიზეზი თავად ხარ,  
შემოქმედისგან ხომ არ მოგნიჭებია  
ის, რასაც სჩადიხარ, რისთვისაც ირჯები.

მართალი კაცისგან სიტყვაც კი ფიცია,  
ცრუ კაცის სიტყვა კი ფიცითაც ყალბი.

ვინც ხშირად იფიცებს, ცრუმოფიცარი.

ცუდია ფიცი, უფრო ცუდი ყალბი ფიცი,  
ძუნწი იმალება მეგობრის ხილვისას.

ხოლო სახლეულთ კი უბრძანებს იცრუნონ.

ძუნწი მეგობართა ნადიმსაც გაუბრძის.

ძუნწისთვის ტვირთია ღარიბი მოყვასი.

საზრიანი კაცი დიდი მისანია,

იგი წინასწარ ჭვრეტს საფრთხეს საქმეთაგან.

რეგვენს ვერ განკურნავ უებრო წამალით,

სიკვდილის თვინიერ მას სხვა გზა არა აქვს.

რეგვენს თუ პატივს სცემ, ხდება მზვობარი,

აქებ — უფრო მეტად ამპარტავანდება.

ვით სვეტი მალალი ვერ მოიდრიკება,

ვერ გარდაიქმნება ასევე რეგვენიც.

კეთილგონიერთა შორის სჯობს ცხოვრება,

ვიდრე უმეცარ და მდიდარ ბრიყვთა შორის.

რეგვენისმიერი აზრი ძვეს რეგვენში,

ეს აზრი ყლარუნას მოჰგავს ღორის დინგზე.

ცუდია, რეგვენს თუ აწუხებს აზრები,

თუ თავის აზრს ადგას, ეს უფრო ცუდია,

თუკი ეს რეგვენი ახალგაზრდაცაა

და ძალის მფლობელიც, ვაი, ჩვენს მოსწრებას.

ვაი, უფალო. თუ რეგვენი ბრძენობდეს,

ვინ საით გაიქცეს, მზერა ვის მიაპყროს?

რეგვენი ეჩრება ყოველგვარ საქმეში,

რეგვენი შორს მიხტის, ყოველგან დაძვრება.

არ გაჩენილიყავ გიჯობდა, რეგვენო,

ან უკვე გაჩენილს, არ გველო ამქვეყნად.

საცთურში ჩავარდნით სასოს ნუ წარიკვეთ,  
ღმერთი მეორეგზის საცთურს არ მოგივლენს.

თუკი შეურაცხყვეს კაცი და იყუჩა,

იგი ბრძენია და კეთილგონიერი.

კაცი გონიერი, მძლე უმეცრებათა,

საკუთარ ვნებათა არის განმგებელი.

ხილვად საქულველი არის მზვობარი,

თავმდაბალს ყოველი ესიყვარულება.

კადნიერებაა დედა უწვრთელობის,

თავად უწვრთელობაც კადნიერებაა,

რამეთუ სცილდება ზღვარს ზომიერების.

მარცხითაც წილად მხვდა რალაც სარგებელი —

მე გამოვიბრძმიდე — ვით ოქრო ღაღარში

მძულს მკვლელი, რომელიც გულფიცხს განიკითხავს.

მძულს ის კეთროვანი, ვინც სდევნის კეთროვანს.

მძულს, ნილაბაკრული განსჯიდეს მსაჯული.

მძულს, გამდიდრებული გლახაკს მისტიროდის.

მძულს, გლახა სიმდიდრით თავმომწონეობდეს.

მძულს, ლოთი სვამდეს და კვლავაც სმა უნდოდეს.

მძულს ხელმოჭერილი სულმოკლეობისთვის.

მძულს ახალგაზრდებში გართული მოხუცი.

მძულს უდარდელი და მეტად მძულს მძინარე.

მძულს ყოველ ადათს ვინც იოლად ერგება.

მძულს დიდებისათვის ყველაფრის ჩამდენი.

მძულს მტრობისმოყვარე, რამეთუ არ ძალუძს  
თნევა ღმრთისმიერის.

მძულს შეუცნობელი, ვითარცა იუდა.

მძულს მეგობართა შეურაცხმყოფელი.

უმსგავსი ბუნება შობს უმსგავს თვისებებს.

სჯობს ნათელ გზად მწირი მოიძქა სამკალი,  
ვიდრე უსამართლოდ ახვავო დოვლათი.

აღმატებულია ძალა ღმრთისმიერი  
ძალს ეშმაკეულის; ბოროტნი ლამობენ  
ბოროტისქმედებით კეთილთა ცთუნებას,  
რითაც მათი ღვაწლი მეტად განცხადდების.

რეგვენის ატანა არ ძალუძს გონიერს,  
მასთან შეტოქება დიდ ძალას მოითხოვს,  
ვითარ დაიძლევა მისი თავხედობა?  
გიჯობს სიღარიბე გონიერთა გვერდით  
რეგვენთა, უწვრთელთა შორის მდიდრად ყოფნას,  
ამიტომ უფალმა ბრძენთან, გონიერთან  
დაე. მომივლინოს საცთური ბედისა,  
ვიდრე სიხარული უაზრო რეგვენთან.

წარმავალია ყოველივე ქმნილი მძლავრობით,  
მარადიულად ბუნებრივი მეუფებს მხოლოდ.

ქალს საქმისმოყვარეს, მუყაითს, გონიერს  
უბედურებათა ძალუძს დამარცხება:  
ქალს საყმისმოძულეს, უქნარას უმეცარს

თან სდევს ჭეშმარიტად დიდი ბოროტება.

ბედმა თუ მცირედი წყალობა გიბოძა,  
ვერჩიოს მეტისმეტ გარეგნულ სიტუტრფეს.

ღვთის კეთილგანწყობის თვინიერ მიღებულ  
განძსა და სიტუტრფეს ღვთის მადლი გერჩიოს.

მშვენებით იქმნება კეთილფეროვნება,  
შემდგომ— ასოთა და ნაწილთ ჰარმონია.

დედაკაცთა მოდგმა უძლიერესია,  
მოწმეა ამისა ეზდრაც ჭეშმარიტად.

ბოროტებადა ვრაცხ ქალს, თუნდაც მშვენიერს,  
რამეთუ მშვენება მისი — ნუგეშია,  
თუ ქალი უშნოა და ზნედაცემულიც,  
ორმაგ ბოროტებას ნუგეში არ ახლავს.  
ჩვეულ ბოროტებად ვრაცხ ქალს ღმრთივშემოსილს,  
მისი მშვენება ხომ დიდი ნუგეშია,  
მაგრამ ოდეს ქალი ხილვად უგვანია,  
ოი, უბედობავ, ვაი, ბედისწერავ.

უკეთურების ქმნა უფრო იოლია,  
ვიდრე სიკეთისა, კეთილის ქმედება  
მსგავსია აღმართზე სიმძიმის ზიდვისა,  
უკეთურებისა — დაღმართზე ტარების.  
ყოველმა უწყის, რომ უფრო იოლია  
დაღმართი; აღმართზე სიმძიმე მძიმეა  
ქება თუ გწადია, ჰქმენ შესაქებარი!  
მდიდარი გლახასთვის თუ არას გაიღებს  
ის ბედნიერებით არის უბედური,

რამეთუ ვერ იხსნის სულს დაღუპვისაგან.  
(თუკი ბედს ღარიბი ემაღლიერება,  
გაბედნიერდება ის უკუნისამდე)

მონაზონთა შესახებ

მონაზონს ჰყავს მხოლოდ თავი საკუთარი,  
მონაზონი არის ცხოვრებით ეული.

მონაზონს ყოფითი თუ აქვს საზრუნავი,  
მრავალს ემსგავსება და არა მონაზონს.

მონაზვნის ცხოვრება უფრო მსუბუქია, ვიდრე  
ფრინველისა.

მონაზონს შეშვენის ენა გაწაფული.

მონაზონი არის თვალი უცთომელი.

მონაზონი არის აზრი შეურყენელი.

მონაზონი არის კარი შეუვალი.

მონაზონი არის უმწეოთ საყრდენი.

მონაზონი არის წიგნი ღვთისმოსავი,  
გზის მაჩვენებელი და დასამოძღვრავი.

მონაზვნის ცხოვრება შუქია ნათელი.

მონაზვნის ცხოვრება ცთუნებულს მოაქცევს.

მონაზვნის ცხოვრება ბოროტ სულთ განდევნის.

(ყოელის დასაბამის და განსრულებულის  
წყობა უზადოა; საქმესაც, სიტყვასაც  
ღმერთისმიერი აქვს საწყისიც სასრულიც.

ზ ი ნ ა ა რ ს ი

წინათქმა	5	იულია ბალბილა	114
საფო -	37	ცეცილია ტრებულა	118
კორინა	81	დემო	120
ტელესილა	88	თეოსებეა	122
პრაქსილა	90	იულია სულპიცია	124
ერინა	92	პრობა	128
ანიტე	94	ვედოკია +	133
ნოსისი	101	ვეხერია	156
მოირო	106	ღუოდა	160
ჰელილე	109	კასია +	170
მელინო	111		

პ. მ. ს. უ

Decorative Greek key border

